პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დღის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგის 18—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 8ა, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებისა, წითელ-არმიელებისა, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებანი:
საქართველოს ფურცლებზე— ტექსტის უკან—20 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებული გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% სახელმწიფო გადასახადს. თუ განცხადების ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღებ. 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირს 20%-ით მეტი. სადღესასწაულო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— პატეკი პოლონეთ-საბჭ. კავშირის ურთიერთობის შესახებ.
— შეწყდა გერმანია-პოლონეთის მოლაპარაკება.
— გადადგა ინდოეთის საქმეთა მინისტრი ბირკენხედი.
— პარიზში აკრძალეს „ჯავშნოსან პოტიომკინ“-ის და „დედა“-ს ჩვენება.
— თურქეთის ახალ ელჩად მოსკოვში დაინიშნა ვასიფ-ბეი.
— ექსპერტთა კომისიის შექმნა გერმანიის სარეპარაციო გადასახადების ჯამის გამოსარკვევად.
— სიმშილობა ბესარაბიაში.—დამშეულებს დამპალ სიმინდს აწვდიან.
— შანხაი-ტოკიოს შუა დაიმტვრა გერმანიის აეროპლანი.—მგზავრები გადარჩნენ.

შაბათი, 20 ოქტომბერი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 244 (2287)

საქ. კომპარტიის (ბ) ყველა ორგანიზაციებს, წევრებს და კანდიდატებს

ძვირფასო ამხანაგებო!

მიმდინარე წლის ოქტომბერში დაიწყო ჩვენი ორგანიზაციის უჯრედების ბიუროების გადარჩევა. შემდეგ ჩატარებულ იქნება სარაიონო, სამაზრო და საოლქო პარტიული კონფერენციები. საქართველოს კომპარტია შეუდგა წლის განმავლობაში შესრულებულ მუშაობის შემოწმებას პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების დირექტივების საფუძველზე.

საქართველოს კომპარტიის ცეკა პარტიის ყველა ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში აყენებს პარტიულ მუშაობის და პარტიული ხელმძღვანელობის მორიგ ამოცანებს მიმდინარე პერიოდში. ჩვენი კადრების მუშაობის გენერალურ შემოწმების დროს პარტორგანიზაციამ ყურადღება უნდა მიაქციოს არა მარტო თავისი შინაური მდგომარეობის საკითხებს, არამედ აგრეთვე მიმდინარე მომენტის საერთო პოლიტიკურ საკითხებსაც.

პარტიის მე-15 ყრილობამ წამოაყენა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ამოცანები ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, მრეწველობის რეკონსტრუქციის და სოფლის სოციალისტურ გარდაქმნის სფეროში. განვლილ სამეურნეო წელს ახასიათებს სოციალისტური შეტევა კაპიტალისტურ ელემენტებზე, სახალხო მეურნეობის სოციალისტური სექტორის შემდგომი ზრდა და ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გაძლიერებული ტემპი.

ამასთანავე ერთად განვლილმა წელმა მთელი თავისი სიმწვავით გამომჟღავნა რეკონსტრუქციის პერიოდის სამეურნეო მშენებლობის სიძნელენი. კლასობრივი ბრძოლის გამწვავება იყო მიმდინარე წლის სამეურნეო დაბრკოლებების და პურის დამზადების კრიზისის ერთ-ერთი ობიექტიური მიზეზი. ეს სამეურნეო დაბრკოლებები პარტიის ზოგიერთ ჯგუფებში იწვევს რყევას, გავლენას ახდენს პარტიის უფრო ნაკლებ გამობრძმედილ ნაწილზე, ეჭვს ბადებს ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის სისწორეში. ეს მერყეობა გამოიხატება შემდეგში: მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებათა გადათვალიერების ცდაში, პარტიის მიერ აღებულ ინდუსტრიალიზაციის ტემპის გადათვალიერების წინადადებებში ამ ტემპის შენელების მიზნით, სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის ამოცანების დავიწყებაში, კულაკების წინაალმდეგ გადამჭრელი ბრძოლის საჭიროების უგულებელყოფაში, წვრილ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობის ინტერესების წინ წამოყენებაში, სასოფლო მეურნეობაში პროლეტარიატის მბრძანებელ მწერვალების (კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი) გამაგრებისა და გლეხობის მიმართ პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის შენარჩუნების საჭიროების დავიწყებაში და კულაკზე გაძლიერებული შეტევისათვის წინაალმდეგობის გაწევაში. სამეურნეო დაბრკოლებების პირობებში ადგილი აქვს ტროცკისტულ ოპოზიციის გამოცოცხლების ცდებს როგორც ეს იყო წინა წლებში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკა მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს გადაჭრით ებრძოლონ როგორც ტროცკისტულ იდეოლოგიის აღორძინებას, ისე პარტიის გენერალურ ხაზის გადათვალიერების აშკარა მემარჯვენე ცდებსაც, და აგრეთვე ცალკე კომუნისტების შემრიგებელ განწყობილებას ლენინური პოლიტიკიდან გადახრებისადმი. ეს ბრძოლა წარმოადგენს მნიშვნელოვან პირობას პარტიის ლენინური პოლიტიკის გატარებისათვის სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე ხანაში.

ძირითად საკითხებს შორის, რომელთაც უნდა მიექცეს პარტიულ ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღება, უნდა აღინიშნოს საკითხი სამეურნეო მშენებლობის ხელმძღვანელობის შესახებ როგორც ქალაქში, ისე სოფლად საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკა, თავის დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის მუშაობის შესახებ წინადადებას იძლევა: „განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის ამოცანებს, შრომის ტევადი ტეხნიკური კულტურების განვითარებას—კოოპერაციაში გაერთიანებისა და კოლექტივიზაციის საფუძველზე“... (საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილება 1928 წლ. 3 სექტემბრის თარიღით). ამასთანავე ერთად სამრეწველო მშენებლობის სფეროში ჩვენს წინაშე სდგას ამ მშენებლობის ხელმძღვანელობის ნაკლოვანებათა გამოსწორების, გეგმიანი საფუძვლების გაძლიერების და ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დარგების განვითარების ამოცანა. „მრეწველობის მთავარი დარგების (მარგანეცი, სამთო და სატყეო საქმე) შემდგომ განვითარებასთან ერთად საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის (მატყლის, თამბაქოს და სხვ.) გადამამუშავებელი დარგებისა და აგრეთვე შინამრეწველობის განვითარებას (საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილება 1928 წლ. 3 სექტემბრის თარიღით).

უჯრედების ბიუროების გადარჩევის დროს პარტორგანიზაციების მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ნედლეულის მიწოდების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობისათვის დახმარების გაწევის, ღარიბ გლეხებს შორის მუშაობის გაძლიერების და აგრეთვე კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის საკითხებს.

პარტიულ მუშაობის სფეროში საჭიროა შინაპარტიული დემოკრატიის ფართოდ გატარება და არჩევნების პრინციპის ნამდვილად განხორციელება ყველა პარტიულ ორგანოების მიმართ ქვედა საფეხურებიდან ზედა საფეხურებამდე.

მუშათა კლასის საუკეთესო მოწინავე ელემენტების მიზიდვა პარტიაში, არჩეულ ორგანოების გაძლიერება პარტიულ მუშების ხარჯზე, ინტერნაციონალურ აღზრდის სათანადოთ დაყენება, მუშების და გლეხების დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოებზე არის ჩვენი ორგანიზაციების ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანა.

უჯრედების ბიუროების გადარჩევამ უნდა გამოამჟღავნოს ყველა დეფექტები მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობასთან მუშაობაში, ყველა პარტორგანიზაციებმა უნდა შეამოწმონ კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის ღირსება. შემოწმებულ უნდა იქნეს პროფმუშაობის ხელმძღვანელობა პროფკავშირების მუშათა დემოკრატიის ბოლომდე განხორციელების და სოციალისტურ მშენებლობაში მუშების და მუშა ქალთა აქტიურად ჩაბმის თვალსაზრისით.

პროლეტარულ თვითკრიტიკის ფართოდ განვითარება, ფართო მასების ჩაბმა ბიუროკრატიზმის წინაალმდეგ ბრძოლაში, გატარება თვითკრიტიკის „პიროვნებების განურჩევლად“, მუშათა აქტიური მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობის კონკრეტიულ ამოცანების გადაჭრაში, წარმოადგენს ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანას.

ჩვენს პირობებში ბრძოლა ნაციონალიზმისა და მენშევიზმის წინაალმდეგ წარმოადგენს ჩვენი მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტს. გადამჭრელი ბრძოლა ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოხატულებასთან, მკაფიო ლენინური ხაზის გატარება ნაციონალურ საკითხში, ამიერ-კავკასიის ფედერაციის ყოველმხრივი პოლიტიკური და სამეურნეო განმტკიცება, ყურადღების გაძლიერება ავტონომიურ რესპუბლიკების (აჭარისტანი, აფხაზეთი, და სამხრეთ-ოსეთი) სამეურნეო და კულტურულ მუშაობისადმი და ნაციონალურ უმცირესობებთან მუშაობისადმი, ბრძოლა კლასობრივ მტერთან იდეოლოგიურ ფრონტზე—ყველაფერი ეს ჩვენი სინამდვილის სპეციფიურ პირობებში ჯერ კიდევ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. „საჭიროა ბრძოლა ორ ფრონტზე—როგორც ტროცკიზმის წინაალმდეგ, აგრეთვე პარტიის იმ ცალკე წევრების წინაალმდეგ, რომელთაც ავიწყდებათ კლასობრივი ბრძოლა, მეხუთმეტე პარტყრილობის გადაწყვეტილებანი, ქალაქის და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევის გაძლიერების აუცილებლობა“.

გადარჩევის კამპანიამ, რომელსაც უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, უნდა გამოიწვიოს ჩვენი პარტიის რიგების კიდევ უფრო შემჭიდროება და კიდევ უფრო უნდა განამტკიცოს ჩვენი გავლენა მუშათა და გლეხთა უპარტიო მასებში.

მეხუთმეტე ყრილობის მიერ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ, სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ, კაპიტალისტურ ელემენტების გადაჭრით ალაგმვისაკენ აღებულ გეზის თანმიმდევრობითი გატარება უზრუნველყოფს, არსებულ სიძნელეთა მიუხედავად, სოციალიზმის შემდგომ ძლევამოსილ მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი

დიდი შეცდომა

ბერლინის პოლიტიკური წრეებიდან მიღებული ცნობებით, გერმანიის ბანკირებმა, რომლებიც მენდელსონის საბანკო სახლის მეთაურობით ერთ დროს მონაწილეობას იღებდნენ რუსეთის სახელმწიფო სესხთა გამოშვებაში, გადასწყვიტეს — შეუერთდნენ „რუსეთის კრედიტორების საერთაშორისო გაერთიანებას“ და მონაწილეობა მიიღონ ზემოხსენებული გაერთიანების კონფერენციაში. ეს კონფერენცია მოხდება ლონდონში 23 ოქტომბერს.

საიდუმლოების იმ სამოსელის მიუხედავად, რომელშიაც გახვეულია „გერმანიის კრედიტორების“ გადაწყვეტილება, ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს, რომ საეჭვოდ მივიჩნიოთ, ამ ცნობის სინამდვილე და სისწორე. უფრო მეტიც: ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ის საიდუმლოება, რომლითაც მოცულია გერმანიის ბანკირების ჯგუფის გადაწყვეტილება, ადასტურებს გულდასმით მოფიქრებული გეგმის არსებობას. როგორც სჩანს, ამ გეგმის ავტორებმა გადასწყვიტეს, მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენონ როგორც საბჭოთა, ისე გერმანიის საზოგადოებრიობა.

„მომხდარი ფაქტის“ ტაქტიკა, უეჭველია გერმანიის კრედიტორებს სჭირდებათ იმ მთავარი დაბრკოლების დასაძლევად, რომელსაც ისინი ბოლო დრომდე განზე ჰყავდა გაჩერებული „რუსეთის კრედიტორების დაცვის საერთაშორისო კომიტეტისაგან“. ამ დაბრკოლებას წარმოადგენს რაპალოს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ორივე მხარემ უარი განაცხადა ხელშეკრულების დადებამდე, ე. ი. 1922 წლის 16 აპრილამდე წარმოშობილ ყველა პრეტენზიაზე. რაპალოს ხელშეკრულების მეორე მუხლი ამ საკითხის შესახებ ისე ნათლად და პირდაპირ მეტყველებს, რომ ლაპარაკიც კი არ შეიძლება გერმანიისა და მისი მოქალაქეების რაიმე პრეტენზიების შესახებ მეფის ვალების საქმეში.

ასეთია საკითხის იურიდიული მხარე, არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი პოლიტიკური მხარეც. საჭირო არ არის იმის გახსენება, რომ გერმანიის უარი მეფის ვალებზე არა მარტო რაპალოს ხელშეკრულების ღერძად გადაიქცა, არამედ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მთელი ურთიერთობის საფუძვლადაც. გერმანიის მაშინდელი მთავრობის ასეთმა ნაბიჯმა გერმანია განსაკუთრებულ პირობებში ჩააყენა საბჭოთა კავშირის როგორც საგარეო, ისე სავაჭრო პოლიტიკის წინაშე, რადგან გერმანიამ უარი განაცხადა მეფის ვალებზე, რომლებსაც საბჭოთა რესპუბლიკისაგან ყველა კაპიტალისტური „მევალე“ მოითხოვდა, საბჭოთა კავშირი მზად იყო დაემყარებია გერმანიასთან და დაამყარა კიდეც საქმიანი და მეგობრული თანამშრომლობა. ამ თანამშრომლობამ ექვსი წლის განმავლობაში დაამტკიცა, რომ იგი ერთნაირად სასარგებლოა ორივე მხარესათვის და მეტად მნიშვნელოვანი ნაყოფიც გამოიღო.

ამჟამად გერმანიის ბანკირების ჯგუფი, რომელიც დაინტერესებულია, რომ მეფის ვალებიდან თავისი ხვედრი მიიღოს, ბრძოლას უცხადებს არა მარტო რაპალოს ხელშეკრულებას, არამედ ყველაფერს, რაც კი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვა ექვსნახევარი წლის განმავლობაში. თავის ჯგუფურ ინტერესებს იგი უპირისპირებს გერმანიის სახალხო მეურნეობის ინტერესებს. ზემოთ მოყვანილი გადაწყვეტილების ავტორებმა რასაკვირველია, არ შეიძლება არ იცოდნენ, რომ მათი ნაბიჯი ძირიან-ფესვიანად ეწინაალმდეგება რაპალოს ხელშეკრულების ხასიათს.

ამ ჯგუფის საქციელის შემდეგ ნათელი ხდება „კიოლნიშე ცეიტუნგის“ წერილი, რომელიც ჩვენ ამ დღეებში მოვიყვანეთ „იზვესტიას“ ფურცლებზე. ახლა გასაგებია, თუ ვის ელაპარაკებოდა „კიოლნიშე ცეიტუნგი“, როცა სწერდა: „უკანასკნელ დროს გერმანიაში უფრო და უფრო ხშირად გაისმის ლაპარაკი იმის შესახებ, რომ საჭიროა ვალების ცნობის საკითხი დაუკავშირდეს მომავალ მოლაპარაკებას ახალი სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ“. გაზეთს მშვენივრად ესმის, რომ „მათ ვინც ასეთ მოთხოვნილებებს აყენებენ (ე. ი. ვალებს მოითხოვენ) ავიწყდებათ ის ვალდებულებანი, რომლებიც იკისრა გერმანიამ რაპალოს ხელშეკრულებით“. აქედან „კიოლნიშე ცეიტუნგს“ დასკვნა გამოჰყავს, რომ საჭიროა რაპალოს ხელშეკრულების სათანადო დადგენილებათა გადათვალიერება.

გერმანიის პრესა არა ერთხელ გვარწმუნებდა, რომ სრულიად უსაფუძვლოა ყოველგვარი ხმები იმის შესახებ, ვითომც გერმანიაში ვისმეს სურდეს რაპალოს პოლიტიკის გადათვალიერებაო. გერმანიის პრესის ზოგიერთი ორგანო ამ ხმებს აწერდა „საბჭოთა ეჭვიანობას“

„კიოლნიშე ცეიტუნგის“ აშკარა მოწოდება იმის შესახებ, რომ შეიცვალოს რაპალოს ხელშეკრულების მთავარი დადგენილება, და გერმანიის ბანკირების ზემოთ მოყვანილი გადაწყვეტილებანი ნებას გვაძლევენ, რომ ჩვენც აშკარად შევეკითხოთ გერმანიის საზოგადოებრივ აზრს: გამოხატავენ თუ არა ასეთი გამოსვლები მის თვალსაზრისს და როგორ გამოეხმაურება იგი ამ გამოსვლებს, რომელთა შედეგებმა შეიძლება თვალსაჩინოდ იმოქმედონ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მთელ ურთიერთობაზე?

ჩვენ საჭიროდ ვსცნობთ იმის გახსენებას, რომ „რუსეთის კრედიტორების დაცვის საერთაშორისო კომიტეტი“ წარმოადგენს ინგლისელთა და ფრანგთა იმ უაღრესად რეაქციონური ჯგუფების გაერთიანებას, რომლებიც ცდილობენ თავიანთ პრეტენზიების დაკმაყოფილებას, რადაც არ უნდა დაუჯდეთ იგი. ერთ დროს სწორედ ეს ჯგუფები იდგნენ ლონდონის იმ მემორანდუმის ავტორთა ზურგს უკან, რომელიც წარუდგინეს საბჭოთა კავშირს გენუის კონფერენციაზე. სწორედ ამ ჯგუფებს სურდათ გენუის კონფერენციაზე, რომ ყელში ხელი წაეჭრათ საბჭოთა რესპუბლიკისათვის, გადაექციათ იგი კოლონიად და გადაეხდევინებიათ მეფის ვალები.

„კრედიტორების დაცვის საერთაშორისო კომიტეტში“ თავი აქვთ მოყრილი იმ ადამიანებს, რომელთათვისაც სრულიად უცხოა საბჭოთა კავშირთან რაიმე თანამშრომლობის იდეა. თავიანთი ვალების ანაზღაურებისათვის ისინი ყოველ წუთს მზად არიან მთელი კაცობრიობა გადასჩეხონ სისხლის მღვრელ შეტაკებათა და აურაცხელ მატერიალურ უბედურებათა უფსკრულში. ეხლა „გერმანიის ბანკირების“ ჯგუფმაც გადასწყვიტა, რომ შეუერთდეს სწორედ ამ საზოგადოებას.

როგორც შარშან „საერთაშორისო კომიტეტის“ ფრანგთა ჯგუფმა ანგარიში არ გაუწია საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობას, ისე ეხლა გერმანელი ბანკირების ეს ჯგუფი საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ურთიერთობის სასწორზე სდებს თავის ინტერესებს და თავის მისწრაფებას იმ მიზნით, რომ მიიღოს მეფის ვალები.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ გერმანელი ბანკირების განზრახვა, შეუერთდნენ თავდაცვის საერთაშორისო კომიტეტს, სრულებითაც ვერ შესცვლის საბჭოთა კავშირის პრინციპიალურ პოზიციას მეფის ვალების საკითხში მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ბატონ მენდელსონებს მშვენივრად ესმით სრული უიმედობა იმისა, რომ მათი პრეტენზიები ოდნავად მაინც დაკმაყოფილდება, მათი გადაწყვეტილება შეუერთდნენ მთლიან ფრონტს, იღებს უაღრესად პოლიტიკურ მნიშვნელობას.

ცხადია, რომ გერმანელი ბანკირების ასეთი ნაბიჯი მათ მიერ დასახული ამოცანის გადაჭრაში ოდნავადაც ვერ დაეხმარება ვერც მათ და ვერც მათ კოლეგებს ინგლის-საფრანგეთიდან.

არ ღირს რაიმეს მტკიცება ისეთი ხალხისათვის, „რომელმაც არაფერი დაივიწყა და ვერც ვერაფერი ისწავლა“.

ჩვენ გვაინტერესებს ამ საკითხის სხვა მხარე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ვერც საზოგადოებრივი აზრი გერმანიისა, ვერც გერმანიის მთავრობა ვერ დასტოვებენ უყურადღებოთ გერმანელი ბანკირების ჯგუფის გამოსვლას. საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი აზრისათვის გაუგებარი იქნება გერმანიის მთავრობის „ნეიტრალური პოზიცია“ ამ საკითხში. გაუგებარი იქნება მისთვის აგრეთვე ისეთი აზრიც, თითქოს გერმანელი ბანკირების მოქმედება კერძო ხასიათისა იყოს, გაუგებარი იქნება იმიტომ, რომ გერმანიის მთავრობა წარმატებით ებრძოდა დღემდე ბატონ მენდელსონების და მათი მსგავსების მადას.

გერმანიის საზოგადოებრივი აზრი ვერ იქნება შეყვანილი შეცდომაში იმ გზის მნიშვნელობის საკითხში, რომელზედაც სურს დააყენოს იგი გერმანელი კრედიტორების ჯგუფს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ცდას სათანადო წინააღმდეგობას გაუწევს ყველა, ვინც დაინტერესებულია გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შენარჩუნებით და შემდგომი განვითარებით.

რაპალოს ხელშეკრულება ორმხრივ ვალდებულებათა კომბინაციას წარმოადგენს. თუ ერთი მხარე შეეცადა ამ ვალდებულებათა შეცვლას მას მეორე მხარე აუცილებლად გაუწევს წინაალმდეგობას. ეს უნდა დაივიწყოს ყველა იმან, ვინც მოუფიქრებლად აყენებს „რაპალოს პოლიტიკის გადასინჯვის“ პრობლემას. ჩვენ მოველით მკაფიო პასუხს იმათგან, ვინც უნდა მოგვცეს ეს პასუხი. დაუშვებელია რაიმე გაურკვევლობა ან ორაზროვნობა ისეთ საკითხში, რომელსაც პირველხარისხოვანი და პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს მთელ გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობისათვის.

ეს გარკვეულობა მით უფრო საჭიროა იმ მომენტში, როდესაც ორივე მხარე ემზადება ისეთი მოლაპარაკებისათვის, რომლის შედეგად უნდა წარმოშობს ახალი იმპულსი საბ. კავშირის და გერმანიის ხალხთა შორის პოლიტიკური და კულტურული კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის.

„იზვესტია“, 19 ოქტომბერი.

ოქტომბრის დამლევს განახლდება გერმანია-საბჭ. კავშირის მოლაპარაკება

„ტაიმსი“ დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს კრედიტის მიცემას საბჭ. კავშირისათვის ამერიკაში

განხეთქილება პოლონელ მენშევიკების ბანაკში მომხდარი ფაქტია.-ახალი პარტიის დაარსება

გერმანია-საბჭოთა მოლაპარაკების წინ

ბერლინი, 18 ოქტომბერი. გაზეთი „ალგემეინე ცეიტუნგ“-ი აცხადებს, რომ მიუხედავათ ძლიერი დაბრკოლებებისა, რომლებიც ელობება გერმანია-საბჭოთა დაახლოვებას, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეკონომიური მოლაპარაკება, რომელიც ოქტომბრის დამლევს განახლდება, საკითხის დადებით გადაწყვეტამდე მიგვიყვანს.

„მომავალი მოლაპარაკება ყველაზე უფრო იმითაა მნიშვნელოვანი, სწერს გაზეთი, რომ ამ მოლაპარაკების შედეგათ უნდა მოყვეს საკმაო იურიდიული გარანტიების დაწესება გერმანიის იმ ქვეშევრდომთა დაცვის დარგში, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საბჭოთა მეურნეობის აღდგენაში.

ამას გარდა, მოლაპარაკების შედეგათ უნდა მოყვეს ის, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული უფლება ერთმანეთისათვის ხელისშეწყობისა საბჭოთა პრაქტიკის მიერ გაგებული არ იქნეს ცალმხრივად მხოლოდ საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ. თუმცა გერმანიის ეკონომიურ წრეებში გულგატეხილი არიან საბჭოთა კავშირთან ვაჭრობაზე, მაგრამ ამას მაინც არ შეუძლია მიზეზი გახდეს იმისა, რომ გულგრილად ვაწარმოოთ ბრძოლა საბჭოთა ბაზრის მოპოებისათვის. ამ შემთხვევაში გერმანიისათვის! საქმე ეხება არა მარტო წმინდა ეკონომიურ მიზანშეწონილობის საკითხს არამედ მეტად მნიშვნელოვან პოლიტიკურ პრობლემასაც, რომელსაც მხოლოდ გაკვრით ეხება რაპალოს და ბერლინის ხელშეკრულებები.

საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები

„საკრედიტო ბლოკადის“ რკალი ირღვევა

ლონდონი, 18 ოქტომბერი. „ტაიმს“-ის ვაშინგტონელი კორესპონდენტი კომენტარიებს უკეთებს იმ ხელშეკრულებას, რომელიც „ამტორგ“-სა და გენერალური ელექტრონის კამპანიას შორის დაიდო, და სწერს:

„ამტორგ“-სა და „გეკ“-ს შორის დადებულ ხელშეკრულებას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს; ამას კარგად გრძნობენ ვაშინგტონის წრეები, მიუხედავად გარეშე საქმეთა სამინისტროს დუმილისა“.

კორესპონდენტი კითხულობს — „შეიძლება თუ არა საბჭოთა კავშირის „საკრედიტო ბლოკადა“ გაგრძელდეს ისეთ ხელშეკრულებათა შემდეგაც“, როგორიცაა „ამტორგ“-თან დადებული ხელშეკრულებაო.

განხეთქილება პოლონეთის მენშევიკურ პარტიაში

ვარშავა, 18 ოქტომბერი. **განხეთქილება პოლონეთის სოციალისტურ პარტიაში მომხდარი ფაქტია.** მორაჩევსკის ორგანო „პუედსვიტ“-ში დაბეჭდილია არაჩვეულებრივ მკაცრი წერილი, რომელიც მიმართულია „პოლონეთის სოციალისტურ პარტიის მემარცხენე ჯგუფის“ წინაალმდეგ; წერილი ამ უკანასკნელს ბრალს სდებს იმაში, თითქოს ის თანაგრძნობით ეპყრობა კომუნისტებს.

პოლონეთის სოციალისტურ პარტიის ცეკამ დაადგინა პარტიიდან პირობითად გამორიცხულად გამოაცხადოს ვარშავის კომიტეტი, თუ ის 19 ოქტომბრამდე საჯაროდ არ განაცხადებს, რომ ემორჩილება ცენტრალურ კომიტეტს. ამ დადგენილების მიღებისთანავე იავოროვსკიმ დემონსტრატიულად დასტოვა სხდომა და გაემართა პოლონეთის სოციალისტურ პარტიის ვარშავის კომიტეტში, რომლის სხდომაზედაც მიღებული იქნა რეზოლიუცია ცენტრალურ კომიტეტისადმი არ დამორჩილების შესახებ.

„პუედსვიტ“-ი იტყობინება, რომ დაარსდა ახალი პარტია „პოლონეთის სოციალისტურ პარტიის (წინანდელი რევოლიუციონური ფრაქცია)“ სახელწოდებით.

„პუედსვიტ“-ის სიტყვით, პოლონეთის სოციალისტურ პარტიის ზემო-სილეზიის ორგანიზაცია და ვარშავის გაზის ქარხნის მუშები შეუერთდნენ ახალ პარტიას.

„მშვიდობიანობა მრეწველობაში“

ვენა, 18 ოქტომბერი. შესდგა ავსტრიის რეფორმისტული პროფკავშირების გაერთიანების გამგეობის სხდომა, რომელზედაც განიხილეს კანცლერის ზეიპელის მიერ აღძრული საკითხი „სამრეწველო მშვიდობიანობის“ შესახებ. გამოქვეყნებულ ოფიციალურ ცნობაში აღნიშნულია, რომ სამრეწველო მშვიდობიანობა ავსტრიაში ემყარება კოლექტიურ ხელშეკრულებებს და სატარიფო შეთანხმებებს. „თუ მეორე მხარე მოისურვებს,—ნათქვამია ცნობაში—პროფკავშირები ყოველთვის მზად იქნებიან გამართონ მოლაპარაკება იმ ხელშეკრულებათა შემდგომი განვითარებისათვის, რომლებიც აწესრიგებენ შრომისა და კაპიტალის ურთიერთობას“. (ადს).

რუმინელ რევოლიუციონერთა გასამართლება

განაჩენი.

ვენა, 18 ოქტომბერი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, კლაუზენბურგის სამხედრო სასამართლომ გამოიტანა განაჩენი რუმინეთის მუშათა მოძრაობის 66 მოღვაწის საქმის გამო. საქმის განხილვამ ხუთ კვირეს გასტანა. 33 ბრალდებული გაამართლეს, 33-ს მიუსაჯეს პატიმრობა სხვადასხვა ვადით,—ორი კვირიდან 8 წლამდე. (ადს)

ფაშისტების შურისძიება

პარიზი, 18 ოქტომბერი. ფაშისტთა საგანგებო ტრიბუნალმა ლუკაში (იტალიაში) სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა დელა მაჯორეს ორი ფაშისტის მოკვლისათვის. **განაჩენმა აღაშფოთა თვით წვრილ - ბურჟუაზიული „კოტიდიენ“-ი და რეფორმისტული „პეპლ“-ი,** რომელიც აღნიშნავენ, რომ დღემდე საგანგებო ტრიბუნალს არ გამოუტანია სიკვდილით დასჯის განაჩენი. **„ლიუმანიტე“-ს ეს განაჩენი საერთაშორისო პროლეტარიატის გამოწვევად მიაჩნია.** (ადს).

კომუნისტების გამორიცხვაზე უარის თქმისათვის

ლონდონი, 18 ოქტომბერი. მუშათა პარტიის აღმასკომმა პარტიიდან გამორიცხა საუტპორტის (ლანკაშირი) ორგანიზაცია იმისთვის, რომ მან უარი განაცხადა დამორჩილებოდა დადგენილებას კომუნისტების გამორიცხვის შესახებ. (ადს).

წინდაუხედავი ნაბიჯი

მოსკოვი, 19 ოქტომბერი. „იზვესტია“ ბეჭდავს ქვემოთ მოყვანილ ცნობას ბერლინიდან:

„ბერლინის პოლიტიკური წრეებიდან მიღებული ცნობების თანახმად გერმანიის ბანკირებმა, რომლებიც მენდელსონის საბანკო სახლის მეთაურობით ერთ დროს მონაწილეობას იღებდენ რუსეთის სახელმწიფო სესხთა გამოშვებაში, გადასწყვიტეს — შეუერთდნენ „რუსეთის კრედიტორების საერთაშორისო გაერთიანებას“ და მონაწილეობა მიიღონ ზემოხსენებული გაერთიანების კონფერენციაში. ეს კონფერენცია მოხდება ლონდონში 23 ოქტომბერს.

ამ გადაწყვეტილებას შეუძლია გამოიწვიოს უდიდესი გაოცება როგორც გერმანიაში, ისე საბჭოთა კავშირში. სამწუხაროდ, ჯერ არ ვიცით, თუ როგორ უყურებს გერმანიის მთავრობა ასეთ ნაბიჯს, რომელსაც შეიძლება მეტად არა სასურველი შედეგი მოჰყვეს გერმანიისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობისათვის“. (ადს).

პატეკი პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

ვარშავა, 18 ოქტომბერი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იტყობინება:

„პოლონეთის ელჩმა მოსკოვში პატეკმა გაზეთ „კურიერ პოლსკის“ თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა.

„პოლონეთ-საბჭოთა სავაჭრო და სამრეწველო საკითხები მეტად აქტუალური გახდა, რასაც ხელი შეუწყო პოლონეთის დელეგაციის დასწრებამ ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე და საბჭოთა დელეგაციის დასწრებამ ლვოვის ბაზრობაზე. ამ ვიზიტებს უნდა მოჰყვეს პრაქტიკული შედეგები. გაუგებრობა, რომელიც გამოიწვია ვოევოდა იუზეფსკის სიტყვამ, გააღრმავა იმ გარემოებამ, რომ პოლონეთის პრესის მიერ გამოქვეყნებული განმარტების ტექსტი შემცდარათ იქნა გაგებული საბჭოთა კავშირში“.

გერმანია-პოლონეთის მოლაპარაკება შეწყდა

ბერლინი, 18 ოქტომბერი. გერმანია-პოლონეთის მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ, რომელიც ვარშავაში სწარმოებდა, შეწყდა, რადგან პოლონეთის მთავრობა გერმანიის მთავრობის პასუხს პოლონეთის უკანასკნელ წინადადებაზე არ სთვლის დამაკმაყოფილებელ ბაზათ მოლაპარაკებისათვის.

საბჭოთა კინო-სურათების ჩვენების აკრძალვა

პარიზი, 18 ოქტომბერი. პარიზის პოლიციის უფროსმა კიაპმა აკრძალა „სპარტაკის მეგობართა“ საზოგადოების კინემატოგრაფიული სეანსები, რომლის დროსაც უნდა ეჩვენებიათ „ჯავშნოსანი პოტიომკინი“ და „დედა“. „სპარტაკის მეგობართა“ საზოგადოება, რომელშიაც შედიან საფრანგეთის ლიტერატურისა და მხატვრობის თვალსაჩინო წარმომადგენელნი, დაარსდა საბჭოთა კავშირის კულტურული მიღწევების საპროპაგანდოდ (ადს).

ნორვეგიის დეპეშათა სააგენტოს ცნობა

ოსლო, 19 ოქტომბერი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იტყობინება: გიდროპლან „ლატამ“-ის ბენზინის ბაკზე წარწერის გამოკვლევამ ცხადყო, რომ იმ ციფრებსა და ასოებს, რომლებიც ბაკზე იყო წარწერილი, ალბათ არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ უბედურ შემთხვევასთან. ეს უფრო უნდა იყოს იმ მონტიორების მიერ დასმული ნიშნები, რომლებიც ბაკს სდგამდენ გიდროპლანზე“ ადს).

ჩუხნოვსკი ამუნდსენის ბედის შესახებ

მოსკოვი, 19 ოქტომბერი. ჩუხნოვსკი ფიქრობს, რომ „ლატამ“-ის ეკიპაჟი უსათუოდ დაიღუპა. გამოურკვეველი მიზეზების გამო, ამუნდსენი იძულებული გახდა დაშვებულიყო დათვის კუნძულის რაიონში, მაგრამ იძულებითი დაშვება, ეჭვს გარეშეა, ვერ მოხდა მოხერხებულად, რადგან იმ დროს ნისლი იდგა, რომელშიაც იმ ხანებში მოჰყვა იტალიელი მფრინავი მადალენაც. „ლატამ“-ზე მყოფთ შეეძლოთ ჩამოვარდნილ აეროპლანზე დარჩენა მხოლოდ ერთი დღე-ღამის განმავლობაში, ხოლო თუ ისინი ყინულოვან წყალში ჩავარდნენ, არა უმეტეს ხუთი—ექვსი საათისა (ადს).

ალესსანდრის ჯგუფის ძებნა შესწყდა

მოსკოვი, 19 ოქტომბერი. 18 ოქტომბერს ამხ. უნშლიხტის თავმჯდომარეობით მოხდა საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც მოისმინა ამხ. სამოილოვიჩის მოხსენება „იტალიი“-სა, ამუნდსენისა და მისი თანამგზავრების დამხმარე საბჭოთა ესპედიციის მუშაობის შედეგების შესახებ. მოხსენების გამო მიღებულ რეზოლიუციაში აღიარებულია ამუნდსენისა და ალექსანდრის ჯგუფების დაღუპვა. დადგენილ იქნა შესწყდეს ძებნა და 18 ოქტომბერს გამოცხადდეს, რომ „იტალია“-სა და ამუნდსენის დამხმარე კომიტეტის მუშაობა დამთავრებულია. (ადს).

თურქეთის ახალი ელჩი

საბჭოთა კავშირში

ანგორა, 18 ოქტომბერი. როგორც ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, თურქეთის ელჩი ბუდაპეშტში ვასიფ-ბეი დაინიშნება თურქეთის ელჩად მოსკოვში. (ადს).

ექსპერტთა კომისია

გერმანიის სარეპარაციო გადასახადების ჯამის გამოსარკვევად

პარიზი, 18 ოქტომბერი. „ტან“-ის ცნობით, ექვსი სახელმწიფოს (ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის, იაპონიისა და გერმანიის) ჟენევაში გამართული თათბირის მიერ გათვალისწინებული ექსპერტთა კომისიას მოიწვევენ 15 დეკემბრისათვის. კომისია განსაზღვრავს იმ სარეპარაციო გადასახადს, რომელიც გერმანიამ უნდა გადაიხადოს. გერმანიის წარმომადგენლად კომისიაში დანიშნულია რეიხსბანკის დირექტორი შახტი.

ნავთის ბაზარზე

ნიუ-იორკი, 18 ოქტომბერი. გაზეთები კვლავ ათავსებენ ცნობებს უცხოეთის ბაზარზე ამერიკის ნავთის კომპანიების მოქმედების გაერთიანების შესახებ. მაგრამ გამოურკვეველია, აქვს თუ ამ გაერთიანებას მიზნად ინგლისის ნავთის მწარმოებლების წინაალმდეგ ბრძოლის გაძლიერება, თუ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია საერთაშორისო კონსორციუმის შესაქმნელად ინგლისის ნავთის კომპანიების მონაწილეობით. სავაჭრო-სამრეწველო წრეების ორგანო „ჯორნელ ოფ კომერს“-ის აზრით, პირველი მოსაზრება უფრო ახლოა სინამდვილესთან (ადს).

118 გაფიცვა

პარიზი, 18 ოქტომბერი. სექტემბერში საფრანგეთში მოხდა 118 გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა 61.660 მუშა (ადს).

ბირკენხედი გადადგა

ლონდონი, 18 ოქტომბერი. ლორდი ვილიამ რობერტ პილი დაინიშნა ინდოეთის საქმეთა მინისტრად, ბირკენხედის მაგივრად, რომელმაც სამსახურს თავი დაანება, როგორც თვითონ განაცხადა, იმ განზრახვით, რომ კომერციულ საქმეს მოჰკიდოს ხელი (ადს).

აეროპლანის დამტვრევა

ტოკიო, 18 ოქტომბერი. გერმანელ მფრინავს ხიუნეფელდს, რომელიც ევროპასა და აზიას გარშემო უვლის, შანხაი-ტოკიოს შუა უბედურება შეემთხვა. იგი თოვლის ქარიშხალში მოჰყვა. აეროპლანი დაიმსხვრა. მგზავრები უვნებლად გადარჩნენ (ადს).

სახლის ჩამონგრევა

პარიზი, 18 ოქტომბერი. ვინსენცაში ჩამოინგრა სახლი, რომელსაც ახლა აშენებდენ. ჯერ-ჯერობით ნანგრევებიდან ამოიღეს ორი გვამი და 4 დაჭრილი ამოიყვანეს. ნანგრევებს ქვეშ კიდევ 20 კაცია. (ადს).

პარიზი, 18 ოქტომბერი, დაკითხვის დროს ვენსენში ჩამონგრეულ სახლის მშენებელი შეეცადა თავი მოეკლა. ჩამონგრეულ სახლის გათხრა გრძელდება. ჯერ-ჯერობით აღმოაჩინეს 49 გვამი.

ცანკოვს სიკვდილით ემუქრებიან

ვენა, 18 ოქტომბერი. როგორც ბელგრადის გაზეთები იუწყებიან, მთელი ბულგარეთის მაკედონია მიხაილოვის მომხრეთა ხელშია, რომელნიც ბულგარეთის არმიასთან ხელი ხელ ჩაკიდებულნი მოქმედებენ. მიხაილოვის ჯგუფის კომიტეტმა სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა ყოფილ პრემიერს ცანკოვს იმ თანაგრძნობისათვის, რომელსაც იგი პროტოგეროვების მომხრეებს უწევს. (ადს).

გაზ. „სვიტლო“-ს დახურვა

ვარშავა, 18 ოქტომბერი. ხელისუფლებამ ლვოვში დახურა უკრაინული გაზეთი „სვიტლო“, რომელიც სექტემბრის მიწურულამდე მხარს უჭერდა შუმსკის მომხრეთა ჯგუფს, ხოლო 26 სექტემბერს აღიარა თავისი პოზიციის უსწორობა და გაემიჯნა შუმსკის (ადს).

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას

წერილი

მოსკოვის პარტორგანიზაციის ყველა წევრებისადმი

პარტია ისევე ენერგიულად იბრძოლებს ტროცკიზმის ნამსხვრევების წინაალმდეგ, როგორც იბრძოდა თვით ტროცკიზმის წინაალმდეგ. პარტიამ აგრეთვე ენერგიულად უნდა იბრძოლოს აშკარა ოპორტიუნისტული მემარჯვენე გადახრის წინაალმდეგ, მაშასადამე, ამ გადახრისადმი შემარიგებელი დამოკიდებულების წინაალმდეგაც

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარება მიმდინარეობს აღორძინება-განვითარების ნიშან ქვეშ, ქალაქისა და სოფლის საწარმოო ძალთა ზრდისა და მეურნეობის სოციალისტური ელემენტის გაძლიერების ნიშან ქვეშ.

ჩვენ დავამთავრეთ სახალხო მეურნეობის აღდგენის პროცესი. ჩვენ შევედით მისი რეკონსტრუქციის პერიოდში, იმ პერიოდში, როცა ხდება სახალხო მეურნეობის უშუალო სოციალისტური გარდაქმნა ახალი ტეხნიკის ბაზაზე. ეს გარდაქმნა შეუძლებელია ინდუსტრიის, როგორც ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძვლის, უფრო და უფრო გაშლა-განვითარების გარეშე. ინდუსტრიალიზაციის ლოზუნგი იყო და რჩება სოციალისტური მშენებლობის მთავარ ლოზუნგად. ხოლო ინდუსტრიის, რამდენადმე აგრეთვე სოფლის მეურნეობის, განვითარების საფუძველს წარმოადგენს მძიმე მრეწველობა და საწარმოო საშუალებათა წარმოება.

„ჩვენ ვიცით,—ამბობს ლენინი,—რომ რუსეთს იხსნის არა მარტო კარგი მოსავალი გლეხის მეურნეობაში,— ეს ჯერ კიდევ ცოტაა, — არა მარტო კარგი მდგომარეობა მსუბუქი მრეწველობისა, რომელიც გლეხობას მოხმარების საგნებს აწვდის,—ესეც ცოტაა, — ჩვენ გვესაჭიროება აგრეთვე მძიმე ინდუსტრია“.

მძიმე ინდუსტრიის გადარჩენის გარეშე, მისი აღდგენის გარეშე, ჩვენ ვერ შევსძლებთ ვერავითარი მრეწველობის აშენებას. მრეწველობის გარეშე კი ჩვენ, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, საზოგადოდ დავიღუპებით.

მაგრამ ახალი ტეხნიკის საფუძველზე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდს, გარდაქმნის პერიოდს თან სდევენ სიძნელენი, რომელნიც ზოგჯერ რყევას იწვევენ პარტიის ზოგიერთ ფენებში, მაგრამ რომელთა დაძლევაც წარმატების მისაღწევად აუცილებელია.

კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, ჩვენ ვანვითარებთ ჩვენ ინდუსტრიას — როგორც მძიმე, ისე მსუბუქ ინდუსტრიას—გარედან სახსრების მიუღებლად (კაპიტალისტების სესხების გარეშე), ვანვითარებთ საბჭოთა მეცადინეობით, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის და გლეხობის ძალღონით. მაგრამ ჩვენი ტეხნიკური ჩამორჩენილობის პირობებში ინდუსტრიის განვითარება ისეთის ტემპით, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებს კუდში არ მოვექცეთ, რომ შევძლოთ მათი დაწევა და გასწრება კიდეც ეკონომიურად, როგორც ლენინი ასწავლიდა პარტიას,— შეუძლებელია, თუ არ ავამოძრავებთ მთელ ჩვენ ძალებს და არ ავამოქმედებთ მთელ ჩვენ სახსრებს, თუ პროლეტარული რიგები არ აღიჭურვებიან უდიდესი მოთმინებით და რკინისებური დისციპლინით. ამ გზაზე წამოჭრილი სიძნელენი, ჩვენი მატერიალური სახსრების დაჭიმვა, ისეთი მოვლენები, როგორიც არის საქონლის შიმშილი, და სხვ. ჰბადებენ ერთგვარ მერყეობას როგორც მუშათა კლასის ცალკე ჯგუფებში, ისე თვით პარტიის ზოგიერთ ფენებში. ამ ნიადაგზე იქმნება განწყობილება, რომელსაც საჭიროდ მიაჩნია პარტიის ძირითადი კურსის გადათვალიერება, განწყობილება, მიმართული საზოგადოდ ინდუსტრიის და კერძოდ მძიმე ინდუსტრიის განვითარების ტემპის შენელებისაკენ. სიძნელეების ბოლშევიკურად დაძლევის ნაცვლად ხდება, ამრიგად, გაქცევა ამ სიძნელეებისაგან. ეს განწყობილებანი აქარწყლებენ სოციალისტური მშენებლობის პერსპექტივებს, ააშკარავებენ იმის მიუხვედრელობას, რომ მძიმე ინდუსტრიის განვითარების ტემპის შენელება ნიშნავს მახლობელ მომავალში უფრო მეტი სიძნელეების დაგროვებას და მუშათა კლასის მატერიალური და კულტურული დონის არსებითად გაუარესებას, ჩვენი ქვეყნის მძიმე დამოკიდებულებაში ჩაგდებას მსოფლიო კაპიტალიზმისაგან. პარტია, იცავს რა ინდუსტრიის დღევანდელ ტემპს, სხვათა შორის, გამომდინარეობს იქიდან, რომ საზოგადოდ ინდუსტრიის და კერძოდ მძიმე ინდუსტრიის სისტემატიური განვითარება-გაფართოვების გარეშე შეუძლებელია მუშათა კლასის მატერიალურ-კულტურული მდგომარეობის სერიოზული გაუმჯობესება.

მაგრამ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია არ ამოიწურება მარტო მსუბუქი და მძიმე მრეწველობის განვითარებით. ის ამასთანავე მოასწავებს სოფლის მეურნეობის განვითარებას ახალ ტეხნიკურ საფუძველზე, გლეხთა ინდივიდუალური მეურნეობებისათვის ახალი საწარმოო იარაღების მიწოდებას, მათი მოსავლიანობის გადიდებას, მათ თანდათან გაერთიანებას საზოგადოებრივ კოლექტიურ მეურნეობებად, მძლავრი საბჭოთა მეურნეობების შექმნას და განვითარებას.

თუ სოფლის მეურნეობის განვითარება შეუძლებელია მრეწველობის გარეშე, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ტრაქტორების, მინერალური სასუქის გარეშე, სამაგიეროდ ვერც მრეწველობა განვითარდება სათანადოდ, თუ არ გაიზარდა სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი, ვინაიდან სოფლის მეურნეობა ნედლეულსა და სასურსათო პროდუქტებს აწვდის მრეწველობას. ამავე დროს კი, სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი მეტად ჩამორჩება მრეწველობის ზრდას, სოფლის მეურნეობა გაჭირვებით აკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის გადიდებულ მოთხოვნილებებს და სათანადოდ ვერ უზრუნველჰყოფს ნედლეულის, სასურსათო და საექსპორტო ბაზას, ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენში ხდება სოფლის მეურნეობის დეგრადაცია, დაცემა ან ნატურალიზაცია, ვინაიდან სოფლის მეურნეობა, კერძოდ მარცვლეულობის მეურნეობაც, ჩვენში წლიდან წლამდე იზრდება და ვითარდება, იზრდება მისი მოსავლიანობა. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის ზრდის ეხლანდელი ტემპი ამჟამად ჩვენთვის საკმარისი აღარაა.

ამიტომ სოფლის მეურნეობის თანდათან გარდაქმნა ახალი ტეხნიკის საფუძველზე და საწარმოო კოოპერაციაში გლეხობის მასიური ჩაბმის ნიადაგზე და ამრიგად სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის გაძლიერება არის საბჭოთა სახელმწიფოს გადაუდებელი ამოცანა.

ბუნებრივია, რომ ამ გზაზე წამოჭრილი უდიდესი სიძნელენი იწვევენ რყევას ჩვენი პარტიის ყველაზე ნაკლებ გამობრძმედილ ფენებში. ეს რყევა გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ ზოგიერთი ელემენტი სათანადოდ ვერ აფასებს საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების როლს და სცდილობს გადასინჯოს პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებანი სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევის გაძლიერების შესახებ. ეს რყევა ცხადჰყოფს იმის შეუგნებლობას, რომ სოფლის მეურნეობის ახალი ტეხნიკის საფუძველზე გარდაქმნის გარეშე, მისი კოოპერაციაში ჩაბმისა და კოლექტივიზაციის გარეშე, შეუძლებელია სოფლის საწარმოო ძალების მძლავრი განვითარება, გლეხობის მრავალ მილიონიანი მასების დახსნა სიღატაკისაგან და მეურნეობის სოციალისტური ელემენტების გამარჯვება კაპიტალისტურ ელემენტებზე. ეს სიძნელენი, რომელნიც დაკავშირებულნი

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პატეკი იუზეფსკის გამოსვლის შესახებ

მოსკოვი, 19 ოქტომბერი. გაზეთ „იზვესტია“-ს ვარშაველი კორესპონდენტი იტყობინება:

კრაკოვის გაზეთში მოთავსებულია ინტერვიუ პოლონეთის ელჩთან საბჭოთა კავშირში პატეკთან. პატეკის განცხადების თანახმად, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის დელეგაციები ეწვიენ ერთმანეთის ქვეყნებს, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სავაჭრო პრობლემებმა უფრო აქტუალური ხასიათი მიიღო.

ამას გარდა პატეკი შეეხო ვოლინის ვოევადა იუზეფსკის ანტი - საბჭოთა გამოსვლას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ რამოდენიმე ხნის წინად და განაცხადა, რომ იუზეფსკის სიტყვა სწორად არ იქნა გაგებული საბჭოთა კავშირში. ჩემის აზრით, სთქვა პატეკმა, იუზეფსკის სიტყვა არ იძლევა პროტესტის საბაბს.

გაზეთი „იზვესტია“ კომენტარიებს უკეთებს საკუთარ კორესპონდენტის ცნობას პატეკის ინტერვიუს შესახებ და აღნიშნავს, რომ პატეკს არაფერი ახალი არ უთქვამს იუზეფსკის პროვოკაციულ სიტყვის გამო. პატეკის ინტერვიუში გამოთქმული არადამაკმაყოფილებელი კომენტარიები ჩვენ უკვე კარგა ხანია მოვისმინეთ პოლონეთის ოფიციალურ წრეებისაგან.

პოლონელი რეფორმისტები თავის თავს არ ღალატობენ

მოსკოვი, 19 ოქტომბერი. გაზეთ „იზვესტია“-ს ვარშაველი კორესპონდენტი გადმოგვცემს:

ლოძში შექმნილ გართულებულ მდგომარეობის გამო შესდგა თათბირი შრომის მინისტრის, ლოძის ფაბრიკანტების წარმომადგენელთა და საგაფიცვო კომიტეტის მონაწილეობით. თათბირს ჯერ-ჯერობით არაფერი შედეგი გამოუღია.

პოლონეთის სოციალისტური პარტია კი ყოველნაირად ცდილობს, რომ გაფიცვა ჩაშალოს. საგაფიცვო კომიტეტმა, რომელიც პეპეესოველების ხელშია, განთავისუფლა გაფიცვისაგან საავადმყოფოს და თეატრების მუშა-მოსამსახურენი.

ქალაქის სხვადასხვა უბნებში გახშირდა გაფიცულთა შეტაკება პოლიციასთან.

ძრიან რეკონსტრუქციის პერიოდის ძირითადი ამოცანების გადაჭრასთან მრეწველობის და სოფლის მეურნეობის დარგში, ღრმავდებიან იმპერიალისტური სახელმწიფოების ბრძოლის გამწვავებით პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს წინააღმდეგ. ეს თავის გამოხატულებას პოულობს იმაში, რომ საერთაშორისო ბურჟუაზია მიმართავს ახალ ცდებს ყოველი ზომით შეუშალოს ხელი სოციალისტურ მშენებლობას; ამ მიზნით საერთაშორისო ბურჟუაზია ამზადებს ეკონომიურ ბლოკადას, თავს ესხმის საბჭოთა კავშირს მრეწველობის ხელმძღვანელი შემადგენლობის მოსყიდვის საშუალებით (შახტის საქმე) და სხვ.

ყველა ეს დაბრკოლება, აგრეთვე თვით სოციალისტური მშენებლობის განვითარება მის ეხლანდელ საფეხურზე იწვევს ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური ელემენტების (ნეპმანი, კულაკი, ბურჟუაზიული ინტელიგენცია) ბრძოლის აქტივობის გაძლიერებას პროლეტარულ სახელმწიფოს პოლიტიკის წინააღმდეგ.

სოციალისტური მშენებლობის (რომელსაც საბოლოო ანგარიშით კლასთა მოსპობისაკენ მივყევართ) ეხლანდელ საფეხურზე ხდება კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ მჟღავნდება სოფლად. პარტია თავისი პოლიტიკის გატარების დროს მხედველობაში იღებს, და არ შეიძლება არ იღებდეს, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას ჩვენს ქვეყანაში. კლასობრივი ბრძოლის ამ გამწვავებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა კერძოდ იმ სერიოზულ იერიში, რომელიც მიიტანეს კულაკურმა ელემენტებმა პროლეტარულ სახელმწიფოს სამეურნეო გეგმაზე პურის დამზადების შარშანდელი კამპანიის დროს. წვრილბურჟუაზიული სტიქია, განსაზოგადოებული სექტორის ზრდის მიუხედავად, ჯერ კიდევ დიდ ძალას წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში და მისმა აუცილებელმა ზეგავლენამ გამოხატულება ჰპოვა იმაში, რომ პარტიული ორგანიზაციების ზოგიერთმა ცალკე ერთეულმა დაჰკარგა მკაფიო კლასობრივი გეზი. ჯერ კიდევ თავის წერილში 13 თებერვლის თარიღით ცეკა იძულებული იყო აღენიშნა, რომ: „ჩვენს, როგორც პარტიულ, ისე სხვა ორგანიზაციებში უკანასკნელ დროს გაჩნდნენ პარტიისათვის უცხო ელემენტები, რომლებიც ვერ ხედავენ კლასთა არსებობას სოფლად, რომლებსაც არ ესმით ჩვენი კლასობრივი პოლიტიკის საფუძვლები და რომლებიც სცდილობენ ისე აწარმოონ მუშაობა, რომ არავის არ აწყენინონ სოფლად, „მშვიდობიანი ურთიერთობა იქონიონ კულაკთან“ და, საერთოდ შეინარჩუნონ პოპულიარობა „სოფლის ყველა ფენის“ შორის. —

კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში კლასების როლის ასეთი შეუფასებლობა განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს, ვინაიდან ის ბრძოლის უნარს უკარგავს პარტიას და ადუნებს მუშათა კლასის სიფხიზლეს.

კლასობრივი ბრძოლის მომენტების ასეთი შეუფასებლობა წარმოადგენს აშკარა ოპორტუნისტულ გადახრას. გასაქანის მიცემას ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ტენდენციებისათვის.

მეორე გადახრაა მუშათა კლასისა და საშუალო გლეხობის კავშირის მნიშვნელობის შეუფასებლობა (ტროცკიზმი), რაც გამოწვეულია რწმენის დაკარგვით სოციალიზმის მშენებლობის საქმისადმი და კაპიტულიანტობით სიძნელეთა წინაშე.

ორივე ამ გადახრის წინააღმდეგ პარტია აწარმოებდა და აწარმოებს კიდეც გადამჭრელ ბრძოლას. როგორც თებერვლის წერილში პურის დამზადების შესახებ, ისე აპრილის და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებებში ცეკა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა ორ ფრონტზე, ორივე გადახრის წინააღმდეგ.

„პარტიამ თავისი პოლიტიკის გატარების დროს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს როგორც იმ ელემენტებს, რომლებიც გამოხატავენ ბურჟუაზიულ ტენდენციებს ჩვენს ქვეყანაში და ცდილობენ გვერდი აუხვიონ მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებას „კულაკების წინააღმდეგ შეტევის გაძლიერების“ შესახებ, ისევე იმ ელემენტებს, რომლებიც ცდილობენ საგანგებო დროებით ზომებს მისცენ მუდმივი ან ხანგრძლივი კურსის ხასიათი და მით მუშებისა და გლეხების ძირითადი მასის კავშირის საქმე დააყენონ საფრთხის წინაშე“ (იხ. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას ივლისის პლენუმის რეზოლიუციები).

სოციალისტური მშენებლობის ძლევამოსილად დაგვირგვინება შეიძლება მხოლოდ მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცების საფუძველზე მუშათა კლასის ხელმძღვანელობით.

ამიტომ პარტია ისევე ენერგიულად იბრძოლებს ტროცკიზმის ნამსხვრევების წინააღმდეგ, როგორც იბრძოდა თვით ტროცკიზმის წინააღმდეგ; პარტიამ აგრეთვე ენერგიულად უნდა იბრძოლოს აშკარა ოპორტუნისტული მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, მაშასადამე, ამ გადახრისადმი შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგაც.

პარტიის ბრძოლაში გენერალური ბოლშევიკური ხაზიდან გადახრების წინააღმდეგ, კერძოდ მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, მოსკოვის ორგანიზაცია იყო და დარჩება ცეკას მტკიცე დასაყრდენად ჩვენი პარტიის ბოლშევიკური ლენინური ხაზის ენერგიულად გატარების დაცვის საქმეში. მან გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწია ტროცკისტულ ოპოზიციას და დასძლია თავისი ცალკე ფენების იდეური მერყეობა. როგორც პარტიის მე-15 ყრილობამდე, ისე ამჟამად, მოსკოვის ორგანიზაცია მოსკოვის კომიტეტის მეთაურობით მთლიანად და სავსებით სდგას პარტიის ხაზზე და განუხრელად იბრძვის საერთო პარტიული ხაზის ყოველგვარი გამრუდების წინააღმდეგ. პოლიტიკურად მომწიფებული, ბოლშევიკურ ტრადიციებზე აღზრდილი მოსკოვის ორგანიზაცია იჩენდა და იჩენს უდიდეს ყურადღებას და სისასტიკეს პარტიული ხელმძღვანელობის პრინციპიალური სიმტკიცის დაცვის საქმეში და ენერგიულ წინააღმდეგობას უწევს საერთო პარტიული გეზის მიფუჩეჩების ყოველგვარ ცდას.

მართალია, მოსკოვის კომიტეტის ზოგიერთმა წევრმა და ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელმა უკანასკნელ დროს ერთგვარი რყევა გამოიჩინა ლენინური ხაზიდან მემარჯვენე გადახრებთან ბრძოლის საქმეში და დაუშვა შემარიგებელი დამოკიდებულება ამ გადახრებისადმი, რაც მიუღებელია ბოლშევიკური პარტიისათვის. ამ გარემოებამ ამას წინად გამოიწვია მოსკოვის ორგანიზაციის პარტიული აქტივის განსაზღვრული ნაწილის უკმაყოფილება, რომელიც მიმართული იყო ასეთი შეცდომების გამოსწორებისაკენ. ეს უკმაყოფილება დაიწყო მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საკონტროლო კომისიის სექტემბრის პლენუმის შემდეგ, ვინაიდან ამ პლენუმის რეზოლიუციებში მკაფიო გამოხატულება ვერ ჰპოვეს კომინტერნის მე-6 კონგრესისა და ცეკას პლენუმის გადაწყვეტილებებმა მემარჯვენე გადახრებთან და მათდამი შემარიგებელ დამოკიდებულებასთან ბრძოლის შესახებ. —

მაგრამ ცეკა აღნიშნავს, რომ მოსკოვის კომიტეტმა უკვე მიიღო ყველა საჭირო ზომა დაშვებული ცალკე შეცდომების გამოსასწორებლად, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა მოსკოვის კომიტეტის წერილში 2 ოქტომბრის თარიღით.

ცეკა აცხადებს, რომ მოსკოვის კომიტეტი საერთოდ და მისი ხელმძღვანელი კადრი ატარებდა და ატარებს პარტიის ხაზს და განუხრელად ახორციელებს პარტიის ორგანოების გადაწყვეტილებებს.

ცეკა აცხადებს, რომ ლაყბობა იმის შესახებ, თითქოს მოსკოვის კომიტეტი უპირისპირდება პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს.

ამიტომ ცეკა ღრმად დარწმუნებულია, რომ იმ ბრძოლას, რომელსაც უკანასკნელ დროს ადგილი ჰქონდა მოსკოვის ორგანიზაციის შიგნით, დაუყოვნებლივ მოეღება ბოლო.

ცეკა მოუწოდებს მოსკოვის ორგანიზაციის წევრებს უზრუნველჰყონ ბოლშევიკების სრული მთლიანობა საერთო პარტიულ გადაწყვეტილებათა და მოსკოვის კომიტეტის მიერ უჯრედების ბიუროების გადარჩევის შესახებ გამოქვეყნებული სათანადო წერილის საფუძველზე.

ცეკა დარწმუნებულია, რომ უჯრედების ბიუროების გადარჩევა და პარტიული კონფერენციებისათვის მზადება ჩატარდება გულდამშვიდებით, ამხანაგურ ატმოსფერაში, თვითკრიტიკის ფართოდ გაშლისა და მთელი პარტიული და მუშათა მასის ჩვენი პარტიის ძირითადი ლოზუნგების ირგვლივ დარაზმვის ნიშან ქვეშ.

აუცილებლად დავიცვათ ინდუსტრიის განვითარების ეხლანდელი ტემპი! —

მასიურად ჩავაბათ სოფელი კოოპერაციაში და ვიმუშაოთ მისი სოციალისტურად გარდაქმნისათვის!

განვამტკიცოთ მუშებისა და ღარიბი გლეხების კავშირი საშუალო გლეხობასთან მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის უზრუნველყოფის საფუძველზე!

ავწიოთ მუშათა კლასის და სოფლის მშრომელი მასების მატერიალური და კულტურული დონე! —

გამოვუცხადოთ ბრძოლა მერყეობასა და უპრინციპობას პოლიტიკაში, მხარი დავუჭიროთ მტკიცე ლენინურ ხელმძღვანელობას!

გაუმარჯოს მოსკოვის ორგანიზაციის მჭიდრო შეკავშირებას და ბოლშევიკურ მთლიანობას!

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი.
მოსკოვი, 19 ოქტომბერი.

თათბირი შემოდგომის თესვის შესახებ

გუშინ, საღამოს ა.-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოში ამხ. **ნაზარეტიანის** თავმჯდომარეობით შესდგა ა.-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს იმ კომისიის სხდომა, რომელსაც დავალებული აქვს შემოდგომის თესვის კამპანიის ჩატარება ა.-კავკასიის რესპუბლიკებში.

ჩატარებული მუშაობის შესახებ სხდომაზე მოხსენებები გააკეთეს: აზერბეიჯანის მიწადმოქმედების სახ. კომისარმა ამხ. **ბუნიატ-ზადემ**, საქართველოს მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. **სამადაშვილმა**, სომხეთის მიწადმოქმედების სახ. კომისარმა ამხ. **ერზინკიანმა**.

თანამოხსენებით გამოვიდნენ სასოფლო-სამეურნეო კრედიტისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელნი, რის შემდეგაც გაიმართა კამათი.

სხდომის დაწვრილებითი ანგარიშს ხვალ მოვათავსებთ.

გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის ტირაჟი

ვაგარშაპატი, 19 ოქტომბერი. 19 ოქტომბერს დილით დელეგატების თანდასწრებით გლეხის მეურნეობის განმტკიცების სესხის მე-17 სერიის მომგებიანი ბილეთები ჩადებულ იქნა სატირაჟო მანქანაში.

საღამოს შესდგა საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრენ სომხეთის მთავრობის წარმომადგენლები. საზეიმო სხდომის შემდეგ დაიწყო ტირაჟი.

უკანასკნელი ცნობები

პოლონეთის პროლეტარიატის ბრძოლა

„ბრძოლა სრულ გამარჯვებამდე“

ვარშავა, 19 ოქტომბერი. ლოძის ფეიქართა გაფიცვის 16 დღე, მიუხედავად გაფიცულთა მძიმე მატერიალური მდგომარეობისა, უნაკლოთ ჩატარდა. გაფიცულთა ლოზუნგია: „ბრძოლა სრულ გამარჯვებამდე“. გაფიცულთა ჯგუფები ქუჩებში ერთმანეთს ესალმებიან სიტყვებით: „გაუმარჯოს გაფიცვას“. „ბრძოლა სრულ გამარჯვებამდე“.

უკანასკნელ დღეებში რეფორმისტულმა მოღვაწეებმა, რომლებიც გაფიცვას ხელმძღვანელობენ, გადადგეს მნიშვნელოვანი ნაბიჯები მის ჩასაშლელად. დამახასიათებელი იყო პირველ ყოვლისა მუშაობის განახლების ნებართვის მიცემა პოლიგრაფიული მრეწველობისა და კომუნალური მეურნეობის მუშაკებისათვის, რამაც ზიანი მიაყენა გაფიცვას.

ამ ტაქტიკის მეორე მაგალითს წარმოადგენს ლოძის ქალაქის თავის ზემენტსკის გამოსვლა შუამავლის როლში. მისმა მისიამ არავითარი ნაყოფი არ გამოიღო და მხოლოდ მერყეობა შეიტანა ნაკლებად შეგნებულ მუშების რიგებში. სრულიად უპასუხისმგებლო და აშკარა კაპიტულიანტური ხასიათი ჰქონდა პროფკავშ. მოღვაწეების წინადადებას მხარეთა კონფერენციის მოწვევის შესახებ, რამაც დაბადა შეთანხმების ილუზიები იმ დროს, როცა საყოველთაო გაფიცვა გაჩაღებული იყო.

პოლონეთის სოც. პარტიის მომხრეებიც კი აღნიშნავენ, რომ ფაბრიკანტებს მოლაპარაკების დროს თავხედურად ეჭირათ თავი.

გაფიცულებზე ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს აგრეთვე მოქმედება პროფკავშირების ცენტრალური კომისიის, რომელმაც დღემდე ვერ მოიცალა გაფიცულთათვის დახმარების საკითხის განსახილველად.

თუ რამდენად გამხრწნელ გავლენას ახდენს კომისიის ასეთი საქციელი, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ერთი ფაბრიკის მუშებმა პეტროკოვში განაახლეს მუშაობა, მაგრამ დაადგინეს კვლავ გაიფიცონ, თუ ცენტრალური კომისია საყოველთაო გაფიცვას გამოაცხადებს.

ლოძში კომუნალური მეურნეობის მუშებმა განაახლა მუშაობა და დაადგინა, რომ კვლავ გაიფიცებიან, თუ საჭიროებამ მოითხოვა.

ბურჟუაზიული პრესა ენერგიულად ავრცელებს ტენდენციოზურ ცნობებს, თითქო გაფიცულები წელში არიან გატეხილი და დღე დღეზე მოსალოდნელია გაფიცვის ლიკვიდაცია. პრესა არ მალავს, რომ ფაბრიკანტებს გადაწყვეტილი აქვთ სიმშილობით აიძულონ გაფიცულები, მუშაობა განაახლონ.

მოღალატეების წინააღმდეგ

ვარშავა, 19 ოქტომბერი. იმ პროფკავშირების წევრები, რომელთაც პოლონეთის მენშევიკური პარტია ხელმძღვანელობს, აღშფოთებული არიან ხელმძღვანელთა გამცემლური ტაქტიკით. ლოძის მთელ რიგ პროფკავშირებში ადგილი ჰქონდა შეტაკებებს. პროფკავშირების გამგეობებმა განკარგულება გასცეს კავშირების სახლებში არ შეუშვან არც ერთი მუშა, რომელზეც ეჭვობენ, რომ ის „კომუნიზმს თანაუგრძნობს“. შეტაკება, რომელიც ცემა-ტყეპით დასრულდა მოხდა ებრაელ ფეიქართა პროფკავშირის ცენტრალურ შენობაში. შეტაკების დროს რამოდენიმე კაცი დაიჭრა.

მკერავთა პროფკავშირის მემარცხენე ფრთამ კავშირის წევრთა კრებაზე წარადგინა რეზოლიუცია, რომელშიაც გაკიცხული იყო გაფიცვის ხელმძღვანელთა პოლიტიკა. კენჭის ყრით რეზოლიუცია მიღებულ იქნა ხმების დიდი უმრავლესობით. კრების დასასრულ მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც რამოდენიმე კაცი დაიჭრა. (ადს).

ბრძოლა გრძელდება

ვარშავა, 19 ოქტომბერი. საერთო გაფიცვა კიმში გრძელდება. შტრეიკბრეხერებმა რამოდენიმეჯერ სცადეს აღედგინათ მუშაობა ცენტრალურ ელექტრო სადგურზე. ზგერჟში გამოცხადებულია ფეიქართა საერთო გაფიცვა; ნაწილობრივ გაფიცული არიან დანარჩენ წარმოებათა მუშებიც.

პეტროკოვში გრძელდება ფეიქართა გაფიცვა. (ადს).

გაფიცვა ფართოვდება

ვარშავა, 19 ოქტომბერი. ბელოსტოკის რაიონის საფეიქრო ფაბრიკების მუშა-ქალთა დელეგატების კრებამ დაადგინა 19 ოქტომბერს გამოაცხადოს გაფიცვა ლოძში. ამასთანავე ბელოსტოკელმა ფეიქრებმა მოითხოვეს ხელფასის მომატება 20 პროცენტით.

ფეიქართა ვარშავის კავშირმა დაადგინა სოლიდარობის გაფიცვა გამოაცხადოს ვარშავის ყველა საფეიქრო ფაბრიკებში. სახლს, სადაც კრება გაიმართა, ალყა შემოარტყა პოლიციამ, რომელიც სცდილობდა არ დაეშვა დემონსტრაციები.

ვარშავაში უკვე გაფიცულია 2500 ფეიქარი. კოტოვიცში მელითონეთა კავშირმა გააუქმა კოლექტიური ხელშეკრულება და წინადადება მისცა მრეწველებს დადებულ იქნას ახალი ხელშეკრულება, რომელიც გულისხმობს ხელფასის გადიდებას. (ადს).

მემარცხენენი კონფერენციაში მონაწილეობას არ იღებენ

ვარშავა, 18 ოქტომბერი. ლოძის საფეიქრო ქარხნების პატრონებმა ვარშავაში კონფერენციაზე, რომელიც შრომის სამინისტროში იმართება, გაგზავნეს მხოლოდ რამდენიმე თავიანთი მოხელე რითაც მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ გაფიცვის ლიკვიდაციაში ისინი მაინცა და მაინც ძალიან არ არიან დაინტერესებულნი. მემარცხენე პროფკავშირულმა ჯგუფებმა უარი განაცხადეს კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე. (ადს).

რეფორმისტები ხელს უშლიან სამთამადნო მუშათა გაფიცვას

ბერლინი, 19 ოქტომბერი. გერმანიის შრომის მინისტრმა, სოც.-დემოკრატმა ვისსელმა სავალდებულოდ გამოაცხადა სამედიატორო სასამართლოს დადგენილება ქვემო სილეზიის ნახშირის მრეწველობაში წარმოშობილ კონფლიქტების შესახებ, რომელიც უარყოფილი იყო გაფიცულების მიერ. ამით ისარგებლეს პროფკავშირების რეფორმისტულმა ბელადებმა და გაფიცულთა საერთო სურვილის წინააღმდეგ გაფიცვა დასრულებულად გამოაცხადეს. და ჯერ კიდევ პროფკავშირის რაიონულ კონფერენციის მოწვევამდე მოითხოვეს, რომ გაფიცული სამთამადნო მუშები შესდგომოდნენ მუშაობას.

რეფორმისტებმა ყველა ზომები მიიღეს, რომ გავლენა მოეხდინათ რაიონულ კონფერენციაზე და მათ მართლაც შესძლეს 154 ხმით 94-ის დადგენილების მიღება გაფიცვის შეწყვეტის შესახებ.

უმცირესობამ განაცხადა პროტესტი ასეთი დადგენილების გამო. (ადს).

სიმშილობა ბესარაბიაში

ვენა, 18 ოქტომბერი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობებით ჯანმრთელობის მინისტრმა ინკულეცმა (დამშეულთა დამხმარე კომისიის თავმჯდომარემ) წინადადება მისცა მინისტრთა საბჭოს მოეწყოს ბესარაბიაში საზოგადოებრივი სამუშაოები იმ მიზნით, რომ დამშეულ გლეხობას სამუშაო მიეცეს. განზრახულია გაყვანილ იქნეს ახალი გზატკეცილი, აგებულ იქნეს ჰოსპიტალები და სხვ. სულ საზოგადოებრივ სამუშაოებზე უნდა დაიხარჯოს 40 მილ. ლეი.

შემდეგ ინკულეცი იძლევა წინადადებას, რომ ბანკებმა ბესარაბიის ხუთ დამშეულ ოლქს (ლაპაუშნას, აკკერმანის, ბენდერის, იზმაილის და (კაგულის) გაუხსნას კრედიტი 87 მილ. ლეის რაოდენობით.

მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ინკულეცის წინადადებები. (ადს).

ვენა, 18 ოქტომბერი. „დიმინიაცას“ ცნობით დამშეულთათვის გაგზავნილი სიმინდი დამპალი აღმოჩნდა (ადს).

გადაფრენა ატლანტის ოკეანეზე

ნიუ-იორკი, 18 ოქტომბერი. 17 ოქტომბერს ნიუ-ფაუნდლენდიდან გამოფრინდა ინგლისის მფრინავი ლეიტენანტი მაკდონალდი, რომელიც ატლანტის ოკეანეზე უნდა გადაფრინდეს. გადაფრენის უკანასკნელი პუნქტად დასახელებულია ლონდონი. ამ გადაფრენას მაკდონალდი მოახდენს პატარა, ერთადგილიან აეროპლანით, რომლის მატორის ძალა 85 ცხენის ძალას უდრის. ამ სახის აეროპლანით ინგლისის მფრინავმა ბროდმა დაამყარა ფრენის ხანგრძლივობის რეკორდი მსუბუქი აეროპლანისათვის. მან ჰაერში 24 საათი დაჰყო. მაკდონალდის განზრახვა საშიშია; ეს სჩანს თუნდაც იქიდანაც, რომ მას ჰაერში ყოფნა მოუხდება 24 საათზე მეტს ხანს. რამდენიმე თვის წინად პატარა აეროპლანით მაკდონალდი გადაფრინდა შემდეგ მარშრუტით: საფრანგეთი—იტალია—ეგვიპტე—არაბეთი—მესოპოტამია—პალესტინა—სირია. მაკდონალდს ბენზინი 35 საათის ეყოფა. სტარტის შემდეგ მაკდონალდისაგან არავითარი ცნობა აღარ მიუღიათ (ადს).

სახალინის პარტორგანიზაციის კონფერენცია

ალექსანდროვსკი, 19 ოქტომბერი. სახალინის კუნძულზე ყველა რაიონის წარმომადგენელთა მონაწილეობით მთელი კვირის განმავლობაში გრძელდებოდა პირველი პარტიული კონფერენციის მუშაობა. კონფერენციაზე აღინიშნა პარტიული ორგანიზაციის ჯანსაღი ზრდა მუშების ხარჯზე. კონფერენციამ აირჩია საოლქო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში მუშები 80 პროცენტს შეადგენენ. (ადს).

ავტოდორის ყრილობაზე

მოსკოვი, 19 ოქტომბერი. 18 ოქტომბერს ავტოდორის ყრილობის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ავტოტრესტის წარმომადგენელის ამხ. სემენოვისა საბჭოთა ქარხნებში ავტომშენებლობის შესახებ. სემენოვმა განაცხადა, რომ ხუთწლიან გეგმით მეხუთე წლის დასასრულს ქარხანა „ამო“-მ უნდა გამოუშვას ყოველ წლიურად 4.000 საბარგო ავტომობილი, იაროსლავის ქარხანამ—1.000 სხვ. ავტომობილი, ქარხანამ № 4 მოსკოვში—2,500 მსუბუქი მანქანა.

ახალი აკადემიკოსების არჩევნების გამო

ლენინგრადი, 19 ოქტომბერი. 18 ოქტომბერს სამეცნიერო აკადემიაში მოხდა სოციალ-ეკონომიურ მეცნიერებათა კომისიის სხდომა. ოთხ თავისუფალ ადგილზე ერთხმად გავიდნენ კანდიდატები ამხ. **ბუხარინი—კრიჟანოვსკი,** მასლოვი და სოლნცევი. (ადს).

საბჭოთა მედიცინის 10 წლის თავი

მსოფლიოში პირველი საბჭოთა რესპუბლიკა—რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერატიული რესპუბლიკა ამჟამად დღესასწაულობს საბჭოთა მედიცინის ათი წლის თავს.

საბჭოთა რუსეთის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატი და ჯანმრთელობის დაცვის თვითეული მუშაკი ყველა მშრომელთან ერთად დღეს ჯამს უკეთებენ წითელი მედიცინის მშენებლობის პირველ ეტაპს და დღესასწაულობენ მის გამარჯვებას. მათთან ერთად ამ ღირსშესანიშნავ იუბილეს დღესასწაულობს აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის ყველა მუშაკი მთელს კავშირში, ვინაიდან საბჭოთა მედიცინა, როგორც დიადი ოქტომბრის ღვიძლი შვილი, ეკუთვნის ყველა საბჭოთა რესპუბლიკას.

საბჭოთა მედიცინა წარმოიშვა პროლეტარულ სახელმწიფოს არსებობის პირველსავე ხანაში, პროლეტარულ რევოლიუციასთან—ოქტომბერთან ერთად. ის მკაფიოდ ჩამოაყალიბა მუშათა კლასის დიდმა ბელადმა ლენინმა, რის შემდეგ მან განსაზღვრული ადგილი დაიკავა კომუნისტური პარტიის პროგრამაში, რომელიც მეოცდახუთე მუხლი ნათლად განმარტავს საბჭოთა მედიცინის ბუნებას და პარტიის ამოცანებს მშრომელთა გაჯანსაღების საქმეში. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ენერგიულად შეუდგენ საკუთარი მედიცინის შექმნას.

ძნელ პირობებში დაიწყო ეს მუშაობა. სამოქალაქო ომის ცეცხლში, სასურსათო დაბრკოლებების, ნგრევის და სახადის საშინელი ეპიდემიის დროს საბჭოთა მედიცინის პიონერები საფუძველს უყრიდენ მას.

მაგონდება საბჭოების სამკურნალო-სანიტარულ განყოფილებათა პირველი სრულიად რუსეთის ყრილობა მოსკოვში 1918 წლის ივნისში.

ყრილობა გაიმართა პოლიტექნიკურ მუზეუმის შენობაში. მას დაესწრენ ამხ. სემაშკო, სოლოვიევი, პერვუხინი, ბონჩ-ბრუევიჩი (ველიჩკინა), ვინოკუროვი და სხვ. ყრილობაზე გამოვიდნენ ყოფ. ერობის საექიმო მუშაკნი, რომლებიც ამტკიცებდენ, რომ მედიცინა პოლიტიკის გარეშე უნდა იდგესო. აქ პირისპირ შეხვდენ ერთი-მეორეს ორი იდეოლოგიური მიმართულებათა წარმომადგენელნი ყრილობის განწყობილების გარდატეხაზე და მის მიერ კლასობრივი მედიცინის სასარგებლოდ გამოტანილ დადგენილებებზე. გადამწყვეტი გავლენა იქონია ამხ. სემაშკოს ბრწყინვალე გამოსვლამ. ამხ. სემაშკომ, რომელმაც მარქსისტული ანალიზით გამოააშკარავა საერობო მედიცინის ყველა შინაგანი წინააღმდეგობანი და ცხადყო, რომ საჭიროა გადასვლა ახალ გზებზე, რომლებიც შეეფერებიან პროლეტარულ სახელმწიფოს ამოცანებს. სწორედ ამ მიმართულებით იქნა გამოტანილი ყრილობის ყველა დადგენილება.

1918 წლის ივლისში სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის დაარსების შესახებ ამხ. სემაშკოს მეთაურობით.

პირველად მედიცინის ისტორიაში მხოლოდ პროლეტარულმა ხელისუფლებამ მისცა ასეთი მნიშვნელობა, ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს და შექმნა ცალკე სახალხო კომისარიატი.

საბჭოთა რუსეთის შემდეგ ყოფ. რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე დაარსებულმა სხვა საბჭოთა რესპუბლიკებმაც შექმნეს ცენტრალური აპარატები და მმართველობის მოქნილი სისტემა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მეთაურობით და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებებით ადგილებზე.

ამით განხორციელდა საბჭოთა მედიცინის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი—მისი ორგანიზაციის ერთიანობა და მთლიანობა. გაერთიანებულ იქნა ჯანმრთელობის დაცვის საქმე, რომელიც წინედ დანაწილებული იყო ათ სხვადასხვა უწყებას შორის. ამ ორგანიზაციულმა სისტემამ სავსებით გაამართლა თავისი არსებობა და ბურჟუაზიულ დასავლეთშიაც კი გამოიწვია მიბაძვის სუსტი ცდები, ჯანმრთელობის დაცვის ცალკე სამინისტროების მოწყობის სახით (ინგლისი, ჩეხო-სლოვაკია, იტალია).

მაგრამ საბჭოთა მედიცინას ახასიათებს არა მარტო ახალი საორგანიზაციო ფორმები, არამედ მისი ბუნებაც უაღრესად განსხვავდება ბურჟუაზიულ მედიცინისაგან—პროლეტარიატის კლასობრივ სახელმწიფოს პრინციპებთან შედარებით.

მხოლოდ საბჭოთა მედიცინამ დასვა ჯანმრთელობის დაცვის საკითხები მთელი თავისი სიგრძე-სიგანით.

ძველი მკურნალობის და „შეკეთების“ სისტემიდან, რაც ახასიათებს როგორც ერობის, ისე დასავლეთ ევროპის ძველ ვიწრო სამკურნალო მედიცინას, მან სიმძიმის ცენტრი გადაიტანა პროფილაქტიკის სფეროში — დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის, დაავადებების წყაროების აღმოფხვრის და მთელი მოსახლეობის შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაჯანსაღების სფეროში. მხოლოდ საბჭოთა მედიცინამ დაიწყო და განავითარა ფართო მუშაობა აღნიშნულ მიმართულებით.

შრომის დაცვის დარგში მსოფლიოში ყველაზე უფრო სრულყოფილი კანონმდებლობა, რომლის დამუშავება და ცხოვრებაში გატარება საბჭოთა კავშირში ხდება მშრომელთა უშუალო მონაწილეობით და კონტროლით და რომელიც უზრუნველყოფს მშრომელი კლასის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას სოციალური დაზღვევა, 7 საათის სამუშაო დღე, შემცირებული სამუშაო დღე, ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით მავნებელ წარმოებებში, მცირე-წლოვანთა შრომის აკრძალვა, შრომის შემსუბუქებული პირობები მოზარდთათვის, ღონისძიებები ქალთა შრომის დასაცავად, ქალთა განთავისუფლება და სხვა—აი რით განსხვავდებით ჩვენ ბურჟუაზიული ქვეყნებისაგან, სადაც კაპიტალისტები დაავადებულ მუშებს გულგრილად ყრიან ქუჩაში, როგორც მოშლილ და გაცვეთილ მანქანას.

სოციალურ სნეულებებთან ფართე ბრძოლა, ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა, ფიზკულტურა და სხვა—აი, ის საშუალებები, რომლებითაც საბჭოთა მედიცინამ უნდა აღმოფხვრას სნეულებათა წყაროები და რომელთა საბოლოო მიზანია ჯანსაღი კოლექტივის შექმნა.

ამასთანავე ერთად მკურნალობის საქმეშიც საბჭოთა მედიცინამ წამოაყენა ახალი გზები და მეთოდები—მოსახლეობასთან დაახლოებულ უფასო კვალიფიციურ დახმარების სახით.

მხოლოდ საბჭოთა სინამდვილის პირობებშია შესაძლო ყველა ამ ამოცანის დასმა და გადაჭრა, ვინაიდან მხოლოდ საბჭოთა კავშირში იღებენ უშუალო მონაწილეობას მშრომელნი ჯანმრთელობის დაცვის საქმის მშენებლობაში.

წარსულში მეფის თვითმპყრობელობით შებოჭილი საზოგადოებრივი ძალები მშრომელთა ხელისუფლების დროს ახორციელებენ საბჭოთა მედიცინის ამოცანებს ლოზუნგით—„მშრომელთა ჯანმრთელობა—თვით მშრომელთა საქმეა“.

პროფესიონალური კავშირები, ქალთა განყოფილებები, კომკავშირის ორგანიზაციები, პიონერთა ორგანიზაციები, გლეხკომები, ჯანმრთელობის დაცვის სექციები საბჭოებთან, სოციალურ დახმარების საბჭოები, ჯანმრთელობის დაცვის უჯრედები, სანიტარული კომისიები და სხვ., ის ფორმები, რომლებშიაც მშრომელნი აყალიბებენ თავის მონაწილეობას თავის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. ამასთანავე ერთად საბჭოთა მედიცინამ დასაყრდენი ჰპოვა მეცნიერებაში, რომელიც საბჭოთა ქვეყანაში ემსახურება იმავე მშრომელთა ინტერესებს და რომელიც იმყოფება მჭიდრო და უშუალო კავშირში შრომასთან. საბჭოთა მედიცინის ამ თავისებურობამ ბრწყინვალე შედეგები მოგვცა სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, რასაც ჩვენ ნათლად ვხედავთ საბჭოთა მედიცინის ათი წლის თავზე.

რა მისცა საბჭოთა მედიცინამ საბჭოთა კავშირის მშრომელთ?

ეპიდემიური სნეულებანი, რომლებიც წინად ყოველწლიურად სიცოცხლეს უსპობდა რამდენიმე ასი ათას კაცს, მნიშვნელოვნად შემცირდა. პარტახტიანი ტიფი, რომელიც არაჩვეულებრივად მძვინვარებდა სამოქალაქო ომის წლებში და საფრთხეში აგდებდა ოქტომბრის რევოლიუციის საქმეს, საბჭოთა მედიცინის განსაკუთრებულ მეთოდების წყალობით დაყვანილია მინიმუმამდე. მოიმატა მოსახლეობის ბუნებრივმა ზრდამ, ასე მაგალითად: მოსახლეობის თვითეულ ათას კაცზე 1913 წ. დაბადება უდრიდა 45,3 პრ., სიკვდილი—29 პრ., ბუნებრივი ზრდა—16,3 პრ., ხოლო—1925 წლის სათანადო პროცენტები შემდეგია: 46,9 25,8 და 21,3. განსაკუთრებით შემცირდა ბავშვთა სიკვდილიანობა ერთი წლის ხანაკამდე. ძველ რუსეთში 100 დაბადებულიდან 1 წლის ხანაკამდე კვდებოდა 26 ბავშვი, ხოლო 1925 წელს 19 ბავშვი, მოსკოვში კი—13.

ეს ციფრები გვიჩვენებს, რომ საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებებმა, რომლებიც მიმართულია მოსახლეობის კულტურულ დონის ზრდისაკენ, მისი მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ და სხვ.,—მოგვცა საგრძნობი შედეგები ყოველწლიურად ასეული ათასი სიცოცხლის შენარჩუნებების სახით.

საექიმო დახმარება მნიშვნელოვნად გაფართოვდა, გაიზარდა სპეციალურ საწოლების რიცხვი; მთელ რიგ მაზრებში მოწყობილია ისეთი სპეციალური საწოლები, რომლებიც წინად სრულებით არ ყოფილა. გაიხსნა პოლიკლინიკები, სპეციალური ამბულატორიები და ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტები, მთელ რიგ საავადმყოფოებში მოწყობილია რენტგენის კაბინეტები.

დაზღვეულები სარგებლობენ ყოველგვარი სახის საექიმო დახმარებით უფასოდ და პირველ რიგში. მნიშვნელოვნად გაიზარდა სოფლის სამკურნალო ქსელი ომის წინა დროსთან შედარებით; ასე, მაგალითად: საბჭოთა რუსეთში 1913 წელს იყო 2.517 საექიმო უბანი, ეხლა კი არის 4221 საექიმო უბანი, ღარიბ გლეხობას ეძლევა ფართო საექიმო დახმარება. უფასოდ ეძლევა მედიკამენტები.

სპეციალურ სნეულებებთან — ტუბერკულიოზთან და ვენერიულ სნეულებებთან საბრძოლველად დაარსდა სრულიად ახალი ტიპის დაწესებულებები — დისპანსერები. ამჟამად საბჭოთა რუსეთში არსებობს 262 სატუბერკულიოზო და 159 ვენეროლოგიური დისპანსერი და 149 ვენერიული პუნქტი. დისპანსერების მუშაობაში ყველაზე უფრო მკაფიოდ და ნათლად არის გამოხატული მუშების მონაწილეობა შრომის და ყოფა-ცხოვრების გაჯანსაღების პრაქტიკულ ღონისძიებებში.

ბავშვების და დედობის დაცვა, რომელიც ძველ რუსეთში საქველმოქმედო საზოგადოებათა ხელში იყო, ამჟამად მტკიცე სახელმწიფო საფუძველზეა დამყარებული.

საბჭოთა რუსეთში ამჟამად არსებობს 880 საფაბრიკო ბაგა, 127 დედობის და ბავშვის სახლი, 348 ძუძუ-მწოვარ ბავშვთა სახლი, 654 კონსულტაცია ძუძუ-მწოვარ ბავშვთათვის, 222 კონსულტაცია ორსულთათვის, 128 იურიდიული კონსულტაცია, ხოლო ზაფხულობით სოფლებში ეწყობა 8.000 ბაგა ბავშვთათვის.

ბავშვთა დასაცავად ტარდება შემდეგი ღონისძიებები: გახსნილია ბავშვთა პროფილაქტიური ამბულატორიები, სატყეო სკოლები, გამოყოფილია სპეციალური სასკოლო-სანიტარული ექიმები, საექიმო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება საბავშვო სახლების, ბაღების და პიონერთა ორგანიზაციების მთელი შემადგენლობა.

კურორტები, რომლებიც წინად პრივილეგიურ კლასის გასართობ ადგილს წარმოადგენდნენ, საბჭოთა ხელისუფლებამ ჯანმრთელობის სახელოსნოებად გადააქცია. სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის კურორტებზე მოწყობილია სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, რომლებშიაც იგზავნებიან მშრომელნი ჯანმრთელობის აღსადგენად. ამ საქმეში განსაკუთრებით აღსანიშნავია გლეხთა კურორტი ყოფილ მეფის სასახლეში — ლივადიაში.

განსაკუთრებით დიდი მიღწევები გვაქვს წითელი არმიის გაჯანსაღების საქმეში. გადამდებ სნეულებათა რიცხვი წითელ არმიაში დაყვანილია მინიმუმამდე. მაგალითად: მუცლის ტიფის შემთხვევათა რიცხვი 1913 წელთან შედარებით 6-7 ჯერ შემცირდა. მნიშვნელოვნად შემცირდა აგრეთვე ვენერიული სნეულებანი და სიფილისი: 1913 წელს ვენერიული ავადმყოფთა რიცხვი 1000 კაცზე უდრიდა 31-ს ხოლო 1925 წელს 17-ს, სიფილისით დაავადებულთა რიცხვი 1913 წელს 1000 კაცზე უდრიდა 12,9-ს, ხოლო 1925 წელს — 10,4-ს. წითელი არმია უზრუნველყოფილია კვალიფიციური სამკურნალო დახმარებით. ამასთანავე ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წითელი არმიის სანიტარულ მდგომარეობას და წითელ არმიელთა სანიტარულ განათლებას.

საბჭოთა მედიცინის 10 წლის თავზე შეიძლება ითქვას, რომ წითელი არმიის სანიტარული მდგომარეობა ისეთ სიმაღლეზეა, როგორიც წარმოუდგენელი იყო მეფის ძველ არმიაში.

დიდი მიღწევებია ჩამორჩენილ ეროვნებებს შორის, რომელთაც მეფის დროს არც კი იცოდენ თუ რა იყო საექიმო დახმარება.

ასეთია სქემატიურად საბჭოთა რუსეთში საბჭოთა მედიცინის მიღწევები მისი არსებობის 10 წლის განმავლობაში.

მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს საბჭოთა მედიცინას ყველა მოკავშირე რესპუბლიკებში, სადაც მისი არსებობა ჯერ კიდევ არ განიზომება ათი წლით.

ჯანმრთელობის დაცვის საქმის ასეთი კოლოსალური განვითარება ჩამორჩენილ ქვეყანაში, რომელიც რევოლიუციამდე ექიმბაშების ხელში იყო, მოწმობს მასების გამოფხიზლებას, მასების, რომელთა კულტურული მოთხოვნილებები გაიზარდა, რაც თავისთავად დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს. მეორეს მხრივ ის გვიჩვენებს, თუ რა შესაძლებლობები იხსნება მშრომელი კლასის წინაშე, რომელმაც თავის ხელში აიღო ძალა-უფლება.

კულტურული რევოლიუცია, რომელსაც ახდენს საბჭოთა ხელისუფლება, თავის გამოხატულებას ჰპოვებს მასების სანიტარულ შეგნებაშიაც.

არსებული მიღწევები მოწმობს აგრეთვე, რომ პროლეტარიატმა აირჩია თავისი კლასობრივი მედიცინის სწორი ფორმები და რომ მისი პრინციპები და გზები გაამართლა ცხოვრებამ.

ლენინის იდეებმა კლასობრივი მედიცინის შესახებ, რომლებიც მან გადაისროლა ნაყოფიერ საბჭოთა ნიადაგზე, საუკეთესო ნაყოფი გამოიღო.

დარაზმული საექიმო მუშაკები, რომლებიც გაერთიანებული არიან მჭიდრო პროფესიონალურ ოჯახში, განაგრძობენ თავის ენერგიულ მუშაობას. მათ ხელმძღვანელობს ძველ ბოლშევიკთა ჯგუფი, რომელიც პარტიამ გაგზავნა ჯანმრთელობის დაცვის ფრონტზე და რომელმაც თავის ირგვლივ გააერთიანა საბჭოთა მედიცინის მშენებელთა კადრი. პირველ ადგილზე ჩვენ ვხედავთ ლენინის ანდერძის გადაუხვევლად გამტარებელს და შემსრულებელს, ჯანმრთელობის პირველ და შეუცვლელ სახალხო კომისარს, საბჭოთა მედიცინის თეორეტიკოსს და პრაქტიკოსს ამხ. ნ. ა. სემაშკოს.

ამხ. სემაშკოს იდეური ხელმძღვანელობით საბჭოთა მედიცინამ გაიარა თავისი განვითარების ყველა უძნელესი ეტაპი: ბრძოლა საექიმო მუშაკთა იმ კვალიფიციური ნაწილის იდეოლოგიურ დაპყრობა, რომლებიც პირველ ხანებში მერყეობას იჩენდენ, სამოქალაქო ომის ეპიდემიის და სიმშილის უძნელესი მომენტები, ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის და საბჭოთა მედიცინის პრინციპების დასაცავათ ბრძოლის კრიტიკული პერიოდი.

ყველა გაჭირვებიდან საბჭოთა მედიცინა კიდევ უფრო შემჭიდროებული და გამოწრთობილი გამოვიდა გეგმიანი და რაციონალური მშენებლობის გზაზე.

საექიმო მუშაკნი, რომელთაც გზას უჩვენებს კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება და ხელმძღვანელობას უწევენ გამოცდილი ბელადები, მუშათა და გლეხთა მასასთან მჭიდროდ დაკავშირებულნი, მტკიცედ წავლენ წინ ახალი გამარჯვებების და მიღწევებისაკენ.

გრ. კუჭაიძე.

თბილისის უჯრედები პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ

პარტიის გენერალური ხაზისათვის.—ენერგიული ბრძოლა ლენინური პოზიციების დასაცავად.—სასტიკი ბრძოლა მემარჯვენე გადახრების და მასთან შემრიგებლობის წინააღმდეგ.—არც ერთი ნაბიჯი უკან ინდუსტრიალიზაციის მტკიცე პოლიტიკისგან.—ღარიბ და საშუალო გლეხის მეურნეობის კოლექტივიზაციის და მექანიზაციის გზით ახალი სოფლის მშენებლობისაკენ.

ამხ. კახიანის მოხსენება

გუშინ, საღამოს, ქართულ მუშფაკის შენობაში შესდგა საქ. კომპ. თბ. ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის უჯრედების ჯგუფური კრება, რომელსაც დაესწრო მე-5 და 1-ლი სტამბის, სახ. უნივერსიტეტის, ქართულ მუშფაკის და მუშკოოპის უჯრედების წევრები.

პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქ. კომპ. ც. კომ. მდივანმა ამხ. მ. კახიანმა.

უჯრედების ბიუროების მორიგი გადარჩევა — ამბობს ამხ. კახიანი, როგორც მთელი საბჭოთა კავშირის, ისე საქართველოს პარტორგანიზაციაში დაიწყება ახლო მომავალში. ამასთან დაკავშირებით საჭიროა პარტიის თვითეული წევრი გაეცნოს ჩვენს მორიგ ამოცანებს როგორც იცით, ამას წინად მოხდა საქართველოს კომპარტიის ორგანიზაციის მუშაობის გამოკვლევა. საკავშირო ცეკას მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ჩვენი ორგანიზაციის მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად. ჩვენ გვაქვს მუშაობის ყოველ დარგში მნიშვნელოვანი მიღწევები, მაგრამ ამასთან ერთად გვაქვს ნაკლიც, რომლის გამოსწორებაც აუცილებელია.

მორიგი ამოცანები სოფლად

ცეკას რეზოლიუცია მიგვითითებს იმაზე, რომ განსაკუთრებული ყურადღეა მიექცეს სასოფლო მეურნეობის ინტენსიფიკაციას, ტეხნიკური კულტურების შექმნას და მოსავლიანობის გადიდებას. ამ მიზნის მისაღწევად არსებობს სამი გზა: ერთი — ინდივიდუალური მეურნეობის განვითარება, მეორე — სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია და მესამე დიდი საბჭოთა მეურნეობების შექმნა. ჩვენ რა თქმა უნდა ხელი უნდა შევუწყოთ ინდივიდუალური მეურნეობის წინსვლას, მაგრამ უმთავრესი ამოცანა მდგომარეობს სასოფლო მეურნეობის კოლექტიურად გარდაქმნაში და საბჭოთა მეურნეობების შექმნაში. ამ საკითხში ზოგიერთი ამხანაგები ვერ ერკვევიან. ისინი გვირჩევენ დავეყრდნოთ ინდივიდუალური მეურნეობის განვითარებას და ნაკლებად ვიზრუნოთ კოლექტივიზაციაზე. ეს, რა თქმა უნდა, შემცდარი აზრია.

ჩვენ დაინტერესებული ვართ სოციალისტური მეურნეობის ზრდით. სოციალისტურმა მეურნეობამ უნდა გაუსწროს ინდივიდუალურ მეურნეობას. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ სოფლად პროლეტარიატის დიქტატურის დასაყრდენი ბაზა, ასეთებია: საბჭოები, პარტორგანიზაციები და ღარიბთა კომიტეტები. ამ ორგანიზაციების განმტკიცებით ადვილად შევსძლებთ კულაკური ელემენტების შემოტევის დაძლევას. პარტიამ მტკიცედ უნდა გაატაროს სოფლად ლენინის ფორმულა, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: დაყრდნობა ღარიბეს გლეხობაზე, კავშირი საშუალო გლეხობასთან, დაუნდობელი ბრძოლა კულაკების წინააღმდეგ.

ივლისის პლენუმი პურის ფასების გადიდებით ერთგვარ დათმობაზე წავიდა საშუალო გლეხობის მიმართ, მაგრამ ამავე დროს პლენუმმა მიიღო სხვა მნიშვნელოვანი დადგენილებებიც კოლმეურნეობათა გაძლიერებისა და საბჭოთა მეურნეობების შექმნისათვის. საშუალო გლეხობა მერყევი ელემენტია. თუ ღარიბი გლეხობა ორგანიზაციულად შეკავშირებულია, კულაკების გავლენა საშუალო გლეხობაზე უმნიშვნელო იქნება.——

ამჟამად ჩვენ ვამჩნევთ კულაკური ელემენტების ამოძრავებას. ჩვენ მიერ თვითეული სოციალისტური პოზიციის დაპყრობა იწვევს მათ გააფთრებულ შემოტევას. პარტიის მოვალეობაა დარაზმულად შეხვდეს კულაკების შემოტევას და მტკიცედ განაგრძოს სოციალისტური მშენებლობა.

პარტიის ხაზის გამრუდებას ადგილი აქვს სოფლის მეურნეობის სხვა დარგშიაც. ესაა მიწის ნაციონალიზაციის საკითხი. ჩვენ ამას წინედ გავარჩიეთ გრიგოლ ლორთქიფანიძის წერილი, რომლის ავტორი ვითომც მხარს უჭერს საბჭოთა წყობილებას, მაგრამ ამავე დროს პირწავარდნილი მენშევიკია. ლორთქიფანიძე გვირჩევს ხელი ავიღოთ მიწის ნაციონალიზაციაზე და გლეხობას მიწის ყიდვა გაყიდვის ნება დავრთოთ. ეს იქნებოდა ოქტომბრის რევოლიუციის ერთ-ერთი უდიდესი პოზიციის დათმობა. ამის წინააღმდეგ პარტიის ხაზი აშკარაა, მაგრამ არიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც ნაწილობრივ მაინც იზიარებენ ასეთ შემცდარ თვალსაზრისს. ესაა მემარჯვენე საფრთხე პარტიაში, რომლის წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ. არავითარი დათმობა მიწის ნაციონალიზაციის საკითხში, აი ერთად-ერთი ლენინური ხაზი.

ინდუსტრიალიზაცია ჩვენი გაგებით

პარტიის მორიგ ამოცანას შეადგენს საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია. მე-14 ყრილობის მიერ აღებული ხაზი ამ საკითხში სავსებით სწორია და ის უცვლელი რჩება. ჩვენ უნდა შევქმნათ მძიმე ინდუსტრია, რომ შევსძლოთ მანქანების დამზადება და დამოუკიდებელი გავხდეთ კაპიტალისტური ქვეყნებისაგან. ამ საკითხის გამოც არსებობს ამხანაგებში ერთგვარი გადახრა. ტროცკისტული ოპოზიცია ჩვენ გვირჩევდა უფრო სწრაფი ტემპით გვეწარმოებია ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. ეხლა გამოდიან ამხანაგები და გვირჩევენ შევანელოთ ინდუსტრიალიზაციის ტემპი, მეტი ყურადღება მივაქციოთ მსუბუქი მრეწველობის განვითარებას, ეგრედ წოდებული სამანუფაქტურო წარმოებას, რაც თურმე მოგვცემს ქალაქის სოფელთან მტკიცედ დაკავშირების საშუალებას.

მაგრამ ასეთი შეხედულება არ არის სწორი. თუ წინედ სოფელი ჩვენგან მოითხოვდა მხოლოდ მანუფაქტურის მიწოდებას, ამჟამად ის მანუფაქტურასთან ერთად მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო იარაღებს. ამის მიწოდებას კი შევსძლებთ მძიმე მრეწველობის განვითარებით, ინდუსტრიალიზაციის განხორციელების გზით.

საქართველოში ინდუსტრიალიზაციისათვის ნიადაგის მომზადება ჩვენ დავიწყეთ ელექტროფიკაციით, მძლავრი ელექტრო-სადგურების აგებით. ზოგიერთ ამხანაგებს ამაშიაც შეჰქონდა ეჭვი, მაგრამ მათი ეჭვები არ გამართლდა. რიონჰესის ენერგიაზე დიდი მოთხოვნილებაა. რკინის გზის გამგეობა ჩვენგან მოითხოვს სასწრაფოდ დავამთავროთ რიონჰესის მშენებლობა.

ცეკას მიერ მიღებულ რეზოლიუციაში მოწონებული იქნა ჩვენი მუშაობა ელექტროფიკაციის დარგში. ამავე დროს ხსენებული რეზოლიუცია საჭიროდ სთვლის ყურადღება მიექცეს მრეწველობის ისეთ დარგებს, რომლებიც გადაამუშავებენ ადგილობრივ ნედლეულობას. ამ მხრივ უკვე გადადგმულია სათანადო ნაბიჯი. გვაქვს აბრეშუმის ძაფსადები ქარხნები ოზურგეთში, ხონში, სამტრედიაში, ქუთაისში და თელავში. ყურადღება ექცევა სამთო მრეწველობის განვითარების საქმესაც. ჭიათურის შავი ქვის მრეწველობა, რომელიც კონცესიონერ ჰარიმანს ჰქონდა გადაცემული, ისევ ჩვენს ხელში გადმოვიდა. ამით ჩვენ უსათუოდ მოვიგებთ, ვინაიდან მთელი ამ წლის განმავლობაში კონცესიონერს ჭიათურაში დანგრევისა და განადგურების მეტი არაფერი გაუკეთებია. კონცესიონერის დროს ჭიათურის შავი ქვის მრეწველობაში მუშაობდა 1.000-მდე კაცი. ჩვენ მიერ შემუშავებული პროგრამით ყოველ წლიურად საზღვარგარედ უნდა გავიტანოთ 30—40 მილიონი ფუთი შავი ქვა, რომლის დასამუშავებლად საჭირო იქნება 5—6 ათასი კაცი. ამრიგად შეიქმნება მუშათა კლასის ახალი კადრები. მაშასადამე, აქედან უნდა გამოვიყვანოთ შემდეგი დასკვნა, რომ არ იყვნენ მართალი ტროცკისტები, როცა გვირჩევდნენ ინდუსტრიალიზაციის ძალზე სწრაფი ტემპით გატარებას. არ არიან მართალი არც ისინი, რომლებიც გვირჩევენ ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელებას. ეს იქნებოდა ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის დამახინჯება, რასაც არავითარი საჭიროება არ მოითხოვს.

ნაციონალური საკითხი

შემდეგია ნაციონალური საკითხის მოგვარება. ამიერ-კავკასიაში და კერძოდ საქართველოში ამ საკითხს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ცეკამ აღიარა, რომ ჩვენ ლენინური სისწორით გადავჭერით ნაციონალური საკითხი. მაგრამ იმის თქმა, რომ სავსებით მოგვარებულია ეროვნული საკითხი, შეგვიძლია მხოლოდ მაშინ, როცა ნაციონალური უმცირესობებით დასახლებული რაიონების კულტურული დონე გაუთანაბრდება დანარჩენ რაიონებს.

უკანასკნელ ხანებში ჩვენი ქვეყნის შიგნით შექმნილ სიძნელეთა ნიადაგზე ჩვენ ვამჩნევთ ტროცკისტული ოპოზიციის გამოცოცხლებას და მემარჯვენე საფრთხეს. საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა როგორც ტროცკისტული ოპოზიციის ნაშთებთან, მემარჯვენე საფრთხესთან და აგრეთვე შემარიგებელთა პოლიტიკის წინააღმდეგაც.

ესაა პარტიის ძირითადი ამოცანა უჯრედების ბიუროების გადარჩევის დროს, რომელიც უნდა ჩატარდეს ფართე თვითკრიტიკის ნიადაგზე. თვითკრიტიკის ლოზუნგი, რომელიც გადმოისროლა ჩვენმა პარტიამ, ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ ფართედ გაშლილი, ამჟამად წარმოებს თვითკრიტიკის გატარების გამოკვლევა საქართველოში, რომელიც ალბად დაგვანახვებს, რომ თვითკრიტიკა არ გაშლილა სათანადოთ.

ბრძოლა ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ, თვითმოქმედების გაძლიერება, ლენინური ხაზის მტკიცედ გატარება, აი ერთერთი გზა ჩვენი საბოლოო გამარჯვებისათვის, ამ გზით მივალ ჩვენ პარტიის მე-16 ყრილობაზე.

მოხსენების დამთავრების შემდეგ. ამხ. კახიანმა პასუხი გასცა შემოსულ შეკითხვებზე, რის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი:

რეზოლიუცია

მოისმინა რა ამხ. კახიანის მოხსენება პარტიის მორიგ ამოცანების შესახებ, უჯრედების ბიუროების გადარჩევასთან დაკავშირებით, მე-4 რაიონის ჯგუფური კრება (მუშფაკის, სახელმწიფო უნივერსიტეტის, მე-5 და 1-ლი სტამბების და მუშკოოპის) აღნიშნავს მთელ რიგ სიძნელეებს, რომლებიც გამომდინარეობენ საბჭოთა კავშირის თანამედროვე სამეურნეო ვითარებისაგან. ეს სიძნელენი უმთავრესად გამოიწვია შეფერხებამ პურის დამზადებაში, რაიც თავის მხრივ გამოწვეულია სოფლად კაპიტალისტური ელემენტების ზრდით, კულაკური ელემენტების გამოცოცხლებით, სოფლის შეძლებული ნაწილის ცდით, რათა ჩაშალოს პურის დამზადების კამპანია, ხოლო მეორე მხრივ ჩვენი სოფლის მეურნეობის ტეხნიკურ ჩამორჩენილობით, გლეხური მეურნეობის დაქსაქსულობით და ამის გამო სოფლის მეურნეობის მცირე საქონლიანობით.

შეფერხებამ პურის დამზადების დარგში გამოიწვია მთელი რიგი უარყოფითი მოვლენები ქვეყნის მთელ სამეურნეო ორგანიზმის განვითარებაში. მე-15 ყრილობის და საკავშირო კომპარტიის ივლისის პლენუმის დადგენილებანი, ქმნიან აუცილებელ პირობებს ჩვენი სოფლის მეურნეობის საქონლიანობის ზრდისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის კოლექტივიზაციის გზით.

მთელი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან ერთად მტკიცედ უნდა გატარდეს სოფლად მანქანების ფართედ გავრცელება და მსხვილ კოლექტიურ მეურნეობათა შექმნა. ყოველგვარი ცდა, მიმართული სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის, ისე როგორც საერთო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელებისაკენ, ნიშნავს სოფლის სოციალისტური გარდაქმნის წინააღმდეგ გალაშქრებას და კულაკურ ელემენტების განვითარებისათვის ხელის შეწყობას. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია, ღარიბ და საშუალო გლეხური მოსახლეობის კოოპერატიული გაერთიანება და უველივე ამისათვის საბჭოების აუცილებელი გამაგრება უნდა სწარმოებდეს ჩვენი პარტიის მიერ სოფლის ღარიბ ფენებზე დაყრდნობით, მტკიცე კავშირით საშუალო გლეხობასთან და დაუნდობელი ბრძოლით კულაკების წინააღმდეგ. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის კოლექტივიზაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა სწორ კლასიურ პოლიტიკას, კლასიური ბრძოლის სათანადოთ ხელმძღვანელობას როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ასეთ პირობებში პარტიის ზოგიერთი წევრების მისწრაფება მიჩქმალონ კლასიური ბრძოლა სოფლად, არ გაუწიონ სათანადო წინააღმდეგობა გაძლიერებულ კულაკურ ტენდენციას, შექმნან სოფლის ე. წ. მშვიდობიან, უმტკივნეულო განვითარების ილუზია, ნიშნავს უარის თქმას სოფლის განვითარების ლენინურ გეგმაზე და მის მაგივრად სასოფლო მეურნეობის ბურჟუაზიულ - დემოკრატიული გზით წარმართვას, პროლეტარულ ელემენტების ინტერესების დავიწყებას და მუშურ-გლეხური ბლოკის იდეის ყალბათ გაგებას.

პარტიამ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ამ მემარჯვენე, ლიკვიდატორულ იდეოლოგიას და დაუზოგველად ამხილოს ის, მთელი პარტიული მასის წინაშე.

კრება სავსებით უერთდება თბილისის კომიტეტის მოწოდებას მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და მემარჯვენე გადახრების ძირშივე აღკვეთის მიზნით. მიზანშეწონილად მიაჩნია ფართე ახსნა-განმარტებითი მუშაობა მთელი პარტიის გასაცნობათ იმ საშიშროებასთან, რომელიც ჩამარხულია მემარჯვენე გადახრებში. პარტიის თვითეული წევრის მიზანია აქტიურად შეებრძოლოს ყოველგვარ ლიკვიდატორულ აზრებს ლენინურ პარტიაში. შეუძლებელია სცნოს მემარჯვენეების შეთავსება ლენინიზმთან და კატეგორიულად უარყოს ის შეხედულება, თითქოს ახალი ეკონომიური პოლიტიკა ნიშნავს გამუდმებულ დათმობას საშუალო გლეხობისადმი.

კრება, ასევე ენერგიულ ბრძოლას მოითხოვს მეორეგვარი მემარჯვენე, ლიკვიდატორობის, ოპორტუნიზმის ყველაზე საშიშ სახის— „მემარცხენე“ კონტრრევოლიუციონური მუშაობის წინააღმდეგ, ტროცკიზმით ლენინიზმის შეცვლის წინააღმდეგ, როგორც უკიდურესი მემარჯვენეობით. ტროცკისტების არალეგალური მუშაობა. უკანასკნელი დროის ფაქტები, მოწმობს ტროცკისტების საბოლოო კონტრრევოლიუციონურ გადაგვარებას და ტროცკისტული ოპოზიციის სრულ ანტისაბჭოთა ელემენტად გადაქცევას.

არც ერთი ნაბიჯი მე-15 ყრილობის დადგენილების შესაცვლელად, ენერგიული ბრძოლა პარტიის პრინციპიალურ ხაზის სისწორით დაცვისათვის, ბრძოლა ყოველგვარი სახის მემარჯვენე გადახრის და ტროცკიზმის მოსასპობად.

ჯგუფური კრება ალმასკომის დარბაზში

გუშინ, 19 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ალმასკომის დარბაზში შესდგა ცენტრალური პარტკლუბის, თბილისის ალმასკომის, ფოსტ-ტელეგრაფის, კომუნალური ბანკის, საქ. სოც. დაზღვევის, საბინაო კოოპერაციის, სატყეო ტრესტის, შინსახკომის, სამხატვრო აკადემიის, სახელმწიფო კონსერვატორიის და გემო-კვების უჯრედების ჯგუფური კრება, რომელზედაც დამუშავებული იქნა თბილისის კომიტეტის მიმართვა უჯრედების ბიუროების გადარჩევის შესახებ. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. **ლომიძე.**

უჯრედების ბიუროების გადარჩევის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. **თოდრია,** რომელიც შეეხო ბიუროების გადარჩევის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ეს გადარჩევა უნდა ჩატარდეს შინა-პარტიული დემოკრატიის დაცვით და უჯრედების მუშაობაში არსებულ ნაკლულოვანებათა გამომჟღავნებით. ამავე დროს, პარტიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა სისწორით ცხოვრებაში გასატარებლად, საჭიროა ბიუროებში არჩეული იქნენ ისეთი პირები, რომლებმაც თავიანთი საქმიანობით და მუყაითობით ავტორიტეტი დაიმსახურეს არა მარტო პარტიულ, არამედ უპარტიო მასაშიაც. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ყოველგვარ მერყევ ელემენტებს პარტიის შიგნით.

შეკითხვების შემდეგ ერთხმად მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელიც თავდება სიტყვით: „ყოველგვარი გადახრის, მიმართული პარტიის გენერალური ხაზის შესაცვლელად სასტიკ წინააღმდეგობას ჰპოვებს ჩვენში და ამით შევსძლებთ მთლიანად დავიცვათ ბოლშევიკური პრინციპები“.

მელითონეთა კლუბში

გუშინ მელითონეთა კლუბში (ყოფილი მუშათა ცენტრალური კლუბი) შესდგა როზა ლუქსემბურგის სახელობის და „პროლეტარი“-ს თამბაქოს ფაბრიკის, „მაშტსტრო“-ს, „26“-ის სახელობის ქარხნის, კალინინის სახელობის და მაუდის ფაბრიკის (ლენინის რაიონ.) უჯრედების ჯგუფური კრება.

კრებას დაესწრო 400-მდე კაცი.

კრებამ მოისმინა ამხ. კასიმოვის მოხსენება უჯრედების ბიუროების გადარჩევისა და პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ.

ამხ. კასიმოვის მოხსენება გადათარგმნილ იქნა ქართულად ამხ. **ბულულაძის** მიერ.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: **სარქისოვმა, მუშველიანმა, გარხუდაროვმა და ქლიაშვილმა.**

მოკამათენი აღნიშნავდნენ, რომ აუცილებლად საჭიროა გაძლიერებულ იქნეს ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, უთავდარიგობასთან და საქმის გაჭიანურებასთან. შეეხნენ აგრეთვე სოფლად მუშაობის საკითხებსაც.

შეკითხვებზე პასუხის გაცემისა და კამათის დამთავრების შემდეგ, კრებამ ერთხმად მიიღო სათანადო რეზოლიუცია.

—:—

ასეთივე ჯგუფური კრებები გაიმართა გუშინ აგრეთვე საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კლუბში, მუშათა ახალ კლუბში, ბაღ სტელაში, განათლების მუშაკთა სახლში, კლუბ „კატორ“-ში, და მშენებელთა მუშების კლუბში.

ქალთა განყ. რესპუბლიკური თათბირი

მშრომელ ქალთა ჩაბმა წარმოებაში

ამხ. თოდრიას მოხსენება

ჯერ კიდევ 1924 წელში შრომის სახ. კომისარიატთან შეიქმნა კომისია, რომლის ამოცანებიც იყო, როგორც წარმოებაში ჩაბმულ ქალთა შენარჩუნება, აგრეთვე ქალთა ახალი ძალების ჩაბმაც.

ამ კომისიის მუშაობა მხოლოდ ღონისძიებათა გამომუშავებაში მდგომარეობდა, პრაქტიკულად კი ეს ღონისძიებანი ტარდებოდა ცხოვრებაში შრომის სახ. კომისარ. სათანადო განყოფ. საშუალებით.

სამწუხაროდ, საქართველოს პირობებში განვითარებული მრეწველობის ხასიათი არ იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ ამ კომისიის მიერ დასახული ღონისძიებანი, ქალთა წარმოებაში ჩაბმის შესახებ განეხორციელებია შრომის სახალხო კომისარიატს. მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორიც არის სამთამადნო, ქვანახშირის, სატყეო, ელექტროფიკაცია და სხვა, შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს ქალთა ძალები. ამას ხელს უწყობდა აგრეთვე უმუშევრობა და ქალთა უფრო ნაკლები კვალიფიკაცია.

ამის გამო ქალთა გამოყენება მრეწველობაში ძალიან უმნიშვნელო ხდებოდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც განვითარდა მრეწველობის უფრო მსუბუქი დარგები, ჩვენ საამისო შესაძლებლობა მოგვეცა და კიდევაც გავატარეთ სინამდვილეში ეს ღონისძიებანი

ყველაზე უფრო მეტად ქალთა შრომა გამოყენებულია წარმოების ისეთ დარგებში, როგორიცაა აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკები, თამბაქოს წარმოება, ყველის დამამზადებელი ქარხანა, სატელეფონო სადგურები დაწესებულებები და სხვა.

ამხ. თოდრიას მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. **ესაიანმა, არტილაევამ, ლომთათიძემ, ვონოვამ, გეგეშიძემ, ჩილაკაპიანმა, და მატინიანმა.**

ამხ. თოდრიას საბოლოო სიტყვის შემდეგ დამთავრდა თათბირის მე-7 სხდომა.

თათბირის საღამოს სხდომაზე მიღებული იქნა რეზოლიუციები ყველა მოხსენებების გამო. რეზოლიუციების მიღების შემდეგ თათბირმა მოისმინა ამხ. ვ. ჯაფარიძის საინფორმაციო მოხსენება მოსამზადებელი მუშაობის შესახებ მშრომელ ქალთა შორის მომუშავე განყოფილების 10 წლის თავის აღსანიშნავად და აგრეთვე საინფორმაციო ცნობა ჟურნალ „მშრომელი ქალი“-ს რედაქციის ერთი წლის მუშაობის შესახებ. ამის შემდეგ თათბირი დამთავრდა.

ქალაქის რაიკომის პლენუმი

18 ოქტომბერს შესდგა საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის პლენუმი უჯრედების მდივნებთან და სარევიზიო კომისიების თავმჯდომარეებთან ერთად.

პლენუმმა მოისმინა ამხ. კუდრიავცევის მოხსენება უჯრედების ბიუროების მორიგი გადარჩევისა გეგმის შესახებ.

ამ უჯრედებში, რომლებშიაც გადარჩევა 22 ოქტომბრის შემდეგ უნდა შესდგეს, გადარჩევა დანიშნულ დღეებში მოხდება, ხოლო იმ უჯრედებში, რომლებშიაც არჩევნები 22 ოქტომბრამდე უნდა მომხდარიყო, გადარჩევა გადადებულია კამპანიის უკანასკნელი დღეებისთვის. საარჩევნო კამპანია სულ უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 9 ნოემბრისა.

25—27 ოქტომბერს ჩატარდება უჯრედების ჯგუფური კრებები, რომლებზედაც წაკითხული იქნება რაიკომის საანგარიშო მოხსენებები.

ამ გადაჯგუფებასთან დაკავშირებით გადადებულია რაიონული პარტკონფერენციაც, რომელიც შესდგება პარასკევს, 23 ნოემბერს.

რაიონის იმ 7 უჯრედში, რომლებშიაც გადარჩევა უკვე ჩატარდა, არჩევნები ძალაში რჩება. მაგრამ ამ უჯრედებში უნდა დამუშავდეს ჩვენი პარტიის თბილისის კომიტეტის მიმართვა.

პლენუმმა ეს გეგმა დაამტკიცა და გადავიდა შემდეგ საკითხზე:—ოქტომბრის მეთერთმეტე წლის თავზე პარტიაში მუშების მიღების შესახებ. მომხსენებელმა ამხ. მიქელაძემ აღნიშნა, რომ ამ საკითხს უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

საჭიროა ჩავაბათ პარტიაში ყველა ის მუშა, რომლებმაც თავი იჩინა აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობაში.

მოხსენების ირგვლივ კამათში გამოვიდნენ მთელი რიგი ამხანაგები, რომლებიც, უმთავრესად, აღნიშნავდნენ შემდეგს:

ჩარიცხული ამხანაგებისათვის პარტ-ბილეთების მიცემა მეტად ჭიანურდება ინსტრუქციების სიმრავლის გამო;

ადგილებზე უჯრედები საკმაოდ არ ამზადებენ როგორც იმ ამხანაგებს, რომლებიც პარტიაში შემოდიან, ისე იმათ, რომლებიც პარტიის წევრებად გადარიცხდებიან. ამიტომ ის ამხანაგები, რომლებიც მიმღებ კომისიაში ტარდებიან, ისეთ შთაბეჭდილებას ღებულობენ თითქოს მათ დიდ მოთხოვნილებებს უყენებენ.

პლენუმმა გადასწყვიტა ოქტომბრის რევოლიუციის მეთერთმეტე წლის თავთან დაკავშირებით დაავალოს პარტორგანიზაციას, რათა ამ უკანასკნელმა გააძლიეროს მუშების მიღება პარტიაში.

შემდეგ პლენუმმა დაამტკიცა რაიკომის მიმღები კომისიის ოქმები და მოისმინა ამხ. ადამიძის მოხსენება უჯრედების ჯგუფური კრებების შესახებ, რომლებიც ტარდებიან თბილისის კომიტეტის მიმართვის დასამუშავებლად. ამხ. ადამიძემ გააცნო პლენუმს ჯგუფური კრებების ჩატარების წესი.

დასასრულ, პლენუმმა დაამტკიცა რაიკომის პრეზიდიუმის დადგენილება ამხ. ადამიძის რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგედ დანიშვნის შესახებ.

სენაკის სამაზრკომის პლენუმი

16 ოქტომბერს შეიკრიბა სენაკის სამკომის გაფართოებული პლენუმი, თემკომების მდივნების და ქალაქის ორგანიზაციის მონაწილეობით. დღის წესრიგში სხვათა შორის იდგა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმის დადგენილებით სამპარტკომის საორგ. განყ. გამგედ არჩეულია ამხ. პ. ჩარგაზია. სამკომის აგიტპროპ. განყოფილებიდან განთავისუფლებულია ამხ. ივ. თოფურია.

სამპროფბიუროს თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. ალ. ჯოჯუა.

16 ოქტომბერს, სამკომის იმავე გაფართოებულ პლენუმზე, კომკავშირის აქტივის დასწრებით მოსმენილ იქნა ამხ. ს. მამულიას მოხსენება, კომინტერნის მე-6 კონგრესის შედეგების შესახებ.

წინადადება მიეცა თემკომებს და უჯრედებს, სამკომიდან თავის დროზე მიცემულ დირექტივების მიხედვით უჯრ. ბიუროების გადარჩევა დაასრულონ 23 ოქტომბრამდე.

სათემო კონფერენციები ჩატარდება 1 ნოემბრამდე.

სამაზრო პარტკონფერენცია სამკომის პრეზიდ. დადგენილებით დანიშნულია 10 ნოემბრისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

სას.-სამ. გადასახადი უნდა განაწილდეს მეურნეობის შემოსავლიანობის მიხედვით. — კულაკები ცდილობენ გადამალონ დასაბეგრ ობიექტების რაოდენობა და მით თავიდან აიცილონ სამ. გადასახადის გადახდა. — კორესპონდენტებმა უნდა ამხილონ გადასახადის გაწერის დროს კლასიური ხაზის დამახინჯების შემთხვევები

მტკიცედ დავიცვათ კლასიური ხაზი

მთლიან სასოფლო - სამეურნეო გადასახადის გაწერის დროს, საბჭოთა ხელისუფლება ხელმძღვანელობს მტკიცედ განსაზღვრული კლასიური ხაზით. სამეურნეო გადასახადისაგან სავსებით განთავისუფლებულია ღარიბი გლეხობის 35 პროცენტი. დანარჩენ გადამხდელებზე გადასახადი ნაწილდება ამა თუ იმ მეურნის შემოსავლიანობის მიხედვით. უფრო მეტად იბეგრება ის, ვისაც მეტი შემოსავალი აქვს.

სამეურნეო გადასახადის სისწორით განაწილების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს დასაბეგრ ობიექტების სწორად აღნუსხვას. აქ თვითეული გადამხდელის მოვალეობაა კეთილ-სინდისიერათ დაასახელოს თავისი შემოსავლის რაოდენობა, მაგრამ სინამდვილეში შეძლებული გლეხობა—კულაკური ელემენტები ყოველმხრივ ცდილობენ გვერდი აუარონ გადასახადის შეწერას და ამ მიზნით ათასგვარ ხერხს მიმართავენ დასაბეგრი ობიექტების გადასამალავად.

ისეთ რაიონებში, სადაც პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მუშაობა სუსტია, კულაკები ადვილად აღწევენ მიზანს. ამის შედეგად არის შემთხვევები, როცა შეძლებულ გლეხს აწერენ გაცილებით ნაკლებ სამეურნეო გადასახადს, ვინემ ნაკლებ შეძლებულს.

სამეურნეო გადასახადის გაწერის დროს სოფლად ადგილი აქვს კულაკების და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების ამოძრავებას. ისინი ავრცელებენ ათასგვარ ჭორებს ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკის წინააღმდეგ და ამით სურთ მშრომელი გლეხობაში უკმაყოფილების გამოწვევა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

მართალია, კულაკების ასეთი ოინები ვერ პოულობენ ნიადაგს მშრომელი გლეხობის ფართე ფენებში, მაგრამ ერთგვარი ზიანი მას მაინც მოაქვს სოფლად.

კულაკების მიზანია ასეთი ჭორებით ხელი შეუშალონ ხელისუფლებას სოფლად წარმოებულ აღმშენებლობითი მუშაობაში, პირველ რიგში კი სასოფლო მეურნეობის აღორძინების საქმეში.

კულაკების და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ მტკიცედ უნდა შეკავშირდეს მშრომელი გლეხობა.

კერძოდ, სასოფლო - სამეურნეო გადასახადის სისწორით განაწილების და აკრების საქმეში ხელისუფლების სათანადო ორგანოებს აქტიური დახმარება უნდა გაუწიონ ადგილობრივ პარტორგანიზაციებმა და აგრეთვე თვითეულმა მშრომელმა. მხოლოდ მასების თვითმოქმედებით. არის შესაძლებელი დასაბეგრ ობიექტის სისწორით გამორკვევა და გადასახადის სწორად განაწილება.

არა ნაკლებ თვალსაჩინო სოფლის კორესპონდენტების როლი. მათი მოვალეობაა ფხიზლად ადევნონ თვალყური კლასიური ხაზის სისწორით გატარებას და ამ ხაზის დამახინჯების თვითეული შემთხვევა ამხილონ პრესის ფურცლებზე.

ენი.

„კეთილსინდისიერი„ ფინ-მუშაკი

(წერილი ცაგერიდან)

1928—29 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დასაბეგრ ობიექტების გამორკვევა თავის საკუთარ სოფელში—ნაკურალეშში დაავალეს ფინ-მუშაკს გრამიტონ ყურაშვილს. მასვე დაევალა, თუ ვისთვის რამდენი უნდა შეეწერათ გადასახადი.

გრამიტონმა ხელისუფლების ხაზი უკუღმა შემოატრიალა. სამეურნეო გადასახადი შეაწერა ისეთებს, ვისაც ოდესმე გრამიტონთან პირად ნიადაგზე მოსვლია რაიმე უკმაყოფილება. სხვას რომ თავი დავანებოთ ღარიბები გრამიტონის „ახალი კურსით" იქულიტებს შეძლებულები კი წელში მაგრდებიან. ოდესღაც ლევანტი ბეჟანის ძე ყურაშვილთან გრამიტონს მოსვლია ლაპარაკი. ეხლა კი საშაგიერო გადაუხადა გრამიტონმა და ყოველგვარი საბუთებზე დაყრდნობის გარეშე, შეაწერა 5 მანეთი იმ დროს, როდესაც ლევანტი სრულიად განთავისუფლებული უნდა ყოფილიყო სამეურნეო გადასახადიდან როგორც ღარიბი.

გრამიტონმა არც მისი ძმა და სხვა ნაცნობ-მეგობრები დასტოვა უყურადღებოდ. გრამიტონის ძმა მეზობლური საქმეების გამო ემდურის ექვთიმე ყურაშვილს. ამის გამო გრამიტონის ლოცვა-კურთხევით ექვთიმეს შეაწერეს 49 მანეთი, ხოლო თვით გრამიტონმა, რომელიც უფრო შეძლებულია ექვთიმე ყურაშვილზე, თავის ოჯახს შეაწერა მხოლოდ 2 მან. და 50 კაპ.

ამ ვაჟბატონმა არც თემალმასკომის თავმჯდომარე დასტოვა მოუმადლიერებელი და მას შეაწერა 1 მან. 50 კაპეიკი. ამის გამო თვით თავმჯდომარემ განაცხადა უკმაყოფილება.

ასეთ ფინ-მომუშავეს განა შეუძლია სისწორით გაატაროს სოფლად ხელისუფლების ხაზი?

ვფიქრობთ ამ სიმახინჯის წინააღმდეგ სათანადო ორგანოები მიიღებენ საჭირო ზომებს.

ლახტი.

დამნაშავენი უნდა დაისაჯონ

სოფ. ხაშმი, თბ. მაზრა

ყველასათვის აშკარაა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური მშენებლობისათვის სასოფლო - სამეურნეო გადასახადის თავის დროზე და მთლიანად შეკრებას. თვითეული მშრომელი დაინტერესებული უნდა იყოს, რომ ეს გადასახადი სისწორით იქნეს განაწილებული გადამხდელთა შორის თავიანთი შეძლების მიხედვით.

მაგრამ სოფლად ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი გაიძვერები შეძლებული ფენებიდან, რომლებიც მალავენ სასოფლო - სამეურნეო აღწერის დროს თავიანთ საკუთარ ქონებას ამ ნიადაგზე ხშირად ხდება გაუგებრობა და ზოგჯერ ღარიბ გლეხს მოსდის უფრო მეტი გადასახადი, ვინემ შეძლებულ გლეხობას. ასეთების რიცხვს სოფელ ხაშმში ეკუთვნიან ვანო და იოსებ ყირმელაშვილები, დიმიტრი ჯანიაშვილი, ვ. ნახუცრიშვილი, გიგო ვარძელაშვილი და სხვები. დღემდის ეს შეძლებული გლეხები ადვილად ახერხებდნენ თავიანთი ქონების გადამალვას, რაც ღარიბ გლეხობაში იწვევდა უკმაყოფილებას.

უკანასკნელ ხანებში სართიჭალის თემალმასკომმა ყურადღება მიაქცია ამ არანორმალობას, შეკრიბა ცნობები გადამალვის შესახებ და ასეთები გადასცა სასამართლოს დამნაშავეთა პასუხის გებაში მისაცემად. სასამართლომ მუღანლოს მცხოვრებ ფისი სადირ-ოღლის და იოლჩას, უჯარმის მცხოვრებ ვანო მანაგაძეს და გ. დათუნაშვილს მიუსაჯა სათანადო სასჯელი. ასეთივე სასჯელის ღირსნი არიან სოფ. ხაშმის ზემოხსენებული პირებიც, რომლებიც გაურბიან სამეურნეო აღწერის დროს სწორი ცნობების მიწოდებას.

ხაშმელი.

ალაგმეთ ჭორიკანები

(წერილი სამტრედიიდან)

ანტისაბჭოთა ელემენტების ჭორიკანობას სოფლად ბოლო არ ელება. ასეთ ჭორებს უფრო მეტი გასავალი აქვს იქ, სადაც მშრომელი გლეხობის კულტურული დონე შედარებით დაბალია. მაგალითისათვის დავასახელებთ შემდეგ ფაქტს: სამტრედიის განაპირა უბანში, სახელდობრ—ნახეტაურში, ამას წინედ გავარცელეს ჭორები, ვითომც 1928—29 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ისეთი რაოდენობით იყო გადიდებული, რომ მის გადახდას ვერც ერთი გლეხი ვერ შესძლებდა. მაგალითად ვარლამ ჩიტაიას უამბობდა გლეხობას: მე გადმომცეს, რომ ამ წელში სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ძალზე გადიდებულია. მ. რკოზ კომახიძეს შეწერილი აქვს 300 მანეთი, სილოვან ფირცხალავას—200 მანეთი და სხვა.

ზოგიერთ გულუბრყვილოს მართლაც სჯეროდა ეს ჭორები, მაგრამ როცა საგადასახადო ფურცელი დაარიგეს. გამოირკვა, რომ მ. რკოზ კომახიძეს შეწერილი აქვს არა 300 მანეთი არამედ 12 მანეთი, ხოლო სილოვან ფირცხალავას 1 მან. 98 კ.

საჭიროა ჭორიკანების ალაგმვა. ამასთან ერთად მშრომელ გლეხობას ფართოდ უნდა განემარტოს მმართველი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ხაზი საგადასახადო პოლიტიკაში.

ბიკ. ბა—ძე.

სისწორით გაანაწილეთ

სოფ. ოფაჩხაფუ, ზუგდ. თემი

გასულ წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადი არ იყო გაწერილი მოსახლეობაზე მიხან შეწონილად. ზოგჯერ ღარიბ გლეხებზე უფრო მეტი იყო გადასახადი შეწერილი, ვინემ საშუალო და შეძლებულზე.

1928—29 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაწილების დროს, ზუგდიდის თემალმასკომის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამნაწილებელმა კომისიამ, გადასახადი შეაწერა ისეთ გლეხებს, რომლებიც დღიურ საზრდოს ძლივსღა შოულობენ და ისიც დიდი რაოდენობით. საჭირო კი იყო მათი სავსებით განთავისუფლება გადასახადისაგან.

აგრეთვე აშკარაა ის გარემოება, რომ სოფლის მეურნეებზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადი არ არის განაწილებული ქონების მიხედვით, არამედ ისე, ზერელედაა გაწერილი. მაგ. ქონებით თანასწორი და ყოველგვარი შემოსავლით თანასწორი გლეხებს, ერთს შეწერილი აქვს გადასახადი 22 მან. და კაპეიკები, ხოლო მეორეს 4 მან. და კაპეიკები. თვით კომისიაში შემავალ წევრებს ნაკლები აწერიათ სასოფლო-სამეურნეო გადასახადი, იმ დროს, როცა სხვაზე ნაკლები ქონებრივი შეძლება არა აქვთ.

სამეურნეო გადასახადის გაწერის საქმეში საჭიროა დიდი სიფრთხილე და დაშვებულ შეცდომების დროზე გამოსწორება.

ნ. მარიამიშვილი.

გავაძლიეროთ წარმოების რაციონალიზაცია

სათბობი მასალის 30 პროც. რკ. გზაზე უნაყოფოდ იხარჯება. —საწარმოო თათბირების დადგენილებანი თბილისის დეპოში არ ტარდება ცხოვრებაში.—თამბაქოს ტრესტში იმართება საიდუმლო საწარმოო თათბირი.—სასტიკი ბრძოლა წარმოების რაციონალიზაციის ხელის შემშლელთა წინააღმდეგ

მიღწევებთან ნაკლიც გვაქვს

პოლიპოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბაში უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაუმჯობესდა მუშაობის პირობები. საწარმო თათბირის დადგენილებით თითქმის ყველა განყოფილებაში დაგებული იქნა ფიცრის იატაკი და გაუმჯობესებული იქნა საერთოდ წარმოება. საწარმოო თათბირი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს წარმოების რაციონალიზაციას. ამ მიზნით გამოყოფილი იყო სპეციალური კომისიები, რომლებმაც შეისწავლეს წარმოების მდგომარეობა და საწარმოო თათბირზე წარადგინეს თავიანთი წინადადებები წარმოების გაუმჯობესების შესახებ. ამ წინადადებების დიდი ნაწილი უკვე გატარებულია ცხოვრებაში, მაგრამ ნაწილი ჯერ კიდევ არ არის შესრულებული.

შეუსრულებელ წინადადებებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა გაზეთის გვერდების ჩასაშვები მანქანის მოწყობის საკითხი. ეს საკითხი სტამბის გახსნის შემდეგ, თითქმის ყოველ თათბირზე დგას, მაგრამ მის მოწყობას საშველი არ დაადგა. ეს გარემოება კი საგრძნობლად აფერხებს მუშაობას და ხელს უშლის გაზეთის თავის დროზე გამოშვებას. მუშებმა რამდენიმეჯერ შეიტანეს წინადადება სტერიოტიპის განყოფილებიდან პრესის სამეტრანპაჟო განყოფილებაში ატანის შესახებ. ადმინისტრაციამ გადასწყვიტა კიდეც ამ წინადადების შესრულება, მაგრამ როცა საფუძვლიანად შესწავლილი იქნა ეს საკითხი, გამოირკვა, რომ პრესის წოლვის სიმძიმეს ვერ გაუძლებს სამეტრანპაჟო განყოფილების იატაკი. ამის შემდეგ საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან, თითქოს არ იყოს გამოსავალი გაზეთის გვერდების ჩასაშვებ მანქანის მოსაწყობად. რატომ არ შეიძლება გაკეთდეს ხიდი სალინოტიპო განყოფილებიდან სტერიოტიპის განყოფილების სახურავზე გადასასვლელი, ხოლო აქ კი მოეწყოს გვერდების ჩასაშვები მანქანა? ეს შედარებით უფრო იაფი დაჯდება ვიდრე პრესის სამეტრანპაჟოში ატანა და მის მოსაწყობად სამი-ოთხი სართულის მანძილზე კედლის აშენება. შეიძლება, მაგრამ ტრესტის გამგეობას არ უნდა გაილოს ცოტაოდენი თანხა წარმოების რაციონალიზაციისათვის.

საერთოდ საწარმოო თათბირის მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, მაგრამ ზოგიერთი დადგენილებების შეუსრულებლობა აფერხებს, როგორც წარმოების გაუმჯობესებას, ისე საწარმოო თათბირის ნაყოფიერ მუშაობასაც. უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ საწ. თათბირი არ აწარმოებს დადგენილებების შესრულების აღრიცხვას. შემდეგში ეს ნაკლი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

მეგობარი.

სათბობი მასალის 30 პროცენტი უნაყოფოდ იკარგება

თბილისის დეპოს საწარმოო კომისიამ, ამას წინად, სხვა საკითხებთან ერთად განიხილა ორთქლმავალთა მოსაბრუნებელი წრის ელექტრო-მექანიზაციის საკითხი. ამ წრის ელექტრო-მექანიზაციას ხელს უწყობს სხვათა შორის ელექტრო-სადგურის სიახლოვე. საჭიროა მხოლოდ ადმინისტრაციის ყურადღება და ცოტაოდენი თანხის გაღება მექანიზაციის მოსაწყობად. ამით ორთქლმავალთა ბრუნვის საქმეც გაუმჯობესდება და ხარჯებიც საგრძნობლად შემცირდება. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საწარმოო კომისიამ დაადგინა აღნიშნული წრის ელექტრო-მექანიზაციით მოწყობა, მისი გაკეთება ჯერაც არავის მოსვლია ფიქრად.

ამასთან ერთად დეპოში სათბობი მასალის დაზოგვის საქმეც ვერ არის სათანადოთ მოგვარებული. გაზეთების ცნობით ამერიკაში ძალუძთ ნახშირის სრული 100 პროცენტით დაწვას. ჩვენ ჯერ შორს ვართ ასეთ მიღწევებისაგან, მაგრამ რის გაკეთებაც შეგვიძლია ის მაინც აუცილებლივ უნდა გავაკეთოთ. შესაძლებელია მაზუთის ფრქვევანების მოწყობა ისე, რომ მაზუთის წვა ხდებოდეს მთელი 100 პროცენტით. მაგრამ ამისათვის ყოვლად უვარგისი და საზარალოა ზოგიერთი „გერმანკა" ორთქლმავლებზე არსებული „დანილოვის" სისტემის მილისებური ფრქვევანები. ამ ფრქვევანებს საკმაოდ ბევრი ნაკლი აქვთ. მაგალითად: გზაში, საჭიროების დროს მისი სხელდახელოდ მოხსნა და შეკეთება უხერხულია. საკვამლე მილების დაზიანების დროს დიდი დროა საჭირო, რომ კაცი შევიდეს საცეცხლურში და შეაკეთოს იგი, ძვირი ჯდება მისი რთული არკის (აგურ-ფენა) კეთება.

არკის გასახურებლად ძალიან დიდი დროა საჭირო და რაც თავი და თავია ასეთ ფრქვევანებიანი ორთქლმავლები, თუ საშინლად არ აბოლეთ, ორთქლის საკმაო მარაგის დამზადება შეუძლებელია. ერთი სიტყვით სათბობი მასალის 30 პროცენტი დაუწვავად, გამოუყენებლად იკარგება. ედანოვის სისტემის ფრქვევანებს კი ასეთი ნაკლი არა აქვთ.

ამიტომ ჩემის აზრით საჭიროა ე. წ. „დანილოვის" ფრქვევანები შეიცვალოს „ედანოვის" სისტემის ფრქვევანებით. ამით ჩვენ მივაღწევთ სათბობი მასალის მთელი ასი პროცენტით გამოყენებას და მოვსპობთ ზედმეტ ხარჯებსაც.

მემანქანე.

საიდუმლო საწარმოო თათბირი

(თამბაქოს ტრესტი)

16 ოქტომბერს, თამბაქოს ტრესტის მართველის კაბინეტში, შესდგა საწარმოო თათბირი, რომელზედაც მოწვეულები იყვნენ ქარხნების დირექტორები, მათი თანაშემწეები, ტრესტის განყოფილების და მაღაზიის გამგებელი და ქარხნებიდან დაინტერესებული პირები, მაგრამ რატომღაც თვით ტრესტის დანარჩენ თანამშრომლებს არ ეცნობათ თათბირის მოწვევა. საერთოდ, აქ ასე ხდებოდა და ეხლაც ასე მოხდა.

ტრესტის არც ერთი თანამშრომელი არ დასწრებია საწარმოო თათბირს, რომელზედაც საინფორმაციო მოხსენებას აკეთებდა ამხ. ფრიდონოვი სინდიკატში დროებით შეუსვლელობის და ქარხნების შემდგომ ამოცანების შესახებ. საწარმოო თათბირს უნდა ესწრებოდეს ყველა მუშა, ყველა მოსამსახურე ვისაც კი გული შესტკივა წარმოებაზე. საწ. თათბირს უნდა ჰქონდეს თავისი დრო და საათები, რომ შეეძლოს ყველას დასწრება. მაგრამ თამბაქოს ტრესტში ეს ასე არ ხდება და არც ადგილკომი ფიქრობს ამაზე რამეს. მან ხშირად არც კი იცის როდის იწვევს ადმინისტრაცია საწარმოო თათბირს. ან კი, როგორ გაიგებს, როდესაც ადგილკომის თავმჯდომარე მთელი დღე ტრესტში არ არის. ამის მიზეზი ის არის, რომ ადგილკომს არა აქვს ბინა მიუხედავათ იმისა, რომ ბევრი დაწერილა ამის შესახებ, გუბ.-კავების კავშირს არავითარი ზომები არ მიუღია ადგილკომისათვის შესაფერი შენობის მოსაძებნად.

ადგილკომმა და კავშირმა ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას და მიიღონ ზომები, რათა შემდეგში აღარ განმეორდეს ასეთი საიდუმლო საწარმო თათბირის მოწვევა.

ინკოგნიტო.

ერთი კეთდება, მეორე ფუჭდება

(სადგ. ხარაგოული)

მუშაობის გაუმჯობესება და საერთოდ წარმოების გაჯანსაღება რასაკვირველია კარგი საქმეა, მაგრამ ეს ისე კი არ უნდა ხდებოდეს, რომ ერთი საქმე გავაკეთოთ და მეორე წავახდინოთ. არამედ ერთი საქმის გაკეთება თუ გაუმჯობესება, მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული მეორე საქმესთან. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა. მაგრამ როგორც ეტყობა ამ ჭეშმარიტებას არ იცნობენ რკ. გზის ზოგიერთი მოხელენი. აი ამის მაგალითი:

სად. ხარაგოულის წყალსაქაჩავისათვის, წყალის დასაგროვებელი აუზი ჩადგეს მდინარე ჩხერიმელის შუაგულში, რამაც წყალს შეუვალა კალაპოტი და დაუახლოვა ბაღ-ბოსტნებს. უკანასკნელი წყალდიდობის დროს, მდინარე გადასცდა თავის კალაპოტს და დაჰფარა აუარებელი ბაღ-ბოსტნები, ეზოები და ზოგიერთი სახლებიც საგრძნობლად დააზარალა. ამ გარემოებამ რამდენიმე ათასი მანეთი ზარალი მიაყენა, როგორც გლეხობას, ისე რკინისგზასაც. საკმარისია კიდევ ერთი ასეთი წყალდიდობა, რომ წალეკოს იქაურობა და ულუკმაპუროდ დასტოვოს გლეხობა.

ყველაფერი ეს თავიდან აცილებული იქნებოდა, რომ რკინისგზის მოხელეები შეკითხოდენ გლეხებს, სად უფრო მოსახერხებელი და ყველასათვის სასარგებლო იქნებოდა აუზის დადგმა. მაგრამ ისინი არ მოიქცენ ასე და ამით დიდათ დააზარალეს რკ. გზა. ამას უწოდებენ უგეგმო და უნაყოფო მუშაობას.

ნამეხარი.

უპატრონო ავტომობილი

(ქუთაისი)

ქუთაისის რკ. გზის საბინაო კოოპერატიული ამხანაგობის № 1 სახლში, ვინმე პ. ეგნატენკოს უყენია ერთი ავტომობილი, რომელიც ლპება და ნადგურდება ღია ცის ქვეშ, წვიმაში. ავტომობილი ეტყობა სახაზინოა, მაგრამ როგორ მოხვდა ეგნატენკოს ხელში არავინ იცის. ის კი ცხადია, რომ მოქ. ეგნატენკო არავითარ ყურადღებას არ აქცევს ავტომობილს და არ უვლის სახალხო ქონებას.

ალმასკომო, შენ მაინც მოუარე ამ უპატრონო ავტომბილს.

რული.

მუშკორთა წერილებიდან

უნდა გამოირკვეს. ამ რამოდენიმე ხნის წინად შრომის ინსპექტორის დადგენილებით, ტრამვაის ამბულატორიის შენობის სიძველის გამო, ამბულატორია გადაიტანეს სხვა შენობაში. მაგრამ უკანასკნელად ამ ძველსა და დანგრევის პირზე მიმდგარ შენობაში მოაწყვეს რკ. გზის ამბულატორია. რათ მოხდა ასე? თუ ტრამვაის ამბულატორიისათვის ძველი იყო შენობა, ნუ თუ რკ. გზის ამბულატორიისათვის ვარგისი იქნება. შრომის ინსპექტორმა უნდა გამოარკვიოს.

მოხე გალოვრე.

ზედმეტს ამუშავებენ. (ოზურგეთი). ოზურგეთის ძაფ-საღები ქარხნის მუშები ხშირად ზედმეტს მუშაობენ. ქარხანასთან არსებულ სამხედრო მუსიკის დამკვრელების მაგიერ, როდესაც უკანასკნელები მიდიან სადმე დასაკრავად, ქარხკომთან შეთანხმებით მუშას ხშირად 16 საათს ამუშავებენ. შრომის ინსპექტორმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას.

მებრძოლი.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

ახალი დანიშვნები

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა: იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილე და უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარე ამხ. **ალექსანდრე კაჭარავა** განთავისუფლებული იქნეს თავის თანამდებობიდან ა. წ. 20 ოქტომბრიდან.

იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილედ და უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარეთ დაინიშნოს ამხ. **ვ. ტალახაძე.**

პრეზიდიუმის დადგენილებით იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილედ და რესპუბლიკის პროკურორის მოადგილედ დაინიშნა ამხ. **თ. დოლიძე** ა. წ. 20 ოქტომბრიდან.

ა.-კ. შინა-სამრეწველო კოოპერაციის წარმომადგენელთა თათბირი

კამათი შინა-სამრეწველო კოოპერაციის მდგომარეობის გარშემო

თათბირის მეოთხე დღის დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი შინასამრეწველო — სარეწაო კოოპერაციის მდგომარეობის გარშემო. სამომხმარებლო კოოპერაციის წარმომადგენელნი აღნიშნავენ, რომ შინა-სამრეწველო კოოპერატივთა კავშირებს, რომელთაც თითქმის არა აქვთ საკუთარი თანხები, ემჩნევა გატაცება სავაჭრო საშუამავლო ოპერაციებით, რომელსაც ისინი აწარმოებენ მოკლე ვადიანი სესხების საშუალებით. ეს გზა სახიფათო გზაა მთელი სისტემისათვის, რადგან რესპუბლიკანური ცენტრების პირდაპირ დანიშნულებას შეადგენს არა საშუამავლო-კომერციული საქმიანობა, არამედ ქალაქისა და განსაკუთრებით სოფლის წვრილ მწარმოებელთა კოოპერატიული გაერთიანება,—განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც შინამრეწველთა მასსა მოსახლეობის საგრძნობ ნაწილს წარმოადგენს. იმავე სამომხმარებლო კოოპერაციის წარმომადგენელნი მოითხოვდენ ამჟამად არსებულ საწარმოო არტელების გადასინჯვას იმ მიზნით, რომ სისტემაში დატოვებული იქნეს და შემდგომში ხელი შეეწყოს იმ არტელებს, რომელნიც მუშაობენ ადგილობრივ ნედლეულზე სახალხო მეურნეობის ისეთ დარგებში, სადაც შემჩნეულია ქალაქის და სოფლის წვრილ მწარმოებელთა დაგროვება. კერძოთ, რაც შეეხება პურის მცხობთა არტელებს, სამომხმარებლო კოოპერაციის წარმომადგენელთა აზრით, მათ, ხელი უნდა შეეწყოს იმდენათ, რამდენათაც სამომხმარებლო კოოპერაცია უძლურია თავისი პროდუქციით დააკმაყოფილოს ადგილობრივი ბაზარი. თუ გარემოება ჯერ კიდევ მოითხოვს პურის მცხობელთა არტელის არსებობას, საჭიროა სამომხმ. კოოპერაციისა და ამ არტელების შორის დამყარდეს საქმიანი უშუალო კონტაქტი: არტელებმა უნდა იკისრონ თავის პროდუქციის მიწოდება სამომხმარ. კოოპერაციის ქსელისათვის; თავის მხრივ სამ. კოოპერაციამ არტელებს უნდა მიაწოდოს ფქვილი. ამ დებულების წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა სარეწაო კოოპერაციის წარმომადგენლებმა, რომელნიც სამომხმ. კოოპერაციის ჩარევას ამ საქმეში მიმეტათ სთვლიან.

ზოგიერთი ორატორები აღნიშნავდენ უგეგმობას შინა-სამრეწველო კოოპერატიული არტელების და მათი კავშირების მუშაობაში. ამ უგეგმობას თვით შინა-სამრეწველო კოოპერაციის წარმომადგენელნი შემდეგი გარემოებით ხსნიან: რამდენათაც შინა-სამრეწველო კოოპერატიულ ორგანიზაციების და მათი ცენტრების გეგმიანი მუშაობა დამოკიდებულია სხვადასხვა საკრედიტო ორგანიზაციების მიერ მათთვის სისტემატიურ-შეუფერხებელ კრედიტის მიწოდებაზე და რამდენათაც ეს უკანასკნელნი თავიანთ დაპირებებს არ ასრულებენ, იმდენათ შინა-სამრეწველო კოოპერაციის მოქმედებას ემჩნევა უგეგმობა. შინა-სამრეწველო კოოპერაციის გეგმიანი მოქმედებისათვის საჭიროა მათთვის ნედლეულის და ნახევრად ფაბრიკატის დროზე მოწოდება და, რაც უმთავრესია, შინა-სამრეწველო კოოპერაციის მიერ უკვე შეტანილ განცხადებების დაკმაყოფილება იმის შესახებ, რომ მომავალ წლისათვის დამუშავებულ იქნეს კოოპერაციის ამ დარგისათვის საჭირო ნედლეულისა და ნახევრად ფაბრიკატების მიწოდების გეგმა. გარდა ამისა, — რესპუბლიკების ს.მ.ს. საბჭოებმა, რომლებიც ეკისრებათ უმთავრესად შინა-მრეწველობის საერთო მოწესრიგება. მათ უნდა ნედლეულის მომარაგება - მოწოდება უნდა შეუთანხმონ მათ საწარმოო პროგრამებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება თავიდან აცილებულ იქნეს ის უგეგმობა. რომელიც საწარმოო არტელებს ახასიათებს.

კამათის დასასრულ საპასუხო სიტყვით გამოვიდენ მომხსენებლები. პირველი მომხსენებელი ამხ. პიჩიკიანი ეთანხმება ორატორებს იმაში, რომ მის მიერ მოწოდებული სტატისტიკური ცნობები ზოგიერთ შემთხვევაში სწორი არ იყო, მაგრამ მიუხედავათ ამისა შინა-მრეწველობისა და შინა-სამრეწველო კოოპერაციის საერთო მდგომარეობა არ იცვლება იმ ცნობების მიხედვითაც, რომელიც შინა-სამრეწველო კოოპერაციის წარმომადგენელმა მოგვცეს. მართალია, — კოოპერაციის მიერ შეკავშირებული შინამრეწველთა მასა იზრდება, მაგრამ მთავარი მასა განსაკუთრებით სოფლებში მაინც ამ შეკავშირების გარეშეა დარჩენილი: შინა-სამრეწველო კოოპერაცია ჯერ კიდევ ქალაქის ფარგლებს არ გამორებია და თავის ორგანიზაციულ სამეურნეო ზეგავლენის ქვეშ არ მოუქცევია სასოფლო შინა-მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიც არის ხოხ-ხალიჩების ქსოვა, მეაბრეშუმეობა, მატყლის დამუშავება, მეჭურჭლეობა, ხის დამუშავება და სხვა. ძალაში რჩება აგრეთვე დებულება, რომელიც ამბობს, რომ შინა-სამრეწველო კოოპერაცია დღემდე აერთიანებს მხოლოდ ისეთ დარგებს, რომლის ხვედრითი წონა აბსოლიუტურად და შედარებითაც უმნიშვნელოა. უარყოფილი არ არის აგრეთვე საწარმოო არტელების დიდი უმრავლესობის კარლიკური ხასიათი, რომელიც, მათი თანხების და აგრეთვე ნასესხი კაპიტალის სიმცირის გამო, ძალიან აფერხებს მათ შემდგომ [illegible] ურ საფუძველზე.

საბოლოო სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ორი დანარჩენი მომხსენებელი ამხ. **შაპირო** და ამხ. **ბეიკე.** სხვათა შორის ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ამიერ-კავკასიის შინასამრეწველო კოოპერაციის ზრდის ტემპი, მიუხედავათ მრავალი ნაკლულოვანებისა თავისი სისწრაფით უმაგალითოა მთელ საბჭოთა კავშირის მასშტაბით. ორი წლის განმავლობაში შინა-სამრეწველო კოოპერაციამ შესძლო მრავალ-ათასიანი კოოპერატიულ არტელების მოწყობა და ამით კოოპერატიულ მოძრაობას შინა-მრეწველთა შორის მასიური ხასიათი მისცა.. ამხ. ბეიკეს განცხადებით, — თათბირმა სავსებით გამოარკვია შინა-სამრეწველო კოოპერაციის ორგანიზაციული და ფინანსიური სამეურნეო ზრდა და მრავალი შეცდომებისა და ნაკლულოვანების აღნიშვნით გაკაფა გზა შინა-სამრეწველო კოოპერაციის შემდგომი განვითარებისათვის.

დილის კამათის დასასრულ არჩეულ იქნა კომისია რეზოლიუციის გამოსამუშავებლად.

ამიერ-კავკასიის შინა-მრეწველთა კოოპერაციის მონაწილეობა ბაქოს ბაზრობაზე

სხდომის დასასრულ თათბირმა მოისმინა ბაქოს სამაზრო კომიტეტის დეპეშა, რომელმაც კომიტეტის თათბირს წინადადებას აძლევს, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების შინა-სამრეწველო კოოპერაციამ მონაწილეობა მიიღოს მომავალი წლის მარტის ბაქოს ბაზრობაში. თათბირმა ერთხმად დაადგინა, ა. ს. კოოპერაცია ამ თავითვე შეუდგეს მზადებას ბაზრობისათვის. დაამზადოს საჭირო სტატისტიკური ცნობები, — დიაგრამები და ექსპონატები ბაზრობაზე გასაგზავნით.

თათბირის დამთავრება

გუშინ საღამოს თათბირმა მოისმინა და მიიღო — მის მიერ არჩეული კომისიის დამუშავებული რეზოლიუციები ამიერ-კავკასიის შინა-სამრეწველო კოოპერაციის მდგომარეობისა და განვითარების შესახებ. ამით დამთავრდა ა.-კ. შინა-სამრეწველო კოოპერაციის წარმომადგენელთა თათბირი.

სამზადისი ოქტომბრის რევოლიუციის მე-11 წლისთავისათვის

პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ შეიმუშავა საორიენტაციო გეგმა ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლისთავის დღესასწაულის ჩასატარებლად პროფკავშირების ხაზით.

თბილისში აღნიშნული დღესასწაულის ჩასატარებლად კლუბებმა უნდა გასწიონ შემდეგი სამზადისი: გამოჰყონ კომისიები კლუბში დღესასწაულის ჩასატარებლად, წინასწარ შეიმუშაონ დღესასწაულის პროგრამა და კლუბის მორთვის გეგმა, შეიმუშაონ რეპერტუარი კლუბთან არსებული სამხატვრო წრეებისათვის და დაიწყონ სამზადისი კლუბებში დღესასწაულის დღეს საოჯახო საღამოების გასამართავად.

3—8 ნოემბრამდე ყველა კლუბებში ჩატარებულ უნდა იქნეს მოხსენებები და საუბრები. მოხსენებებისა და საუბრების თემათ უნდა იყოს: „ჩვენი მიღწევები ოქტომბრის რევოლიუციის 11 წლისთავზე".

ამავე დღეს ცალკე კლუბებმა უნდა მოაწყონ მასიური ექსკურსიები რევოლიუციის მუზეუმში, თბილისის მაუდის ფაბრიკს სახალ. მშენებლო სამუშაოთა და ქალაქის სხვა იმ ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად, სადაც მნახველები გაეცნობიან არსებულ მიღწევებს კულტურისა და ეკონომიკის დარგში. გარდა ამისა გადაწყვეტილია ერთი ექსკურსიის გაგზავნა ბაქოში თბილისის და ბაქოს მუშების დაახლოების მიზნით.

საიუბილეო დღესასწაულის დროს განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს კინოს, წინასწარვე უნდა შედგეს რევოლიუციონური ფილმების სია და შესაფერისი ფილმები წინასწარვე უნდა დარიგდეს მუშათა კლუბებს შორის. გარდა ამისა სამ ადგილას მთელ ქალაქში უნდა გაიმართოს კინო-სურათების ჩვენება ღია ცისქვეშ.

ფიზკულტურის დარგში შემუშავებული გეგმა გულისხმობს შეჯიბრების მოწყობას ტენისში, მასიური შეჯიბრების გამართვას რბენაში, შეჯიბრებას მსუბუქ მძლეოსნობაში და სხვ. გარდა ამისა, 7 ნოემბერს გამართულ დემონსტრაციებში გამოყვანილ უნდა იქნენ ყველა ფიზკულტურელები.

დემონსტრაციაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ყველა სახის ორკესტრებმა და კლუბებთან არსებულმა მომღერალთა წრეებმა. 6 ნოემბერს ღამით განზრახულია გაიმართოს ფიზკულტუროსანთა დემონსტრაციები ჩირაღდნებით და ხანათურებით.

სენაკის სამაზრო აღმასკომის პლენუმი

17 ოქტომბერს შესდგა სენაკის სამაზრო აღმასკომის პლენუმი. პლენუმმა სამაღმასკომის თავმჯდომარეობის მოადგილეობიდან გაანთავისუფლა ამხ. **დ. ქუჩულორია** და სამაღმასკომის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ამხ. **ალექსანდრე კაჭარავა.**

სამაღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ და საორგანიზაციო განყ. გამგეთ არჩეულ იქნა ამხ. **მიმინოშვილი,** ხოლო ამხ. **იონა ფირცხალავა** განთავისუფლებულია სამაღმასკომის საორგ. განყოფილების გამგის მოვალეობიდან.

ტყავის მრეწველობა

ტყავ-ტრესტის ცნობით 5 წლიანი პერსპექტიული გეგმით ადგილობრივ ტყავის ნაწარმოების თვითღირებულება გაიაფებული იქნება 26 პროცენტით. ამ მიზნით პირველ რიგში ჩატარებული იქნება ტყავის წარმოებათა დამამზადებელ ქარხნების მექანიზაცია, გარდა ამისა, შემცირებული იქნება საწარმოო ხარჯები და გატარდება რაციონალიზაცია.

ამავე გეგმის მიხედვით საქართველოს ტყავის წარმოებებში 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანილი იქნებიან 1931—32 წლიდან. ამავე წლიდან წარმოებებში შემოღებული იქნება 2 ცვლად და 3 ცვლად მუშაობა, რაც ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

მიმდინარე წელთან შედარებით უახლოეს 5 წლის განმავლობაში ტყავის პროდუქცია გადიდებული იქნება 11 პროცენტით, ფეხსაცმელების—41 პრ. და ქეჩის—168 პროცენტით.

ტყავის წარმოებების მუშათა რიცხვი უახლოეს 5 წლის განმავლობაში გადიდებული იქნება 27 პროცენტით, ფეხსაცმელების ქარხნებში—27 პრ. და ქეჩის დამამზადებელი ქარხნებში—43 პროცენტით.

გადიდებული იქნება ხელფასიც: ტყავის წარმოებებში—31 პრ., ფეხსაცმელების და ქეჩის ქარხნებში 30 პრ. ხოლო შრომის ნაყოფიერების აწევა ნავარაუდევია 73—110 პროცენტამდე.

რადიო-ექსპედიცია მყინვარ წვერზე

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ყაზბეგი, 18 ოქტომბერი

რადიო-ექსპედიცია, რომელიც თბილისიდან 15 ოქტომბერს გამოვიდა მყინვარ წვერზე ასასვლელად და იქ ცდების მოსახდენად, ოთხი დღეა სტეფანწმინდაში იმყოფება, ვინაიდან ცუდი ამინდების გამო ასვლის დაწყება შეუძლებელია.

ტემპერატურა დავიდა ხუთ გრადუსამდე, რის გამო ექსპედიციის ზოგიერთი წევრი უიმედობას მიეცა. თუ ცუდი ამინდი გაგრძელდა, ექსპედიციას მოუხდება თბილისში დაბრუნება. სტეფანწმინდაში ხდება მეტეოროლოგიური დაკვირვებები. გამართულ იქნა აგრეთვე მიმღები და გადამცემი რადიო-აპარატები, რომლებიც დაუკავშირდა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებს.

ს. ჯაფარიძე.

ხის დამმუშავებელთა მე-7 ყრილობა

კამათი სატყეო ტრესტის მუშაობის შესახებ

ამხ. ბრეგვაძის მოხსენებამ სატყეო ტრესტის მუშაობის შესახებ ყრილობაზე გაცხოველებული კამათი გამოიწვია. კამათში გამოსული დელეგატები ვრცლად ახასიათებდენ იმ წარმოებათა მდგომარეობას, საიდანაც ისინი არიან გამოგზავნილი და მოყავდათ ცნობები, როგორც მიღწევების, ისე დეფექტების შესახებ.

დელეგატების სიტყვით, სატყეო მრეწველობის ტრესტის მდგომარეობა ამჟამად მნიშვნელოვნად გამოკეთებულია.

ამავე დროს ორატორები აღნიშნავდენ, რომ ტრესტის მთელ რიგ წარმოებებში ადგილი აქვს მრავალ წვრილმან დეფექტებს, რომელთა გამოსწორებაც დაუყოვნებლივ უნდა მიექცეს ყურადღება.

ამხ. თირქიას მოჰყავს ცნობები ახალ აბასთუმანის ხე-ტყის ქარხნის შესახებ. იქ ტრესტი იჯარას აძლევდა ისეთ მოიჯარადრეებს, რომლებიც თავის მხრივ იჯარას სხვას უთმობდნენ. ამგვარად ტრესტის ფულები გადადიოდა რამოდენიმე მოიჯარადრის ხელში, რომლებიც მდიდრდებოდნენ. ამხ. თირქია საჭიროდ სთვლის, რომ ტრესტი განსაკუთრებული სიფრთხილით მოეპყრას იჯარით გაცემის საქმეს.

გეგეშიძე (მარელისიდან) უსაყვედურებს ტრესტს, რომ მან თავის დროზე ვერ გაითვალისწინა მარელისის ქარხნისათვის საჭირო ნედლი ხე-ტყის მასალის რაოდენობა, და ამან გამოიწვია დაბრკოლებები ქარხნის მუშაობაში.

ამხ. ვარამაშვილი ეხება შტატების მდგომარეობას და საჭიროდ მიიჩნია ტრესტმა ყველა ქარხნებში და წარმოებებში მოახდინოს შტატების გადათვალიერება.

შემდეგ ილაპარაკეს ამხ. ცაგურიამ, ისაევმა, ნანეტაშვილმა, კერკენჯიამ და სხ.

დასასრულ არჩეულ იქნა კომისია, რომელსაც მიენდო შეიმუშავოს პრაქტიკული ღონისძიებები ტრესტის მომავალი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ამხ. შეინი თბილისში

გუშინ ბათომიდან თბილისში ჩამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოსთან არსებულ საინჟინერო-სატეხნიკო ძალთა საკავშირო ბიუროს თავმჯდომარე ამხ. ს. დ. **შეინი,** რომელიც საზოგადოებრივ ბრალმდებლად გამოდიოდა შახტის პროცესზე.

ამხ. შეინი თბილისში დარჩება რამოდენიმე დღეს და 22 ოქტომბერს საქართველოს საინჟინერო-სატეხნიკო ძალთა ბიუროს მორიგ სხდომაზე გამოვა მოხსენებით: „ეკონომიური კონტრ-რევოლიუცია დონბასში და საინჟინერო-ტეხნიკურ ძალების მიმდინარე ამოცანები".

ლითონის შეგროვება

საკავშირო პროფსაბჭომ მიმართა მოწოდებით ადგილობრივ პროფორგანიზაციებს მიიღონ ზომები საწარმოო თათბირებისა და ფაბ.-ქარხ. ადგილობრივ კომიტეტების მეშვეობით ლითონის ნატეხების მოგროვების საქმის მოსაგვარებლად.

საბჭოთა მომავალი არჩევნებისათვის

საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილებამ შეიმუშავა საბჭოების არჩევნების ჩატარების გეგმა, რომლის მიხედვით საბჭოების არჩევნები ჩატარებული იქნება საბჭოების გამოცოცხლებისა და თვითკრიტიკის ლოზუნგით. ახალი საარჩევნო კამპანიის მიზანია საბჭოებში რაც შეიძლება მეტი რაოდენობით იქნენ ჩაბმული მუშები, გლეხები, მუშ. და გლეხი ქალები.

საქ. ცაკის დირექტივების თანახმად მიღებული იქნება ზომები, რათა ყველამ, ვინც საარჩევნო უფლებით სარგებლობს, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში.

ადგილობრივ ორგანიზაციებს ევალება განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ღარიბ გლეხების აქტივობის ზრდას, რათა მათ საშუალო გლეხების აქტიურ ნაწილთან ერთად არჩევნებში მიიღონ მხურვალე მონაწილეობა და სავსებით გარიყონ კულაკები საბჭოებიდან.

ამომრჩევლებს საანგარიშო ყრილობებზე უნდა მიეცეს საშუალება დაურიდებლად ამხილონ საბჭოების მუშაობაში შემჩნეული დეფექტები და შეცდომები.

გარდა ამისა ადგილობრივ საბჭოთა ორგანიზაციებს ევალება თავიდანვე მიიღონ ზომები, რათა, საარჩევნო საორგანიზაციო მუშაობის დროს განმეორებული არ იქნეს წარსულ არჩევნების დროს დაშვებული შეცდომები და ამომრჩევლებს ყოველ მიზეზს გარეშე თავის დროზე ჩააბარონ საარჩევნო უწყებები. მტკიცეთ დაიცვან არჩევნებში მონაწილეთა და საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებულთა სიების შედგენის შესახებ გამოცემული ინსტრუქცია.

წინასწარ შედგენილი შავი სიები აუცილებლად განხილული უნდა იქნეს ღარიბთა კრებებზე, რათა მოსალოდნელი შეცდომები თავიდან იქნეს აცილებული.

საარჩევნო კომისიებს ევალება აგრეთვე მიიღონ ზომები, რომ ყველა დეპუტატებმა ჩააბარონ ანგარიში ამომრჩევლებს.

სოფლის კულაკური ნაწილი განცალკევებული უნდა იქნეს საბჭოს არჩევნებში და მათ არ უნდა მიეცეს საშუალება რაიმე კავშირი იქონიონ ღარიბ და საშუალო გლეხებთან.

არჩევნების წარმატებით ჩატარების მიზნით თვითეულ უბანში, რომელსაც აქვს უფლება აირჩიოს ერთი დეპუტატი, უნდა დაარსდეს ერთი დამოუკიდებელი საარჩევნო უბანი, ხოლო მოზრდილი სოფლები საჭიროა დაიყოს რამდენიმე საარჩევნო უბნად.

უბნებად დაყოფის დროს მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს მოსახლეობის ნაციონალური შემადგენლობა, ზნე-ჩვეულება და სხვა ადგილობრივი პირობები.

იმ ადგილებში, სადაც ჯერ კიდევ ქალები ერიდებიან მამაკაცებთან ერთად მონაწილეობის მიღებას კრებებზე , ჩატარებული უნდა იქნეს ქალების ცალკე კრებები.

ადგილობრივ საბჭოთა ორგანიზაციებს აგრეთვე ევალება არჩევნებში ფართოთ ჩააბან კომკავშირელები და დელეგატი ქალები.

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით მოსამზადებელი მუშაობა საბჭოთა არჩევნებისათვის უნდა დაიწყოს მიმდინარე წლის 1 დეკემბრიდან და დამთავრდეს 1929 წლის 1-ლ იანვრამდე, ხოლო 1-ლ იანვრიდან 1 თებერვლამდე ჩატარებული უნდა იქნეს საბჭოების საანგარიშო კამპანია.

1 თებერვლიდან დაიწყება ძირითადი საბჭოების გადარჩევა, რომელიც უნდა დამთავრდეს 1 მარტამდე.

აფხაზეთის და აჭარისტანის ავტონომიურ რესპუბლიკების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის და სამაზრო საბჭოების ყრილობები უნდა ჩატარდეს 1 მარტიდან 20 მარტამდე. სრულიად საქართველოს საბჭოების ყრილობა მოწვეული იქნება მარტის ბოლო რიცხვებში.

პოლიტგანმანათლებელი მუშაობა თბილისის მაზრაში

თბილისის პოლიტგანათლების განყოფილების ცნობით, ამჟამად გახსნილია 45 სამკითხველო და 5 ბიბლიოთეკა. აქედან 17 სამკითხველო და ბიბლიოთეკა გახსნილია ნაციონალურ უმცირესობისათვის.

უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა სოფლის სამკითხველოების მასიური მუშაობა. სოფლის სამკითხველოების მუშაობაში ჩაბმული არიან სოფლის ყველა კულტურული ძალები.

სამკითხველოების მუშაობას აბრკოლებს ჟურნალ-გაზეთების თავის დროზე მიუღებლობა.

ზოგიერთ თემების გამოკლებით, სკოლებსა და სამკითხველოებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ადგილობრივ სკოლის მასწავლებლების ხელმძღვანელობით მოწაფეები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ დრამატულ და ლიტერატურულ წრეების მუშაობაში.

ყარაიის სამკითხველოსთან მოწაფეების მიერ დაარსებულია წიგნების მკინძავთა წრე, რომლის მუშაობასაც ხელმძღვანელობს სამკითხველოს გამგე. ზოგიერთ თემებში კი სამკითხველოების მუშაობა ძალზე მოიკოჭლებს, რაც გამოწვეულია გამოცდილ გამგეების უყოლობით.

მაზრაში არსებობს 32 კლუბი, რომელთა უმრავლესობა არ არის სათანადოთ მოწყობილი.

მაზრაში აგრეთვე ამჟამად მუშაობს 14 რადიო-მიმღები სადგური.

გასულ საანგარიშო წელში მაზრაში გახსნილი იყო 161 წ.-კ. უცოდინარობის სკოლა, რომლებიც დაასრულა 6,952 გლეხმა. მაზრაში ამჟამად წ.-კ. უცოდინარია მოსახლეობის 25 პროცენტი.

1928—29 წელში მაზრაში საპოლიტ-განმანათლებლო მუშაობის გასაცხოველებლად პოლიტგანმა შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა მიხედვით გათვალისწინებულია სამკითხველოების გამგეთა ხელფასის მომატება, სამკითხველოების უზრუნველყოფა წიგნებით და სხვ.

წელს მაზრაში დამატებით მოეწყობა 4 მოძრავი კინო, გაიხსნება რამდენიმე ახალი კლუბი და სხვ. გარდა ამისა წელს მაზრაში მოეწყობა კიდევ 10 რადიო-მიმღები სადგური და მიღებული იქნება ზომები სამკითხველოებთან არსებულ წრეების მუშაობის გასაცხოველებლად. წელს აგრეთვე განზრახულია მოეწყოს მაზრის პოლიტ-განმანათლებელ ორგანიზაციების, მუშაკთა გადასამზადებელი კურსები. პირველ რიგში კურსები მოეწყობა სოფლის სამკითხველოების გამგეთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

წელს აგრეთვე საგრძნობლად გაფართოებული იქნება წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების ქსელი და მათ გაეწევა სათანადო დახმარება.

ფოსტა-ტელეგრაფის ქსელის რეორგანიზაცია

ამიერ კავკასიის კავშირგაბმულობის სტრუქტურა არ შეეფარდება საერთო ადმინისტრატიულ დაყოფას. ამიერ კავკასიაში სულ 7 საოლქო კანტორაა: საქართველოში — 4 (თბილისის, ქუთაისის, ბათომის და სოხუმის), აზერბეიჯანში — 2 (ბაქოს და ნახიჩევანის), სომხეთში — 1 (ერევნის). ასეთ მსხვილ საოლქო კანტორების სისტემა დიდ დაბრკოლებებს ქმნის კავშირგაბმულობის საქმიანობაში. პირველ ყოვლისა შეუფარდებლობა საერთო ადმინისტრატიულ დაყოფასთან აძნელებს ნორმალურ ურთიერთობას კავშირგაბმის უწყებასა და ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს შორის. ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტათ სამაზრო აღმასკომმა უნდა მიმართოს დიდათ დაშორებულ საოლქო კანტორას და ასევე უკანასკნელმა სამაზრო აღმასკომებს. სამოქმედო დიდი რაიონის გამო საოლქო კანტორას არ აქვს საშუალება სისწორით ასახოს ადგილობრივ პირობების თავისებურობანი, გამოარკვიოს მოთხოვნილებათა ზრდა და ამის მიხედვით განავითაროს კავშირგაბმის ქსელი.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამო ა.-კ. კავშირგაბმულობის სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს მომავალ საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან, ნაცვლად საოლქო კანტორებისა, დაარსოს სამაზრო კანტორები. ყოველ მაზრაში სამაზრო ცენტრში მდებარე კავშირგაბმის დაწესებულება გადაკეთდება სამაზრო კანტორად და აღიჭურვება ამჟამად არსებულ საოლქო კანტორის უფლება-მოვალეობებით. მას ემორჩილება მაზრის ფარგლებში მდებარე საწარმოო ერთეულები, ის წარმომადგენლობს ხელისუფლების ორგანოებში კავშირგაბმის უწყების სახელით და უშუალოდ ხელმძღვანელობს კავშირგაბმის ორგანიზაციის საქმეს.

სამაზრო კანტორას უფრო მეტი სისწორით შეუძლია ასახოს მაზრის თავისებურობანი, თვალყური ადევნოს მის კულტურულ და ეკონომიურ განვითარებას და ამის მიხედვით შესაფერისად განავითაროს კავშირგაბმის ქსელი.

ჯერ-ჯერობით რეორგანიზაცია ცდის სახით გატარდება მხოლოდ საქართველოში აფხაზეთის და აჭარისტანის გამოკლებით და, თუ მან კარგი შედეგები მოგვცა, გავრცელდება ა.-კ. დანარჩენ რესპუბლიკებშიაც.

სამაზრო აღმასკომებმა შესაფერად უნდა შეაფასონ ა.-კ. სამმართველოს ეს ნაბიჯი, როგორც ფოსტა-ტელეგრაფის აპარატის მათთან დაახლოვება და ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიონ სამაზრო კანტორებს განსაკუთრებით

ვ. ოსეპჩუკი.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„საქართველოს ეკონომისტი". ყოველთვიური ეკონომიური ჟურნალი № 7—8.

ჩვენს პერიოდულ ეკონომიურ ლიტერატურაში „საქართველოს ეკონომისტმა" უცილებლად დადებითი ადგილი დაიჭირა. მიუხედავათ იმისა, რომ ჟურნალს ჯერ კიდევ დღემდეც ვერ მიუღია დასრულებული ეკონომიური ორგანოს სახე, ის მაინც აკმაყოფილებს იმ მთავარ მოთხოვნილებას, რომელსაც უყენებს მას ჩვენი სამეურნეო განვითარება. ჟურნალი კარგა ხანს არ იქცევდა ჩვენი სამეურნეო ორგანოების საკმაო ყურადღებას, არ იყო მტკიცე მისი ხელმძღვანელობა, ამ ჟურნალის ხელმძღვანელნი, როგორც აღნიშნა ეს ცეკას ივნისის პლენუმზე ამხ. **მ. კახიანმა** არ გრძნობდენ საჭირო პასუხისმგებლობას და ამიტომ იყო, რომ ჟურნალში ხშირად ადგილი ეთმობოდა ნაროდნიკულ აზრებს.

ეს ნაკლი დღეს აღკვეთილია და ჟურნალი თანდათანობით ხდება ჩვენი ეკონომიური სინამდვილის მთავარ საკითხთა გამშუქებელ და დამმუშავებელ ბეჭდვით ორგანოთ. მასში უფრო მეტი რაოდენობით იღებენ მონაწილეობას ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკები და სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

სამრეწველო მშენებლობა ჩვენში მეტად ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ. არსდება აქამდე უცნობი საწარმოო დარგები, იწყება დღემდე გამოუყენებელ ბუნებრივ სიმდიდრეთა დამუშავება, უმჯობესდება სოფლის მეურნეობის ცალკე დარგთა ტეხნიკა. ვითარდება სასოფლო მეურნეობის ორგანიზაციის ახალი ფორმები და სხვა. ყოველივე ეს მოითხოვს ჩვენში გეგმიან მეურნეობის პირობებში ყოველი ნაბიჯის წინასწარ შეფასებას. მეურნეობის ცალკე დარგთა განვითარების რეალურ, ყოველმხრივ დამუშავებულ გეგმის შედგენას, რათა უმიზნოთ არ დაიხარჯოს თანხები.

აქამდე კი, განსაკუთრებით ჩვენში როგორც არა ერთხელ აღნიშნულა ეს, გეგმიანობას დარგში დიდი არევ-დარევაა. სამეურნეო განვითარების მთელი რიგი ახალი საკითხები წინასწარ სრულიად დაუმუშავებელია, რის გამო აუარებელი დეფექტები თან სდევს კერძოთ ჩვენს სამრეწველო მშენებლობას, ცალკე საწარმოთა გახსნას და ამა თუ იმ სამეურნეო საქმიანობის წამოწყებას. სწორედ ამიტომ სერიოზულ ეკონომიურ ჟურნალში ჩვენი სამეურნეო განვითარების ყველა საჭირბოროტო საკითხები სათანადო შეფასებას უნდა პოულობდეს.

ჟურნალის სარეცენზიო ნომერი ამ მხრივ დამაკმაყოფილებელ სურათს იძლევა, თუმცა მასში მოთავსებული მთელი რიგი წერილები არაა ჯეროვნად დამუშავებული. ცალკე წერილებში სჭარბობს საერთო, თითქმის ჟურნალის მკითხველთათვის არც იმდენად საინტერესო თეორეტიული მსჯელობა და ნაკლებ პრაქტიკული სიცხოველე და ჩვენი მეურნეობის თავისებურებიდან გამომდინარე ამოცანების გარკვევა.

ასეთია მაგ. **დ. თოფურიძის** წერილი, სადაც მთავარი ადგილი უჭირავს მასიური კრედიტის სხვადასხვა გაგების გადმოცემას, სხვადასხვა მეცნიერთა შეხედულების გაჭიანურებულ მოყოლას, ხოლო მეტად მცირეა ნათქვამი წერილში დასმულ არსებით საკითხის შესახებ, სახელდობრ იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხს დღევანდელ ეკონომიურ სინამდვილეში და რა ეფექტი შესაძლოა მოგვცეს მან სახალხო მეურნეობის ძირითად დარგის მრეწველობის განვითარებაში.

„საქართველოს ეკონომისტ"-ში სპეცებს სჩვევიათ მეტი ილაპარაკონ ზოგად მოსაზრებებზე, გადაიჭრან „ღრმა თეორიაში" და ნაკლები ადგილი დაუთმონ საკითხის კონკრეტ. მხარეს. ასეთი იყო მაგ. ჟურნალის ერთ-ერთ წინა ნომერში ამავე საკითხზე. (სახელმწიფო კრედიტზე ინდუსტრიალიზაციის პირველ სესხთან დაკავშირებით) პროფ. **გოგიჩაიშვილის** ვრცელი წერილი. უნდა ვეცადოთ, რათა მკითხველის ყურადღება დასმულ საკითხის ყველაზე არსებით, პრაქტიკულ მხარეზე შევაჩეროთ და რაც შეიძლება ნაკლები ადგილი დავუთმოთ მოსაწყენ „მწიგნობრობას".

ჟურნალის სარეცენზიო ნომერში ყურადღებას იპყრობს ამხ. **სარუხანოვის** წერილი „კოლმეურნეობათა ფორმების შესახებ ჩვენში". ამხ. სარუხანოვის წერილი ყველაზე საქმიანია ყველა იმ მასალითა შორის, რომელნიც ამ თემაზე დაბეჭდილა „საქართველოს ეკონომისტში". ავტორი არკვევს კოლექტიურ მეურნეობათა სხვადასხვა სახეებს, რომელნიც შესაძლებელია გავრცელდეს საქართველოში.

კოლექტიურ მეურნეობათა სხვადასხვა სახეები განხილულია ბუნებრივ ისტორიულ პირობების თავისებურებათა, ნიადაგის, რელიეფის და ამა თუ იმ რაიონში მიწათსარგებლობის ფორმების მიხედვით. კოლექტივიზაცია ავტორის თქმით უნდა შეეხოს არა მარტო მემინდვრეობას (მარცვლეულის კულტურას), არამედ ტეხნიკურ კულტურებსაც, როგორიცაა ვენახი, ჩაი და სხვა. მევენახეობის რაიონებში კოლექტივიზაცია შესაძლებელია განვითარდეს ვენახების ახალი ფართობის ზრდის მიხედვით, რადგან „უკვე არსებულ ვენახების ფართობის კოლექტივიზაცია არ არის მოსალოდნელი მრავალ და სავსებით გასაგებ მიზეზთა გამო". მევენახეობის რაიონებში კოლექტივიზაციის წარმატებით განვითარებისათვის ავტორის აზრით საჭიროა ვენახთან ერთად თანმდები დარგების გაერთიანება (მაგ. მემინდვრეობა). ჩაის რაიონებშიც—ლაპარაკობს ავტორი—კოლმეურნეობის ორგანიზაციის ბაზა იქნება ჩაის ახალი პლანტაციები.

კოლმეურნეობათა დიფერენციულ განხილვას ავტორი მიყავს იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში კოლმეურნეობანი მიიღებენ უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო არტელის სახეს, ამის განხორციელება ავტორს შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება ეკონომიურ ზეგავლენას კოლმეურნეობაზე. „ეს ზეგავლენა განსაკუთრებით კოლმეურნეობათა ფინანსიურ უზრუნველყოფაში მდგომარეობს".

საგულისხმო მოსაზრებანი აქვს გამოთქმული აგრონომ **კარბელაშვილს** „სიმინდის მარცვლის რაციონალური გამოყენებისათვის". სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია გულისხმობს, როგორც გაუმჯობესებულ წესებით მოსავლის მოყვანას, ისე თვით მოსავლის, იქნება ეს მარცვლეული თუ სხვა პროდუქცია, რაციონალურ გამოყენებას. ჩვენში მეტად გავრცელებული სიმინდის კულტურა არ იძლევა საგრძნობ შემოსავალს და არ არსებობს წამახალისებელი საშუალებანი ამ კულტურის გაუმჯობესებისათვის. ავტორი არჩევს ვრცლად სიმინდის მარცვლეულის დამუშავების გაუმჯობესებულ წესებს, ასახელებს მთელ რიგ ღონისძიებებს სიმინდის კულტურისადმი მეტი ინტერესის გაღვიძებისა და სიმინდის შემოსავლიანობის ზრდისათვის.

ინჟ. **ალშიბაია** არაფერს ახალს არ ლაპარაკობს თავის წერილში „ჩვენი შავი ქვა და მსოფლიო ბაზარი". წერილი ავსებულია სტატისტიკური ცნობებით შავი ქვის სავარაუდო მარაგის და მადნის ექსპორტის შესახებ. უმჯობესი იქნებოდა, რათა ავტორი შეჩერებულიყო არა მრავალჯერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მასალაზე, არამედ იმაზე, თუ რა პერსპექტივები ესახება წარმოების ამ დარგს და რა არის საჭირო იმისათვის, რათა ჭიათურის შავი ქვის წარმოებამ დაიბრუნოს მსოფლიო ბაზარზე დაკარგული პირველობა და გახდეს ჩვენი სახალხო მეურნეობის შემოსავლიან დარგათ.

კაპიტალურ მშენებლობის ერთ-ერთ დამაბრკოლებელ მიზეზათ ითვლება საამშენებლო მასალის სიძვირე. ეს ხაზგასმით აღნიშნულია უმაღლეს ორგანოთა დადგენილებაში. იძ. **ნარსია** ეხება ამ მეტად მტკივნეულ საკითხს, წერილში „საამშენებლო მრეწველობა ჩვენში". წერილიდან მკითხველი იგებს, რომ მრეწველობის ეს დარგი საქართველოში მეტად მოუწესრიგებელია, სუსტია მასში გასაზოგადოებული სექტორის როლი (გარდა ხე-ტყის დამუშავებისა), წვრილი წარმოება ბევრგან სჯობნის მსხვილს, დიდია განსხვავება ხე-ტყის ტრესტის ნაწარმოებსა და ადგილობრივ მრეწველობის ნაწარმოების ფასებს შორის, არ არის სახელმწიფო ქარხნები დატვირთული, რის გამო ნაკლებია შრომის ნაყოფიერება, დიდია ზედნადები ხარჯები და სხვა. ყოველივე ამის გამო არა წესიერად ხდება ბაზარზე საამშენებლო მასალის მიწოდება. საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს კერძო, წვრილი საამშენებლო მასალათა წარმოება და მაღალია ყოველივე ამის გამო წარმოება და მაღალია ყოველივე ამის გამო ფასები ხე-ტყეზე, აგურზე, კრამიტზე, კირზე და სხვა მასალაზე.

ჟურნალში მოთავსებულ სხვა წერილებს შორის ყურადღებას იპყრობს ამხ. **ჩახვაძის** „გლეხის ბიუჯეტის სტრუქტურა საქართველოში", ალ. **დევდარიანის** „საქართველოს სამთამადნო ნედლეულის გადამუშავების პრობლემები" და კამათი **ბერიტაშვილისა** და **გოთუას** შორის „საკონსერვო და ხილის საშრობ წარმოების შესახებ საქართველოში".

ჟურნალში მოთავსებულია საკმაოდ მდიდარი ინფორმაცია უცხოეთის ეკონომიურ ცხოვრებაზე და ბიბლიოგრაფია.

ეკონომისტი.

აკაკი კალაძე.—მეაბრეშუმეობა და საბრეშუმო მრეწველობა საქართველოში

„საქართველოს აბრეშუმის" გამოცემა; 1928 წ. გვ. 197; ფასი 2 მან.

ამხ. კალაძის წიგნი არ არის მხოლოდ ეკონომიური ხასიათის; იქ შესაფერი ადგილი აქვს დათმობილი ისტორიულ მიმოხილვას და ტეხნიკურ და აგრონომიულ საკითხებსაც.

აღნიშნულ შრომაში ჩვენ ვპოულობთ საქართველოს ეკონომიურ დახასიათებას, რომლის ფონზე ავტორი იძლევა საჭირო განმარტებებს მეაბრეშუმეობის და საბრეშუმო მრეწველობის შესახებ.

თანახმად მრავალი ისტორიული წყაროებისა, რომელიც მოყვანილი აქვს ავტორს თავის ნაშრომში, ირკვევა რომ სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს შორის მეაბრეშუმეობას საქართველოში ყოველთვის, უძველეს დროიდანვე ფრიად საპატიო ადგილი ეჭირა. და აბრეშუმი ჩვენში საექსპორტო საქონელსაც კი წარმოადგენდა.

მაგ. მე-19 საუკ. დასავლეთ საქართველოს მთავარ ბაზარზე—ქუთაისში—აბრეშუმი „საბაჟოს და ვაჭრობის" ცნობებით თამაშობდა დიდ როლს. მე-19 საუკ. დასაწყისში (20-30 წლ.) დასავლეთ საქართველოს მთავარი ბაზარი—ქუთაისი იყო. ქუთაისის ბაზარზე გამოტანილ პროდუქტთა: სიმინდის, თაფლის, კაკლის, წაბლის და სანთელის ღირებულება უდრიდა 62 ათ. მან., მაშინ, როდესაც ამავე ბაზარზე გამოტანილ მარტო აბრეშუმის ღირებულება 60 ათ. მანეთს უდრიდა. აქედან ცხადია, თუ რამდენათ დიდ როლს თამაშობდა მეაბრეშუმეობა დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობაში.

მეაბრეშუმეობას საქართველოში დიდი ფისკალური მნიშვნელობაც ჰქონდა. მეფე და მთავრები იღებდენ ხარკს აბრეშუმითაც; გლეხები ბატონს გადასახადს „აბრეშუმის ყოველი მოსავლიდან აძლევდენ 1-დან 4 ლონდამდე".

მიუხედავათ მეაბრეშუმეობის ასეთი დიდი მნიშვნელობისა, მას საქართველოში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა წარსულში და აუტანელი ბაჟები იყო აბრეშუმზე დაწესებული. ეს გარემოება ხელს უშლიდა მეაბრეშუმეობის განვითარებას, მაგრამ შედარებით სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ის მაინც რენტაბელური იყო და სხვაზე მეტად ვითარდებოდა. მეაბრეშუმეობა საქართველოში სწრაფი ტემპით ვითარდებოდა მანამ, სანამ დასავლეთ ევროპაში და იაპონიაში მეაბრეშუმეობამ მტკიცეთ ფეხი არ მოიკიდა, და, რაც მთავარია, როგორც ამას ავტორი აღნიშნავს, „სანამ მსოფლიო ცივილიზაციის დროშა წინა აზიის ხალხთა ხელში იყო", ხოლო როცა მე-13—14 საუკ. წინა აზიის კულტურული და ეკონომიური რეგრესი დაიწყო, ამ გარემოებამ სათანადო გამოხმაურება იპოვა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაშიც და მისი ეკონომიური განვითარებაც ხანგრძლივად ერთ წერტილზე შეჩერდა".

წინა აზიის ეკონომიური დაქვეითების მიზეზი, როგორც ამას ავტორი აღნიშნავს, იყო ორი გარემოება: 1. ევროპიელებმა დასტოვეს ძველი მცირე აზიის და კავკასიის გზა, რომლითაც ისინი უკავშირდებოდენ აზიას და 2 ოსმალებმა დაიპყრეს ბიზანტია და მით ევროპა და ახლო აღმოსავლეთი ერთი მეორეს მოსწყვიტეს.

მეაბრეშუმეობის ვრცელი ისტორიული მიმოხილვის შემდეგ ავტორს მოყავს დაწვრილებითი ცნობები საქართველოს სხვადასხვა რაიონებში მეაბრეშუმეობის სამეურნეო მნიშვნელობის შესახებ. მეაბრეშუმეობის სამეურნეო მნიშვნელობასთან ერთად ავტორი ეხება ტეხნიკურ საკითხებსაც, როგორიცაა: ჭიის მოვლა ჩვენში, აბრეშუმის თესლის დამზადება და თუთის კულტურა.

წიგნის შემდეგ ნაწილში ავტორი იხილავს აბრეშუმის თესლის მიწოდებას, პარკის მოსავლიანობას და გასაღებას, შინამრეწველობას მეაბრეშუმეობის დარგში და აბრეშუმის ტეხნიკურ გადამუშავებას.

შრომაში საკმაოდ ვრცლადაა განხილული კერძო პირთა და საზოგადო დაწესებულებათა საქმიანობა მეაბრეშუმეობის დარგში. აქ ჩვენ წინ იშლება საკმაოდ საგულისხმო სურათი, თუ როგორ ვითარდებოდა ორგანიზაციულად მეაბრეშუმეობა საქართველოში.

ავტორი ეხება აბრეშუმის ტრესტის მოღვაწეობას, აღნიშნავს რა ტრესტის მიღწევებს საქართველოში საბრეშუმო დარგის განვითარებაში და აგრეთვე იმ მიზეზებს, რომელნიც ხელს უშლიან აბრეშუმის მრეწველობის სწრაფ ზრდას ჩვენში. ავტორი საკმაო სიცხადით ამტკიცებს მეაბრეშუმეობის, როგორც სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგის სარგებლიანობას საქართველოში. მეაბრეშუმეობის შედარებით ნელი ტემპით განვითარება, ავტორის თქმით მიეწერება იმას, რომ ჩვენში არ ექცევა სათანადო ყურადღება აბრეშუმის ჭიის გამოყვანას, არ არის ყოველთვის შერჩეული გლეხებისთვის დასარიგებელი თესლი და რაც მთავარია მეტად დაბალ დონეზე სდგას აბრეშუმის ჭიის მოვლა, სათანადო, მოწყობილ შენობათა უქონლობის და ჭიის არა სწორი კვების გამო.

საქართველოში მეაბრეშუმეობას დიდი მომავალი აქვს, ხოლო ამისათვის საჭიროა აბრეშუმის ჭიის მოვლის და საერთოდ მეაბრეშუმეობის უფრო კულტურული წესების გავრცელება ჩვენს გლეხობაში, მით უმეტეს, რომ გლეხობა თანდათანობით მეტი მონდომებით და ინტერესით ეკიდება მეაბრეშუმეობას, როგორც სოფლის მეურნეობის რენტაბელურ დარგს.

ამხ. კალაძის შრომის დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ის ეხება ჩვენი სასოფლო მეურნეობის ერთ სპეციალურ დარგს, როგორიცაა მეაბრეშუმეობა. ასეთი ხასიათის შრომები ქართულ ენაზე იშვიათია. ჩვენ ეხლა გვესაჭიროება არა ზოგადი, „ყოვლის შემცველი" შრომები სოფლის მეურნეობაზე, არამედ სოფლის მეურნეობის ცალკე დარგთა, ჩვენში გავრცელებულ კულტურათა რაც შეიძლება სპეციალური მიმოხილვა. ამ მხრივ ამხ. კალაძის შრომა, რომელიც მის მიერ სადიპლომო იყო წარდგენილი უნივერსიტეტის სათანადო ფაკულტეტზე დიდ დახმარებას გაუწევს მოსწავლე ახალგაზრდობას და საერთოდ, ყველა მათ, ვისაც სურს მეაბრეშუმეობის, როგორც წარსულის, ისე თანამედროვე მდგომარეობის გაცნობა საქართველოში.

დ. თოფურიძე.

ქრონიკა

სესხზე ხელისმომწერთა საყურადღებოდ

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახ. კომისარიატის სავალიუტო სამმართველო აცხადებს სესხის გამსესხებელთა საყურადღებოდ შემდეგს: საბჭოთა კავშირის ფინსახკომის და სახელმწიფო ბანკის გამგეობის შეთანხმებით ა.-წ. 1-ლი ნოემბრიდან ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის ობლიგაციების კურსის დაწესება დაიწყება ყველა სავალიუტო ბირჟებზე.

1-ლი ნოემბრიდან ყველა ბირჟები სისტემატიურად გამოაქვეყნებენ ობლიგაციების ოფიციალურ კურსს. ამავე ხნიდან შესაძლებელი გახდება ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის ობლიგაციათა გაყიდვა, ან მათი დაგირავება ნაღდ ფულზე სახელმწიფო ბანკის ყველა განყოფილებებში, ან სხვა საკრედიტო დაწესებულებებში თანახმად ოფიციალური კურსისა.

ამერიკელ მეცნიერის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ამერიკელი მეცნიერი ვილ მორდენი, რომელიც თბილისში დარჩება რამდენიმე დღეს რა გაეცნობა ადგილობრივ კულტურულ და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობას.

ოდონტოლოგიური ინსტიტუტი

ოდონტოლოგიურ (კბილის სნეულებათა) ინსტიტუტში განცხადებების მიღება გაგრძელებულია 25 ოქტომბრამდე. ამავე რიცხვიდან დაიწყება გამოცდები. უნივერსიტეტის გამგეობის დადგენილებით მიღებულ სტუდენტების 30 პროცენტი (ღარიბესი სტუდენტები) განთავისუფლებული იქნება სასწავლო გადასახადიდან. დანარჩენები გადაიხდიან წლიურად 115 მანეთს.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ კავშირების ცენტრალური საბჭოები სათანადო ყურადღებას არ აქცევდენ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. მცირე გამონაკლისის გარდა, კავშირები უცოდინართა და მცირე მცოდნეთა აღრიცხვასაც კი არ აწარმოებდენ. არ შეუდგენიათ ამ მუშაობის კონკრეტული გეგმა, არ არის მოწყობილი ლიკკოლები და ლიკპუნქტების ქსელი.

პრეზიდიუმმა წინადადება მისცა საქართველოს კავშირების ყველა ცენტრალურ საბჭოს—დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილების მიერ ამ დარგში მიცემული დირექტივების შესრულებას. თვით კულტგანყ. პრეზიდიუმმა დაავალა, დამატებით შეიმუშაოს საკითხი საქართველოს პროფკავშირების წევრთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე ცოდნის სალიკვიდაციოთ საჭირო თანხების შესახებ.

აბაშის ჰიდრო-ელსადგური

აბაშის ჰიდრო-ელსადგურში ამჟამად მუშაობს ერთი აგრეგატი. ახლო ხანში მიღებული იქნება მეორე აგრეგატი, რომელიც მზადდება ლენინგრადის ლითონის ქარხანაში. მეორე აგრეგატის ამუშავების შემდეგ სადგურის ენერგია გაიზრდება ორჯერ.

ამჟამად სადგური ენერგიას აწვდის ფოთს, ახალსენაკს და მახლობელ რაიონებს.

მეორე აგრეგატის ამუშავების შემდეგ სადგური ენერგიის მიაწვდის ხონს და ქუთაისს, რისთვისაც საჭირო მუშაობა უკვე დაწყებულია.

საქონლის შემოტანა

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამართველოს გეგმით 1928-29 წ. საქართველოში შემოტანილი იქნება 2.022770 მეტრი შალი, 9.100.000 მანეთის რაოდენობით. გარდა ამისა წელს ქუთაისის მაუდის ფაბრიკა დაამზადებს 1.400.000 მეტრ შალს, 28-29 წლის პირველ ნახევარში საქართველოს საჭიროებისათვის შემოტანილი იქნება 5.500.000 მანეთის ხელის ქსოვილი, რომელიც გასასაღებლად გადაეცემა სამომხმარებლო კოოპერაციას და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებს.

წელს ქსოვილების გარდა შემოტანილი იქნება 30.000 წყვილი ფეხსაცმელი, 554.000 წყვილი კალოში, 86 ვაგონი ასანთი. 291 ვაგონი ჭურჭელობა, 7.265 ტონა ქაღალდი და 13 ტონა თევზის ქონი.

თბილისის ალმასკომში

სანერგე. სადგილმამულო განყოფილებამ ხაშმის ამერიკულ ვაზის სანერგეს მოსაწყობად გადასდო 15.000 მან.

აგროდახმარების გასაძლიერებლად მაზრაში ალმასკომმა გადასდო 13.000 მან.

ტრამვაის ახალი ვაგონები. ტრამვაის დირექციამ მოსკოვიდან დამატებით მიიღო 6 დახურული ვაგონი.

სხვადასხვა

უნივერსიტეტის გეოლოგიურ კაბინეტის აუდიტორიაში 23 ოქტომბერს საღამოს 7 ს. გეოლოგიურ ინსტიტუტის საბჭოს საჯარო სხდომაზე პროფ. ალ. ჯანელიძე წაიკითხავს მოხსენებას: „მდ. ტყიბულის ჰიდრო-ელექტრულად გამოყენების საკითხი“.

ხელოვნება

სეზონის გახსნა რუსთაველის თეატრში

სეზონის გახსნა რუსთაველის თეატრში საბოლოოდ დანიშნულია ხუთშაბათს 25 ოქტომბრისათვის. სეზონი გაიხსნება ალ. შანშიაშვილის „ანზორი“-თ (გადმოკეთებული ვს. ივანოვის „ჯავშანო 14-69“-დან)

მონაწილეობენ დასის საუკეთესო ძალები: გ. დავითაშვილი, აკ. ხორავა, მ. ლორთქიფანიძე, კორიშელი, ს. თაყაიშვილი, ნ. დავითაშვილი, ვ. გოძიაშვილი, ი. ლაღიძე, ვ. აბაშიძე, პ. კობზიძე, გ. სარჩიმელი, დ. მჟავია, ვ. ადამიძე და სხვა.

დადგმა ალ. ახმეტელის, კონსტრუქცია ირ. გამრეკელის, მუსიკა ი. გოკიელის.

გახსნის დღის — პიესა წავა პირველი აბონემენტის 1-ლ წარმოდგენათ, შაბათს 27 ოქტომბერს პიესა გამეორდება მე-2 აბონემენტის 1-ლ წარმოდგენისათვის და კვირას 28 ოქტომბერს — წავა აბონემენტის გარეშე.

ა.-კ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პლენუმი

დღეს, საღამოს 6 საათზე ხელოვნების სასახლეში შესდგება ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პირველი პლენუმი. დღის წესრიგი: 1) პროლეტარულ მწერალთა საკავშირო ასოციაციის მორიგი ამოცანები — მომხს. ამხ. **სუტირინი**, 2) შემოქმედებითი საკითხი პროლეტარულ მწერლობაში — მომხს. ამხ. **ბ. ბუაჩიძე და ტატულოვი**. 3) „ნარუბეჟე ვასტოკა“-ს რედაქციის მოხსენება. 4) ა.-კ. პროლეტმწერალთა ასოციაციის მუშაობის გეგმა — მომხს. ამხ. **იურინი**. მიმდინარე საკითხები.

სახვითი ხელოვნების მუშაკთა კრება

21 ოქტომბერს, დილის 11 საათზე პროფსაბჭოს მცირე დარბაზში შესდგება ხელოვნების მუშაკთა კავშირის სახვითი ხელოვნების სექციის წევრთა საერთო კრება, რომელზედაც არჩეული იქნება დელეგატი სახვითი ხელოვნების მუშაკთა საკავშირო ყრილობაზე გასაგზავნათ. ამავე კრებაზე მოხდება ახალი გამგეობის არჩევა.

მომღერალთა გუნდი

ალ. მაისურაძის ხელმძღვანელობით თბილისში დაარსდა მომღერალთა გუნდი. გუნდი კონცერტების გამართვას შეუდგება ნოემბრის ბოლო რიცხვებში. გუნდში ახალი წევრების მიღება და ჩაწერა სწარმოებს კვირაობით და ოთხშაბათობით საღამოს 5-7 საათამდე (ორჯონიკიძისა და ეორესის ქ. კუთხე, სკოლის შენობაში).

—:—

ოპერა „ალმასტ“-ი. ლენინგრადის კონსერვატორიის დირექტორმა გლაზუნოვმა დასწერა ა. სპენდიაროვის დაუმთავრებელ ოპერა „ალმასტ“-ის პარტიტურა.

მე-2 მუსიკალურ მუშფაკში (ავლაბარში) მიმდინარე წლიდან პროგრამა გაფართოებულია. მუშფაკის კურსდამთავრებულნი კონსერვატორიაში მიღებულნი იქნებიან უგამოცდოთ. წელს მუშფაკში მასწავლებლებად მოწვეულნი არიან ერონსკი, ბენაროდნი და სხვ.

კომკავშირელ მწერალთა წრეში. „ახალგაზრდა კომუნისტი“-ს რედაქციაში დღეს საღამოს 6 ს. შესდგება კომკავშირელ მწერალთა წრის ბიუროს კრება.

მუშათა ახალ კლუბში დღეს გაიმართება დიდი კონცერტი.

რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში ოთხს გაიმართება ოტო შლეიდერის კონცერტი.

კინო

საბჭოთა კინემატოგრაფიის მეგობართა საზოგადოების დაარსება

გუშინ სახკინმრეწვში შესდგა საბჭოთა კინემატოგრაფიის მეგობართა საზოგადოების დამფუძნებელი კრება, რომელსაც დაესწრენ, როგორც სახკინმრეწვის მუშაკები, ისე სხვა დაინტერესებული პირები.

საზოგადოების დაარსების მიზნებისა და ამოცანების გაცნობის შემდეგ დამფუძნებელმა კრებამ დაადგინა პირველ ხანებში ჩატარდეს საზოგადოების უჯრედთა მოწყობა სხვადასხვა დაწესებულებებთან. შემდეგ, როდესაც ჩამოყალიბდება რამოდენიმე უჯრედი, მოწვეული იქნეს უჯრედების ბიუროთა წარმომადგენლების კონფერენცია, რომელზედაც ჩამოყალიბდება ახალი საზოგადოების სტრუქტურა.

კრებაზე არჩეულ იქნა საზოგადოების პირველი უჯრედის ბიურო, რომელსაც მიენდო შესაფერი ორგანიზაციული მუშაობის ჩატარება საზოგადოების სხვა უჯრედთა ჩამოსაყალიბებლათ.

უჯრედის ბიუროს დაევალა ერთი კვირის განმავლობაში შეიმუშაოს ახალი საზოგადოების წესდების პროექტი და წარმოადგინოს იგი საზოგადოების წევრთა მომავალ კრებაზე.

საბჭოთა ფილმების ექსპორტი სპარსეთში

სახკინმრეწვის თაოსნობით დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად სპარსეთში გატანილი იქნება სახკინმრეწვის მთელი უკვე დამზადებული პროდუქცია, აგრეთვე ის ფილმებიც, რომლებიც დღეს წარმოებაშია. იმავე ხელშეკრულებით სპარსეთში გაიგზავნება „მეჟრაბპომ-ფილ“-ის პროდუქცია და „სოვკინო“-ს 10 სურათი.

—:—

— **სურათ „საბა“-ს** დეკორაციების დახატვა მიენდო ლადო გუდიაშვილს და დ. კაკაბაძეს.

— **სურათ „მალარია“-ს** ზოგიერთი ადგილების გადასაღებათ კახეთში, ალაზნის ხეობაში გაემგზავრა კინო-ექსპედიცია. ექსპედიციაში შედიან რეჟ. ლ. პუში და ოპერატორი ზაბოზლაევი. კონსულტანტად მოწვეულია ტროპიკული ინსტიტუტის დირექტორი ექ. კანდელაკი.

—**რეჟ. ნ. შენგელაია** მიემგზავრება მოსკოვში, სადაც გადაიღებს სურათს, რომელსაც დგამენ სახკინმრეწვი და „მეჟრაპომ“—ფილმი“. სურათს გადაიღებს ოპერატორი კერესელიძე.

— **სახკინმრეწვის სამხატვრო საბჭოში** დამატებით არჩეული არიან თბილისის კომიტეტის აგიტ. პრ. განყოფილებიდან ამხ. ზედია, ა.-ლ.-კ.-კ. ცეკას აგიტ. პროპ. განყ. გამგე ამხ. ბუჯიაშვილი, ამხ. გოგინაშვილი და სახკინმრეწვიდან ამხ. დუდუჩავა.

— **უბედური შემთხვევა.** ბათომში სურათ „კომკავშირელები“-ს დადგმის დროს შემთხვევით თოფით დაიჭრა ფეხში მსახიობი ლ. ხოტივარი. დაჭრილი მაშინათვე მოთავსებული იქნა საავადმყოფოში. მის მდგომარეობას საფრთხე არ მოელის.

მოტო-ველო საზ-ბის ხუთი წლის თავი

მიმდინარე წლის ოქტომბერში სრულდება ხუთი წელი მოტო-ველო საზ-ბის დაარსებიდან.

თბილისის მოტორისტები გაერთიანებამდე დაქსაქსულ იყვნენ და არ ჰქონდათ საშუალება მოტო-სპორტის განვითარებისათვის ჯეროვანი ყურადღება მიექციათ.

1923 წელს რამოდენიმე პირის ინიციატივით და თბილისის ფიზკულტურის საბჭოს ხელმძღვანელობით თბილისში არსდება მოტო-კლუბი, რომელიც თავს უყრის ქალაქის ყველა მოტორისტებს.

მოტორისტები გაერთიანების მომენტიდან შევიდნენ საბჭოთა ფიზკულტურის საერთო სისტემაში და მოტო-სპორტის შემდგომი განვითარებაც თბილისის ფიზკულტურის საბჭოს ხელმძღვანელობის ქვეშ მიმდინარეობს.

1927 წელს თბილისის ფიზკულტურის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ჩამოყალიბდა მოტო-ველო საზ-ბა, რომელიც აერთიანებს როგორც მოტორისტებს, ისე ველოსიპედისტებს.

მოტო-ველო საზ-ბა მუშაობს დამოუკიდებელ სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე. საზ-ბას აქვს საკუთარი ველოდრომი, საზაფხულო შენობა და სხვა. საზოგადოება აერთიანებს 150 წევრს. წევრთა საერთო შემადგენლობაში არიან ქალებიც.

საზოგადოების მუშაობას საგრძნობლად აფერხებს ველოსიპედების და მოტოციკლეტების ნაკლებობა. ამას გარდა საზ-ბას არ აქვს მოტოდრომი.

ყველა ჩამოთვლილი დეფექტები გაზაფხულისთვის ნაწილობრივათ გამოსწორებული იქნება.

აქვე უნდა შევეხოთ ერთ მნიშვნელოვან საკითხს. ეს არის თავისუფალ (ნებაყოფლობით) ფიზკულტურულ საზოგადოების დაარსების საკითხი. ძალიან ხშირად ჩვენს პრესაში იბეჭდება წერილები ფიზკულტურის ორგანიზაციების თავისუფალ მშენებლობის ფორმებზე გადაყვანის შესახებ, მოტო-ველო საზოგადოება ასეთი ორგანიზაციის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს, რომელიც საკმაო გამოცდილებას მოგვცემს ზემოთ აღნიშნულ საკითხის გადასაწყვეტად.

მოტო-ველო საზოგადოება ნებაყოფლობითი ორგანიზაციაა. საზ-ბაში შემსვლელმა უნდა შეიტანოს საწევრო გადასახადი და აქტიური მონაწილეობა მიიღოს მის მუშაობაში.

მოტო-ველო საზოგადოების ხუთი წლის თავზე ჩვენ მოვახდენთ იმის დემონსტრაციას, თუ რა გააკეთა საზოგადოებამ დაარსებიდან დღემდე.

ხ. კვინიხიძე.

ჩაქვის სახალხო მამულში

ჩაის მოსავლის აკრეფა

ჩაქვის სახალხო მამულში ამ დღებში დასრულდება ჩაის ფოთლის მოკრეფა. გეგმის მიხედვით, წელს განზრახული იყო 560.000 კილო მწვანე ფოთლის მოკრეფა, მაგრამ დღემდე მოიკრიფა მხოლოდ 536.590 კილო. რადგან ფოთლის მოსაკრეფად დროზე არ დაიქირავეს მუშები, გაფუჭდა 40.000 კილო ჩაის ფოთოლი, მაგრამ მაინც მოსავალი იმდენად დიდია, რომ, თუ ხელსაყრელი ამინდი დადგა, ჩაის კრეფა მთელი 100 პროცენტით შესრულებული იქნება. წელს ჩაქვის მამულში 12 ჰექტარზე გაშენდა ჩაის ახალი პლანტაცია. მახლობელი ზამთრის განმავლობაში გაშენდება 20 ჰექტარი. დაიწყო ჩაის თესლის აკრეფა, როგორც სახალხო მამულში, ისე გლეხთა პლანტაციებზე. ჩაის ფაბრიკა ორ წყებად მუშაობს

სახლები მუშებისათვის

მიმდინარე წლის ზაფხულში სააქციო საზოგადოებამ „საქართველოს ჩაი“-მ ჩაქვის მამულში მუშებისათვის ააგო 4 საცხოვრებელი სახლი. ამას გარდა ამჟამად შენდება 2 სახლი (16 და 28 ოთახიანი)

სასამართლო

„თეთრი დუქნის“ გმირები გამასწორებელ სახლში სხედან

მკითხველები ჩვენი გაზეთის 223 ნომერში (26 სექტემბერი) გაეცნობოდენ მუშკოოპის პასუხისმგებელ თანამშრომლების „საგმირო საქმეებს“.

მათი საქმის გამოძიება უკვე დამთავრდა და საბრალმდებლო დასკვნის მიხედვით მუშკოოპის უღირსი თანამშრომლები ღირსეულად უნდა დაისაჯონ.

უკვე გამასწორებელ სახლში სხედან შემდეგი პირები: **ზაქარია სოლომონის ძე არაქელაშვილი** (მუშკოოპის ავტომობილის შოფერი), **დავით ბესარიონის ძე არსენიშვილი** (მუშკოოპის გარაჟის დროებითი გამგე), **ალექსანდრე ნიკოლოზის ძე გრძელიშვილი** (მუშკოოპის საგასტრონომო სექციის გამგე), **სერგო გრიგოლის ძე ერმოლოვი** (საბუხჰალტრო განყოფილების გამგის მოადგილე) და **კონსტანტინე ივანეს ძე პურადაშვილი** (მუშკოოპის კორესპონდენტი).

როგორც მკითხველებმა იციან, ზემოთ დასახელებულ პირებს ჰყვარებიათ გარე-უბანში „თეთრ დუქნისაკენ“ განავარდება მუშკოოპის ავტომობილით. მათ სულერთიათ გულს არ სწყვავდა სახაზინო ავტომობილის შინების ცვეთა და ბენზინის წვა. თუ კი დროს ტარების ინტერესი(!) ამას მოითხოვდა.

ამა წლის 22 სექტემბერს მუშკოოპის ეს „თაიგული“ კარგა მაგრად დანაყრდა ჯერ თბილისში რესტორან „ლურჯ ფრინველში“; შემდეგ კი ღამის 12 საათზე ისინი მუშკოოპის ავტოთი გაემგზავრენ „თეთრ დუქნისაკენ“, სადაც დილის 4 საათამდე გარერთეს ჰყავდათ ავტომობილი და ქეიფობდნენ.

„თეთრი დუქნიდან“ მეხუთისაკენაც გააქანეს მუქთა ავტომობილი მუშკოოპელებმა და ისევ ქროლვით გამოსწიეს თბილისისაკენ.

თავაწყვეტით მოდიოდა თბილისაკენ ავტომობილი, რომელშიაც ისხდენ ღვინით დაბანგული „ძმა-ბიჭები“.

შოფერი არაქელაშვილი სისწრაფის რეკორდის აღებას ცდილობდა, თუმცა გარდა მეურმეებისა, მისი მეტოქე არავინ იყო დილის 5 საათზე.

საბურთალოს მახლობლად ავტომობილი დაეჯახა ხილით დატვირთულ ურემს, რომელზედაც ისხდენ მამა-შვილი ლახურაშვილები.

აბრამ ლახურაშვილს (მამას) გადაუმტვრია მარცხენა ფეხი, მძიმედ დაუზიანდა მთელი სხეული, მისი ვაჟი დაშავდა მძიმედ. ურემი დაიმტვრა. ერთი კამეჩი კლდეში გადაიჩეხა. სულთმობრძავმა გლეხებმა მორთეს გულშემზარავი ყვირილი. ახმაურდენ ახლოს მომავალი გლეხები.

მუშკოოპის მანქანამ კი ისევ განაგრძო გზა მიუხედავად იმისა, რომ საგრძნობი ზიანი მანაც მიიღო: დაიმტვრა ფრთა, დაუზიანდა რესორი.

მომაკვდავი გლეხი ჰყვიროდა გულშემზარავი ხმით და ითხოვდა შველას. მუშკოოპის თანამშრომლები კი ზედმეტად სთვლიან ავტომობილის შეჩერებას და მათი წყალობით განსაცდელში ჩავარდნილ გლეხებისათვის დახმარების აღმოჩენას.

მათ თავისი საზრუნავი აქვთ. შესაძლებელია გლეხმა სული დალიოს, პასუხისმგებლობა ხომ მათ დაეკისრებათ. ამიტომ საჭიროა მოესწრონ შემთხვევის ადგილიდან, რომ არავინ გაიგოს მათი ავტომობილის ნომერი და ვინაობა. დაფარონ ბოროტმოქმედების კვალი. მიუხედავად სიმთვრალისა, მათ ამის მოსაზრება შერჩენიათ.

გათენებისას ბენდუქიძის სახელოსნოში სასწრაფო წესით სწარმოებს გვერდებ შემტვრეულ ავტომობილის შეკეთება.

მძიმედ დაშავებული გლეხი კი მოჰყავთ მეურმეებს, რომელთაც არ აქვთ მისთვის სასწრაფო დახმარების აღმოჩენის საშუალება. როგორც იქნა გლეხები მოუახლოვდენ თბილისს, მოახერხეს სასწრაფო დახმარების გამოძახება და დასახიჩრებული გლეხი საავადმყოფოში მოათავსეს.

მუშკოოპის მოქეიფე თანამშრომლები მიიმალ-მოიმალენ გათენებისას. მხოლოდ შოფერ არაქელაშვილს დაევალა (არ დაივიწყოთ—კვირა დილაა!) დაზიანებულ ავტომობილის შეკეთება.

გამომძიებლის მიერ მიღებულ სასწრაფო ზომების წყალობით ბოროტმოქმედნი შეპყრობილ იქნენ.

საინტერესოა როგორ იმართლებენ თავს ეს ვაჟკაცები.

შოფერი არაქელაშვილი ლაპარაკობს, რომ ის-ვი მთვრალი არ ყოფილა, მან პირადათ სიგნალი მისცა მეურმეს და არც შეუმჩნევია დაეჯახა თუ არა ავტომობილი ურემს(!). ძალიან საეჭვოა, რომ დილის 5 საათზე „თეთრი დუქნიდან“ ფხიზელი მოდიოდა შოფერი არაქელაშვილი!

მუშკოოპის დანარჩენი თანამშრომლების ჩვენებაც მეტად სასაცილოა.

გრძელიშვილი (საგასტრ. სექციის გამგე), ლაპარაკობს, რომ მან არ იცოდა, საით აპირებდენ ამხანაგები წასვლას. როცა ავტომობილმა მოუხვია ვერის ხიდთან თეთრი დუქნისაკენ, მას არ სწყენია, რადგან მუშაობით დაღლილს(!) გასეირნების სურვილიც აღეძრა. „თეთრ დუქანში“ ცოტა დანაყრდენ (5-6 საათის ქეიფი ცოტა დანაყრებაა!) და წამოვიდნენ. მას არ ახსოვს ავტომობილის დაჯახება(!), რადგან იმ დროს ჩასძინებოდა.

ერმოლოვს (საბუხჰალტრო განყოფილების გამგის მოადგილეს) დაჯახებისათვის ყურადღება არ მიუქცევია, რადგან ის „უმნიშვნელო“ იყო.

პურადაშვილი ლაპარაკობს, რომ მას ეძინა და დაჯახების დროს არაფერი შეუმჩნევია. მხოლოდ გამოაღვიძა დაჯახებამ და მეტი არაფერი არ იცის.

არსენიშვილიც აცხადებს, რომ გზაზე მას მეტ წილად ეძინა და არაფერი შეუმჩნევია.

რამ „დაძინა“ ასე მაგრად მუშკოოპის თანამშრომლები?

მათ იციან, რომ განსაცდელში კაცის უყურადღებოდ მიტოვებისათვის სათანადო სასჯელი აქვს დაწესებული საბჭოთა კანონმდებლობას.

ამიტომ არის, რომ სულ ყველამ „დაიძინა“ საბურთალოსთან!

„თეთრი დუქნის“ გმირები ახლო მომავალში წარსდგებიან პროლეტარულ სამსჯავროს წინაშე და ღირსეულ სასჯელს მიიღებენ.

—:—

ორაგველიძის და მენაღარიშვილის საქმე

თბილისის სამაზრო სასამართლომ გაარჩია ალექსანდრე ქიშვარდის ძე ორაგველიძის და ივანე ალექსის ძე მანაღარიშვილის საქმე.

ალექსანდრე ორაგველიძეს დაუმტკიცდა ა. დ.-ის ქალის გაუპატიურება და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 6 თვით, ხოლო ივანე მენაღარიშვილს დაუმტკიცდა ორაგველიძისათვის ხელის შეწყობა ბოროტმოქმედების ჩადენაში, რისთვისაც მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით.

მსჯავრდადებულთ შეეფარდა ამნისტია. ორაგველიძეს მოსახდელი დარჩა 10 თვით თავისუფლების აღკვეთა. მენაღარიშვილს სასჯელი მოეხსნა.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე ამხ. ბეროშვილი, სახალხო მსაჯულები: ჩიხრაძე და შესტოვი, პროკურორი გაბუნია, მდივანი—თ. მერკვილაძე.

ვერ.

—:—

სასამართლოს ქრონიკა

ექიმბაში ქალის საჯარო გასამართლება

თბილისის მესამე უბნის სახალხო სასამართლო ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს, აწყობს ექიმბაშ ქალის სოფიო კილაძის საჯარო გასამართლებას.

ბრალდებული სისტემატიურად ატყუებდა გაუნათლებელ სოფლელ ქალებს. სწამლობდა მათ მავნე ბალახებით, რაც ხშირად იწვევდა ავადმყოფის სიკვდილს.

საჯარო გასამართლება მოხდება პლეხანოვის სახელობის კლუბში. პროცესი დაიწყება საღამოს 5 საათზე.

მეცნიერება და ტეხნიკა

ხის გამაგრება

ამერიკაში მოახდინეს ხის მასალის გამაგრების ცდები, რისთვისაც ხე გაჟღენთეს გამდნარი გოგირდით. აღმოჩნდა, რომ გოგირდი ამაგრებს ხეს და იცავს მას დალპობისაგან.

გოგირდის [illegible] კრეოზოტისა და სხვა გასაჟღენთ საშუალებათა [illegible]. გოგირდი ხეში კვლავ გადადის კრისტალურ მდგომარეობაში, ხურავს ყველა ფორებს და ჩვეულებრივ ტემპერატურაში არ გამოდის ხიდან. გოგირდი იცავს ხეს ყოველგვარ მავნებლებისაგან.

ამერიკული რადიო-მოწყობილობა გემზე

ამ რამდენიმე ხნის წინად დასრულდა რადიო-მოწყობილობათა ჩადგმა ამერიკულ გემ „მალოლო“-ზე, რომელიც კალიფორნიისა და ჰავაის კუნძულებს შორის დადის. „მალოლო“ რადიო-კავშირის მხრივ ერთად-ერთი გემია მთელ მსოფლიოში. „მალოლო“-ს რადიო-კავშირის დამყარება შეუძლია როგორც კონტინენტალ სადგურებისათვის ჩვეულებრივი 600 მეტრიან ტალღაზე, ისე 1850 და 1250 მეტრიან ტალღაზე. გემზე მოწყობილია სპეციალური [illegible], სადაც მგზავრს საშუალება ეძლევა ელაპარაკოს ხმელეთს მყოფ სხვა გემებს და ნაპირს. თითეულ სამგზავრო ოთახში მოწყობილია რადიო-აპარატი, რომლითაც შეიძლება როგორც დალაპარაკება, ისე დეპეშებისა და ინფორმაციის მიღება მსოფლიოს ყოველი კუთხიდან გემზე მოწყობილია 3 ანტენა, რომელთაგან ერთი შეერთებულია ცენტრალურ მიმღებ აპარატთან და ხმის გამაძლიერებლებთან, რომლებითაც ხდება კონცერტის გადაცემა.

სურათების გადაცემა რადიოთი აეროპლანიდან

შეერთებულ შტატებში ამ რამდენიმე ხნის წინად მოახდინეს ცდები სურათების გადაცემისა რადიოთი გაფრენილ აეროპლანიდან. აეროპლანიდან, რომელიც ქ. ფილადელფიაზე მიფრინავდა, ბერდის სისტემის რადიო-გადამცემ აპარატით გადაცემული იქნა მფრინავ ლინდბერგის პორტრეტი, სურათი ერთდროულად მიიღო ასამდე რადიო-მიმღებმა სადგურმა. ასეთმა შედეგმა აიძულა შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტრო სერიოზულად მოეკიდა ხელი გაფრენილ აეროპლანებიდან რადიოთი სურათების გადაცემის ცდებისათვის. როგორც პრესა იუწყება, სამხედრო სამინისტროს ინჟენერებმა შესანიშნავ შედეგს მიაღწიეს ამ მიმართულებით. ერთი ცდის დროს აეროპლანი, რომელზედაც დადგმული იყო ფოტოგრაფიული და რადიო-გადამცემი აპარატი, გაგზავნეს მთელი რაიონის გადასაღებად. რაიონი, სადაც მიფრინავდა აეროპლანი, იღებოდა სპეციალურ კინო-ლენტზე, რომელიც იქვე მზადდებოდა შესაფერად და ეხვეოდა რადიო-გადამცემი აპარატის რგოლზე, საიდანაც ხდებოდა მისი გადაცემა სივრცეში. დრო, რომელიც გავიდა სურათის გადაღების და დედამიწის რადიო-სადგურზე მის მიღებას შორის, მხოლოდ 5 წუთს უდრიდა. [illegible] ადრე აეროპლანის დაბრუნებამდე, მიმღებ რადიო-სადგ. უკვე ჰქონდათ აეროპლანით გადაღებული და რადიოთი გადაცემული რუქა მთელი რაიონისა.

ნარევი

ჯავშნიანი ავტომობილი ფულების გადასატანად



თავდასხმებმა ბანკებზე შეერთებულ შტატებში ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ბანკები იძულებული არიან ნამდვილი ციხე-სიმაგრეები მოაწყონ ბურჟუაზიის განძეულობის და ოქროების დასაცავად ბანდიტებისაგან. საგანგებოდ მოწყობილ სარდაფებში გაკეთებულია ელექტრონისა და სხვა სიგნალიზაცია. რომელიც ბანკების მცველ დარაჯებს ანიშნებს ბანდიტების შეპარვას ბანკების შენობაში.

ბანდიტიზმს შეერთებულ შტატებში იმდენად ფართე ხასიათი აქვს მიღებული, რომ სახიფათო შეიქნა განძეულებისა და ფულების ჩვეულებრივი ავტომობილებით გადატანა: ბანდიტები არ ერიდებიან ასეთ ავტომობილებზე თავდასხმას დღისით და შეტაკებას ავტომობილის შეიარაღებულ მცველებთან. ამიტომ, უკანასკნელ ხანებში, შეერთებულ შტატებში შემოღებულია სპეციალური ჯავშნოსანი ავტომობილი განძეულობისა და ფულების გადასატანად.

გადასახადი უცოლოებზე

იტალიის მთავრობამ გააორკეცა გადასახადი უცოლოებზე, რადგან წინანდელმა ნორმამ არ შეუწყო ხელი ქორწინებათა რაოდენობის გადიდებას.

მომაკვდავი ენის ჩაწერა

პენსილვანიის (ამერიკა) უნივერსიტეტის ფილოლოგიურმა ფაკულტეტმა უნივერსიტეტის სამეცნიერო თანამშრომელი პროფ. სპეკი სასწრაფოდ გაგზავნა სამხრეთ-კაროლინაში მოსაძებნად გზაზე დამდგარ ინდიელთა ტომის —კატაუბას ენის ჩასაწერად. პროფ. სპეკმა მოახერხა გრამოფონის ფირფიტებზე ჩაეწერა კატაუბას ტომის ენა—ორი მოხუცი დედაბრის —ოდესღაც მრავალრიცხოვან ტომის უკანასკნელი წარმომადგენლების სიტყვებით.

შემთხვევები

ვერ მოასწრო

18 ოქტომბერს ღამით მოქ. ალექსანდრე ქელაძის ბინაში (მეხორც. ხანძრის ქ. № 5) შევიდა უცნობი პირი, რომელსაც უნდოდა გაექურდა აღნიშნული ბინა. მაგრამ ქურდი თავის დროზე შეამჩნია ქილაძემ და მოინდომა მისი დაპატიმრება. ქურდმა მოასწრო გაქცევა, რის დროსაც ბინაში დარჩა ქუდი.

ავტომობილის მსხვერპლი

18 ოქტომბერს ბაზრის ქუჩაზე საბარგო ავტომობილმა № 322, რომელსაც მართავდა შოფერი სურენ არუთინოვი, გაიტანა და მძიმედ დააშავა მოქ. ალექსანდრე ვიგილიანსკი. ვიგილიანსკი სასწრაფოდ გადაიგზავნა 1-ლ საავადმყოფოში, შოფერი შეიპყრეს.

მკვლელობა

მარტყოფის ქუჩაზე მდებარე სახლში (№ 8) ოგანეს მელქონის ძე იერანოსიანმა დანით მოკლა თავისი სიძე თოროზა ხაჩატუროვი. გვამი გადაიგზავნა 1-ლ საავადმყოფოს პროზექტურაში. მკვლელი შეპყრობილია.

ქურდობა

18 ოქტომბერს გაქურდეს ხარიტონ სიხარულიძის და ნინა გოლიცინას ბინა (ვლადიმერის ქ. 22). წაღებულია სხვადასხვა საოჯახო ნივთები. მარიამ მუხაშვილის ბინიდან (ლოჟეინის ქ. № 16) მოიპარეს 10 მეტრი მადაპოლამი. გაქურდეს მარუსია ხაჩატუროვის ბინა (ზორაბაშვის ქ. № 29). გაქურდეს ალმშენებელთა კლუბის საწყობი. წაღებულია სხვადასხვა ნივთები და ფარდები.

აფერისტი

18 ოქტომბერს ნიკოლოზ აკოფიანცის ბინაში (მეხ. მე-2 აზიზბეკოვის ჩიხი № 3) ურავ ქონებათა სამართველოს თანამშრომლის სახელით შევიდა ვიღაც უცნობი პირი, რომელმაც განუცხადა აკოფიანცის ცოლს, რომ მას დაევალებული აქვს მათი ბინის დათვალიერება. უცნობი პირის წასვლის შემდეგ აღმოჩნდა რამდენიმე ნივთი დაკარგული. მიღებულია ზომები აფერისტის შესაპყრობად.

ჯიბგირობა

ცენტრალურ ბაზარში მაგდალინა აკოპოვას ჯიბიდან ამოაცალეს საფულე. მუხრანის ხიდის ახლოს ალექსანდრე ბოჭორაძეს ჯიბიდან ამოართვეს ოქროს საათი და 60 მ. ფული.

გვამის პოვნა

ქვემო ლისში გუმბლის მთაზე (თბილისის მაზრა) აღმოჩენილი იქნა მოკლულ მამაკაცის გვამი. როგორც გამოირკვა, მოკლულ ვასილ გიორგის ძე მარინანია. მკვლელის ვინაობა გამოურკვეველია.

შეპყრობა

18 ოქტომბერს ჯიბგირობისათვის შეიპყრეს არმენაკ ბარსეღის ძე არშენიანცი და მამედ ბაგირის ძე გასანოვი (უშინამ). შეიპყრეს მიხეილ ეგნატეს ძე პაპკვირი, რომელსაც ბრალდება „ზაკოოპუ“-ის სარდაფიდან (გოგოლევის ქ. № 70) 48 ცალი ტომარის მოპარვა.

რკინის გზებზე

მუშათა გამომგონებლობა

ამიერ-კავკასიის რკინისგზების სამმართველოს გამოგონებათა ბიურო აუარებელ წინადადებებს იღებს მუშა-გამომგონებლებისაგან.

გამოგონებათა ბიუროს ჟიურის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა 17 გამოგონება.

ახალ გამოგონებებიდან ყურადღებას იპყრობს მუშა გორშკოვის გამოგონება, რომელიც ყოველწლიურად 20.000 მან. ეკონომიას მისცემს რკინისგზებს.

გამოგონების ავტორს მიეცა პრემია 400 მანეთის რაოდენობით.

ამას გარდა ჟიურიმ დააჯილდოვა ამხ. სტალინის სახელობის ქარხნის ზეინკალები ამხ. ამხ. კამიშინი და ვიტიუხინი. მათი გამოგონება ყოველწლიურად 6.000 მან. ეკონომიას იძლევა. კამიშინი და ვიტიუხინი ჟიურიმ დააჯილდოვა 220 მანეთით.

აგრეთვე ჟიურიმ განიხილა ფერშალ-კონდუქტორის თათაროვის გამოგონება, რომელიც შეეხება გზაში დახარჯულ ელ.-ენერგიის აღრიცხვას.

ჟიურიმ კავშირთაგაბმულობის განყოფილებას დაავალა ამხ. თათაროვის გამოგონების გამოცდა.

კომისიის ლიკვიდაცია

გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის ბრძანებით, გაუქმებულია სპეციალისტთა ხელფასის გამომრკვევი კომისია.

ხიდი გუბის-წყალზე

ამხ. პეტროვსკის სახელობის ქარხნიდან (უკრაინა)—სამტრედიაში, გუბის-წყლის ხიდისათვის გაიგზავნა სხვადასხვა მოწყობილობანი.

დაჯახება

სადგ. ადიქაბულში მემანქანე პრესნიაკოვმა მანევრების დროს ვაგონები დააჯახა მისაბჯენს.

დაჯახების დროს დაიმტვრა მისაბჯენი.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 20 ოქტომბერი

დღეს, 20 ოქტომბერს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

საუბარი — „აბორტი, მისი შედეგები და მასთან ბრძოლის ღონისძიებები“—ქართულ ენაზე; გლეხთა რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; რადიო-კვანძის რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; მუსიკალური ანტრაქტი, მოხსენება— „როგორ მიმდინარეობს ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციის კამპანია —რუსულ ენაზე; მოხსენება — „კოოპერაცია და წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა“ —რუსულ ენაზე; რადიო-კვანძის რადიო-გაზეთი რუსულ ენაზე; გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; კონცერტი სტუდიიდან.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 20 ოქტომბერს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

კვალიფიციურ მუშათა პირველ სექციიდან: მიხეილ ლომიძე, ვასილ ქიტუაშვილი, ალექსანდრე საფაროვი, ელენე ჩოჩიკაშვილი, მაკირტიჩ ახტონოვი, ლონგინოზ გოგობერიშვილი, სერგო ზანაევი, ივანე ანგარაშვილი, ივანე მამულაშვილი. **გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან:** ანდრო ჯორჯიაშვილი, დავით გოგინავა, მიხეილ გორგაძე, ევგენია გურბელაძე, გრიგოლ მიმინოშვილი, ისიდორე გოგოტიშვილი, ირაკლი სეხნიაშვილი, ნიკოლოზ მაკაროვი, კალისტრატე უგორდანია, ირაკლი ძოძუაშვილი, გიორგი კაკაბაძე, დავით ბიბილეიშვილი, აპოლონ რაზმაძე, ლიუბა ახობაძე, ივანე კლიმაშვილი, პროკოფი კილამეკი. **შავ მუშათა სექციიდან:** ანნა კობიაშვილი, მარიამ გრიშინინა, ვასილ ჩხენკელი, სიკო გორდელაშვილი, მარიამ მოსესიანი, ელისაბედ სოკოლოვი, ნინო ხუროშვილი, კლავდია აკოპოვი, ლიუბა ობელდიანი, ანნა წიკლაური, იულია გოვაჩენკო, ვერა ოგანოვა, ვერა ანთაძე, ელისაბედ ხალიფოვა.

ამას გარდა შრომის ბირჟაში მიღებულია მოთხოვნილება მეორე საფეხურის შრომის სკოლის მასწავლებლებზე, შემდეგ რაიონებში: პოლიტეხნიკური დისციპლინის მასწავლებელი ქ. ჩუხნოიოში, იქვე სამოსწავლო წილის გამგე, ჰიდრო ტეხნიკის მასწავლებელი, სიტყვიერების ორი მასწავლებელი, ბუნებისმეტყველების და ქიმიის მასწავლებელი, ფიზიკისა და მათემატიკის (ცხრა მასწავლებელი. დაწვრილებით პირობების გასაგებათ მსურველებმა უნდა მიმართონ ბირჟის მეორე სექციაში ამხ. **ნიკოლაიშვილს**.

პარტიული კალენდარი

დღეს, 20 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 ს.-ზე, საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივნის კაბინეტში ამხ. ასრიბეკოვთან შესდგება თათბირი, რომელზედაც აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: კოსა[illegible], ადამიანი, ბედია, ბოლქვაძე, სუხიშვილი, ბელელაძე, დიმოევი, თხილავა, ტყაბლაძე, მღივანი, ქაცარავა, ოკუჯავა, მაჩაიძე, თოდრია, ბაგიროვი, ფანცულაია, პელიძე, შოგიაძე, ბაქრაძე და მესხი.

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდნენ რაიკომის საპარტიო აღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. **სიდოროპულოსთან:** ასატურ ელოიანი, ერვანდ ამირზაგულიანი, დავით ეგიაზაროვი, მამედ მესტოევი, სისო ფანცხავა, ნინა მაზანაშვილი, ვასილ ცერცვაძე, ალექსანდრე მარტიჩიანი, სადიხ მუსაევი, ალექსი კალაჩევი, ევდოკია არიბჯანოვა, ელენა ფალიანი, თამარა ხატიაშვილი, ვასასი გავაშელი, ვარაზ გოხელაშვილი, სოლიკო ჯანგულოვი, სერგო არუთინოვი, დავით კობახიძე, მარო კახელაძე, ვენერა ცხოიძე, ანდრო ქირია, იოსებ ღვინიაშვილი, გრიგოლ ზეთუაშვილი, მიხეილ სესიკაშვილი, კონსტანტინე კვანტალიანი, გოგუცია მამიკონიანი, გერასიმე წიკლაური, აბრამ ლაზარაშვილი, სტეფანე ბელოუსოვი, ელენე პოზოვა, აგრაფინა ბერიძე, იაკობ გოლოვახინი, ანტონ ქანტურია, გიორგი გუგუნავა, ვლადიმერ დობროლეპინი, არტაშეს მოსიანი, პლატონ ჩიქოვანი და პავლე ნაკონეჩნი.

—:—

ს. კ. პ. (ბ) ცეკას სოფლად მუშაობის განყოფილება დღეს, 20 ოქტომბერს, პირველ საათზე იწვევს თათბირს თვითდაბეგვრის შესახებ. ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: **ქუჩულორია, კეზიერა** (საქ. ცაკის საორგ. განყ.), **ვარძიელი** (საქ. ცაკის მდივანი), **მათიკაშვილი** (იუსტ. კომ.), **ბელელაძე** (თბ. კომ.), **მჭედლიშვილი, სტურუა** (გლეხთა სასახლე), **ლომთათიძე** (საქ. თიმსახკომი), **საყვარელიძე** (თბ. საშიფო საზ-ბა), **კომახიძე** (საქ. მუშგლეხინის ინსპექცია).

—:—

სახ. უნივერსიტეტის სამკ. ფაკულტეტთან არსებული ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ მიმდინარე აღრიცხვის უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 25 ოქტომბერი. ევალებათ ყველა წევრ-კანდიდატებს, რომელნიც არ გატარებულა რეგისტრაციაში, გატარდნენ ამხ. ი. ლორთქიფანიძესთან 12—2 საათამდე სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ღრმად მწუხარე დედა თებრონე, ძმა გიორგი (ბოცია) ურუშაძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი, აგრონომიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი

კოლია სიოს-ძე ურუშაძე

გამოსვენება შაბათს, 20 ოქტომბერს, ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე, ყოფ. ალექსანდრის საავადმყოფოთან სადგურში. დაკრძალვა ლანჩხუთში სამშაბათს 23 ოქტ. მ.-რს. 4595

ალმასკომის სათიბგანის ადგილობრივ გადასახადთა სექციის თანამშრომლების ჯგუფი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ამავ სექციის თანამშრომლის, გიორგი ურუშაძის ძმის—აგრონომიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტის

ნიკოლოზ სიოს ძე ურუშაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. 4593

ფილიპე მგელაძის

ხსოვნის აღსანიშნავად კვირას, 21 ოქტომბერს, დილის 1 საათზე ვერის ძველ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი, რასაც აუწყებს ნაცნობ-მეგობრებს [illegible] 4580

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ანა და გრიგოლი: ძმები მიხაკო და სტეფანე: და ოლღა, რძლები თამარი და ფლორენცია: ძმის წულები ლელი და გიური კიკვაძეები აუწყებენ საზოგადოებას, რომ

გულნარა (ელისაბედ) გრიგოლის ასული
კიკვაძის

ხსოვნის აღსანიშნავად კვირას 21 ოქტომბერს ვერის ახალ სასაფლაოზე, დილის 1-ლ საათზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 6 1723

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე ელისაბედ, შვილები: ევგენე (თალიკო), გრიგოლ, ბაბულია, ალექსანდრე, ქეთევან, ოლიკო, ასლან, ლარისა, ლიპა, სოსო და ლიდა, რძალი ნინა და სიძე გიორგი ლორთქიფანიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ანტონ გიგოს-ძე წულუკიძის

ხსოვნის აღსანიშნავათ გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი კვირას, 21 ოქტომბერს. დღის 1-ლ საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. 4592

დამწუხრებული მეუღლე პავლე, შვილი კლეოპატრა, დედა სიხო, ძმა თარაში, რძალი ლიუბა შვილებით, დაი ასტინა მეუღლე ვასოთი აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარი

ივლიტა (ტ.) სქვინჩიას ასული სარიას

უდროოდ გარდაცვალებას, დაკრძალვა დანიშნულია ფოთში კვირას, 21 ოქტომბერს, ნაბადის სასაფლაოზე. ხ. 1724

ხაშურის დე-ოს მემანქანეთა კომ-უჯრედი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ა/წ 17 ოქტომბერს ტრაგიკულად გარდაიცვალა კომუჯრედის წევრი მემანქანე

ივანე დიმიტრის ძე ბახია

დაკრძალვა მოხდება ხაშურში, შაბათს, 20 ოქტომბერს დღის სრულ 12 საათზე. გამოსვენება ბინიდან, მახარაძის ქ № 25. 4590

დამწუხრებული მამა ივანე, და ნინა, ძმა ვალოდია იოსელიანები აუწყებენ საზოგადოებას, რომ 21 ოქტომბერს, 12 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე საზ. უნივერსიტეტის პოლიტ. ფაკულტ. სტუდენტ

შალვა (ოტია) ივანეს-ძე იოსელიანის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ნის.

სახკინმრეწვის კინოთეატრები	
განთიადი	ყაზახები — ლ. ნ. ტოლსტოის ნაწარმოების მიხედვით
არფასტო კოლოსი სოლეე	ყოველდღე ანშლაგები!! ზღვის ტყვეები რეჟისორი—მ. ვ. ვერნერი. ოპერატორი—სლავინსკი
მინიონი	ტამილა — დიუმენის პოპულარულ რომანის მიხედვით
აპოლო	კარმენ ბონი სურათში ნამდვილი მამაკაცი
დარბაზი	პირლ უაიტ სურათში მოხერხებული ხალხი
კროლ-ტარი ავლაბარი	სპორტსმენი ა. ბოკოლინი სურათში სასიკვდილო ნახტომი

[illegible] მალე ახალი სურათი „ყინულის სახლი“ 0—14

საჯარო ვაჭრობა

კვირას, ა. წ. 21 ოქტომბერს, დილის 10 საათზე ამიერ-კავკასიის სამხედრო სამომხმარებლო საზოგადოება „ზაკვოენკოოპ“-ს საწყობში, კალინინის მოედანი № 13, დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიყიდება უვარგისი კასრები და დეფექტიური საქონელი „ზაკვოენკოოპ“.

განათლების მუშაკთა კავშირის უმუშევარ წევრთა

საერთო კრება

რომელიც დანიშნული იყო 17 ოქტომბერს და არ შესდგა, მოწვეულია შაბათს 20 ოქტომ. საღ. 4 ნახ. საათზე განათლების მუშ. სახლში (კალოუბნის ქ. № 3)

დღის წესრიგში:

1. ც. გ. საანგარიშო მოხსენება.
2. განათლების მუშაკთა მე-7 ყრილობაზე დელეგატების არჩევნები.

ც. ბ.
2—1 ნ. 1720

ქ. თბილისის მე-5 რაიონ. სასამართ. ალმასრულებელი
ბ. გამაზოვი

ამით აცხადებს, რომ ის 29 ოქტომბერს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 8 ფოთის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ნიკოლოზ ბაგრატისძე ჩენანაზაროვის მოძრავ ქონებას: ერთ ულაყ ცხენს და ერთ ტახტს შეფასებულს 190 მან., გიორგი მ ხეილისძე ილიაშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის ამავე უბნის სახალხო სასამართლოსაგან 2 თებერვ. 1928 წ. თარიღით, № 272 გაცემულ ალმასრულებელ ფურცლისა. 4587

ქ. თბილ. მე-2 უბნის სასამართლოს ალმასრულებელი
ქ. პოტემკოვსკი

ამით აცხადებს, რომ ის 23 ოქტომბერს 1928 წ. დღის 12 საათზე სახლში № 3 რუსის ქუჩ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ვასილი ჯანაშვილის და ოგანეზ იაკრტუმოვის მოძრავ ქონებას: 40 ვედრა შილდის წითელ და 40 ვედრა კარდანახის თეთრ ღვინოს შეფასებულს 522 მან., ორ კასრებით, ნიკოლოზ ენიკოლოპოვის, ოვანეზ ტარტიროზოვის და ივანე მეხამშვილის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის სახელმწიფო სანოტარო კანტორისაგან 21 ივნისი, 25 ივლისი, 18 სექტემბ. 1928 წ. თარიღით, № 2354, 1882 და 167 გაცემულ აღსრულების წარწერებისა. 4585

მიხეილ [illegible]ვანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

მათემატიკის მასწავლებელი
1929 ს. წ. ამზადებს
ქართულ და რუსულ ენაზე
უმაღლეს სასწავ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ., სამხედრ. აკად., 9 წლ. ყველა ჯგუფ. (რუსულსა და მათემატიკაში), მოწმობაზე, მისაღებ და განმეორებითი გამოცდებისათვის აგრეთვე 7 წლედისათვის ყველა საგანში. პლეხანოვის ქ. 25 (შესავალი ჩერნიშევის ქ. № 5) 2—6 საათზე. 6—1 4515

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, **ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა,** ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 25—2

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგან ავადმყოფობა.** სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 6.

ექიმმა
ი. ვ. ხანდაჰოვა
განაახლა სიფილისით, კანის და ვენერიული ავადმყოფობით დაავადებულთა მიღება დღის 1—3 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ძნელაძის ქ. № 35, (ყოფ. საპიორის) ქ.), კადეტთა კორპუსის უკან.

ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭების და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საქმიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი **ივ. გველესიანის**
პარაზიტოლოგიური
კაბინეტი
იღებს გამოსაკვლევად ყოველგვარ მასალას სპეციალურად სისხლის პარაზიტებზე (მალარია, სპიროხეტოზი და სხვა) და ნაწლავების პარაზიტებზე (amoeba, trichomonas, giardia intestinalis და სხვა protozoa: ჭიებზე) მასალა გამოსაკვლევად მიიღება: დილის 8—9, საღამოს 5—7 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქუჩა 38
ტელ. 6—22 4364 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის ხელების და ხვ ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს. დე და საღამოს 4—5 ნახ. ს.-დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 3. 25—1

კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე
შეღავათიან ფასებში
სწარმოებს ყოველგვარ ხელოვნურ კბილების ჩასმა
და
პროტეზების მომზადება.
იღებს ავადმყოფებს ყოველდღე კვირა უქმის გარდა საღამოს 4—6 საათამდე.
მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126. 25—1

ექიმი
ტერ-ოვაკიმოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად: **სქესობრივი ფუნქციონალური აშლილობა და სიფილისი** (ფსიხოტერაპია) ავადმყოფების მიღება: დილაობით: 11—1 საათ; საღამოობით 5—8 საათ საბჭოთა (ყოფ. ჩიოქეზიშვილის) ქ., № 48, ეორესის (ყოფ. კირკის) ქუჩის კუთხე. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12 საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ
ტელეფ.—1267. 25—1

ექიმი
ანასტასი ლევის ძე ორლოვსკი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და საბავშო სნეულებით ავადმყოფთა მიღება. (სპეციალურად მალარია) ამოს ქუჩა (ყოფ. ქსენიევის ქ.) № 9 მიღება დილით 1—2 საათამდე და საღამოთი 6—7 საათამდე 25—1

ექიმი
დარეჯან ე. თაყაიშვილი-კაკუბერი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება სემიონოვის (ვარდანაძის ქ.) მე-9-რე უბანი, № 16,
მიღება დილის 8—9 საათ, საღამ. 5—8 საათ.

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს
(ქალებს და ბავშვებს)
დღის 2—3 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4
ტელ. 14—23.

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩა № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 6—8 კაცებს, 5—6 ქალებს.
25—1

ექიმი
ს. ანდრეევისა
დაბრუნდა
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულოზის მკურნალობა
ღებულობს ავადმ. 5—7 ს. საღ. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან.
ტელეფონი—11—78. ნ. 25—2

დავკარგე მატრიკული № 816 გაცემული სახ. უნ. თამარ ნესტორის ასულ კაკაბაძის სახელზე. ჩ. გ. 4588

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი (მიწა-ტყის) № 528 შალვა ათ. ნაღრეიშვილის სახელზე. ჩ. გ. 4586

დავკარგე თბილისის ლომბარდის ქვითარი № 66681, ჩ. გ. 4589

დავკარგე ამ. ალმასკომის ბუფეტის შემოსავალ გასავლის რვეული [illegible] 4591

დავკარგე საქ. შინადირეთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 1898—ილიკო პაპავა-ძე ხეცურიანის სახელზე. ჩ. გ. 4594

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.